სუუამის რეგიონული ორგანიზაცია პირველი სამიტისთვის ემზადება A2

საარჩევნო "ჩემპიონატი" და მისი მონაწილეები A2

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

ორშაბათი, 19 მაისი, 2003 წელი. №135 (347)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

# ქართული ფორუმი ვაშინგტონში

## არადემოკრატიული არჩევნების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს მისი ძველი ავტორიტეტი ველარ დაეხმარება

ეკა კვესიტაძე
ვაშინგტონიდან

**" მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველო რომ უზარმაზარ დახმარებას იღებდა, ეს შევარდნაძის ფიგურის დამსახურება იყო. მაგრამ, ამ არჩევნებმა შეიძლება მთლიანად შეცვალოს დამოკიდებულება მის მიმართ. თუ საპარლამენტო არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდება, შესაძლოა, ამას ძალიან ცუდი პრაქტიკული შედეგები მოჰყვეს საქართველოსთვის"** - განაცხადა ამერიკის ყოფილმა ელჩმა საქართველოში კენეტ იალოვიცმა ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში გამართულ ქართული ფორუმის სხდომაზე.

კენეტ იალოვიცი ერთ-ერთია იმ ამერიკელ პოლიტიკოსთაგან, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ ასოციაცია ქართული ფორუმი დაარსეს. დამფუძნებლებს შორის არიან ამერიკის ყოფილი ელჩები საქართველოში კენტ ბრაუნი და ბილ კორტნი, ოთარ შალიკაშვილი, ელჩი დევიდ სმიტი, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორი ფრედ სტარი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ცხრა დემოკრატი ბუშის წინააღმდეგ

შოთა უტიაშვილი

ამერიკაში საპრეზიდენტო კამპანია ნელ-ნელა ძალას იკრებს. ის, თუ ვინ იქნება რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი 2004 წლის არჩევნებში, პრაქტიკულად, ეჭვს არ იწვევს. რესპუბლიკელთა 95 პროცენტი იწონებს ბუშის საქმიანობას პრეზიდენტის პოსტზე. სამაგიეროდ, დემოკრატებს შორის ჯერ გარკვეული არაფერია. პარტიიდან ნომინაციისათვის, ერთდროულად, ცხრა კანდიდატი იბრძვის.

შაბათს შვიდმა მათგანმა მიიღო მონაწილეობა პროფკავშირების წარმომადგენლებთან შეხვედრაში, რომელიც აიოვას შტატში გაიმართა. დანარჩენმა ორმა ამომრჩევლებს ვიდეოჩანაწერით მიმართა. ყველა ერთხმად აკრიტიკებდა ბუშის საქმიანობას პრეზიდენტის პოსტზე. კრიტიკის ობიექტად იქცა ისიც, რაც ბუშის საქმიანობის ყველაზე ძლიერ მხარედ ითვლება – საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

გაგრძელება A5 გვერდზე



*დემოკრატიული პარტიიდან სენატორები გრეჰემი, ედვარდსი, კერი და ლიბერმანი პრეზიდენტობის კანდიდატობისთვის იბრძვიან.*

# ვუდროფის საქმე

*ათი წლის წინათ საქართველოში, ედუარდ შევარდნაძის დაცვის უფროსის მანქანაში მომხდარი, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის მკვლელობა ქართველმა სამართალდამცველებმა იმავე ღამეს გახსნეს და ფრედ ვუდროფის მკვლელობა ბრმა შემთხვევითობას მიაწერეს. სამაგიეროდ, ამერიკელი გამომძიებლები ამ ვერსიის სარწმუნოობას კარგა ხანი ამოწმებდნენ. მკვლელობასთან დაკავშირებულ ეჭვებს დაემატა ისიც, რომ ვუდროფის მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე საქართველოში ვიზიტით მყოფი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი, ევრაზიის ანტინარკოტიკული ცენტრის განყოფილების უფროსი ორმაგ აგენტობაში ამხილეს. ამასთანავე, საქართველოში ვუდროფის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო – საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლა - კიდევ ერთი ეჭვის საფუძველი შეიქნა: გაჩნდა ვერსია აგენტის მკვლელობაში ნარკომაფიის მონაწილეობის შესახებ. პარალელურად FBI, ფრედ ვუდროფის მკვლელობის გამოძიებისას, რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმ "ალფას" ყოფილი და ახლანდელი წევრების ურთიერთდამოკიდებულებით ინტერესდება.*

**გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №129-133**

### ქართული სპეცდანიშნულების რაზმი "ალფა"

საქართველოში სპეცდანიშნულების რაზმი "ალფა" უშუალოდ უშიშროების ყოფილი მინისტრის, ამჟამად ტერორიზმსა და სამშობლოს ღალატში ბრალდებული იგორ გიორგაძის სახელს უკავშირდება. "ალფა" 1992 წლის გაზაფხულზე, მართლაც, მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა. იგორ გიორგაძე მაშინ თავდაცვის სამინისტროს კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს თავკაცი გახლდათ. მოგვიანებით ამერიკაში გაწვრთნილი, ტერორიზმისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ მებრძოლ, ლოკალური ფუნქციის მქონე სპეცჯგუფ "ომეგასგან" "ალფა" რადიკალურად განსხვავდებოდა - იგი სამხედრო შენაერთი გახლდათ, რომელსაც აქცენტი საბრძოლო დავალებებზე უნდა გაეკეთებინა. მაშინდელ "ალფას" კოტე შავიშვილი და თემურ პაპუაშვილი ხელმძღვანელობდნენ. ეს ის თემურ პაპუაშვილი გახლავთ, რომელიც "მაისის არშემდგარი ცნობილი ტერაქტის" ორგანიზატორობისთვის 1999 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს. მოგვიანებით იგი ორთაჭალის ციხეში, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. თემურ პაპუაშვილი 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზატორობისთვის გასამართლებული უშიშროების ოფიცრის გელა პაპუაშვილის ძმა გახლდათ. სწორედ გელა პაპუაშვილი ჩაუდგა სათავეში იგორ გიორგაძის უშიშროების მინისტრად დანიშვნის შემდეგ მასთან ერთად გადასულ "ალფას".

პირველი წვრთნა ალფელებმა თავდაცვის სამინისტროში გაიარეს, ლაგოდეხში განლაგებულ რუსეთის სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის წამყვან ინსტრუქტორებთან. დიდძალი სამხედრო აღჭურვილობითა და ტექნიკითაც ალფელები რუსმა მასწავლებლებმა შეაიარაღეს. უშიშროების სამინისტროში გადასვლის მიუხედავად, სპეცრაზმს სპეციფიკა არ შეუცვლია - კვლავ სამხედრო შენაერთად დარჩა, ოღონდ მისი შემადგენლობა გაიზარდა. ახალი წევრები მკაცრი ტესტირების საფუძველზე შეარჩიეს. საბოლოოდ, არჩეულმა ალფელებმა პროფესიული მომზადება ბალაშიხაში, "კგბ"-ს აკადემიაში გაიარეს, 75-მა კაცმა უმაღლესი სამხედრო განათლება მიიღო. ბალაშიხაში გამოცდები ალფელებმა უმაღლეს დონეზე ჩააბარეს და უნივერსალური მებრძოლების სტატუსი მიიღეს. იქ მათ რუსული "ალფას" გამოცდილი მებრძოლები წვრთნიდნენ. თავის დროზე უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებული ორი სპეცრაზმი – ამერიკელ ინსტრუქტორთა მიერ "Georgian Craizy"-დ (ქართველი გიჟები) მონათლული "ომეგელები" და რუსი გენერლების მიერ "Звери Штурмовики"-ს სახელით დაჯილდოებული "ალფა", არა მარტო პოლიტიკური მოსაზრებების გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. უშიშროების მინისტრ გიორგაძეს დაქვემდებარებულ ორ სპეცრაზმს შორის "ალფას" პრივილეგირებულის პოზიცია ეჭირა.

ყველა მნიშვნელოვანი და საიდუმლო ოპერაციის ჩატარებას, ძირითადად, გიორგაძის გუნდს - ალფელებს ანდობდნენ, "ომეგას" კი, ფაქტობრივად, კომერციული ტვირთების გაცილების მეტი არაფერი ევალებოდა.

თუმცა, "ალფას" სპეცდავალებების შესრულება ზედმიწევნით კარგად ხელეწიფებოდა: რუსულ სუკ-ში გაწვრთნილი, რუსული ორიენტაციის უშიშროების მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი ალფელები სამხედრო-საინჟინრო საქმის (დანაღმვა-განაღმვა-აფეთქება) საუკეთესო სპეციალისტები იყვნენ, კარგი მოიერიშეები, დაცვის ხელოვნების ზედმიწევნით მცოდნენი, ასევე, საუკეთესო სნაიპერები...

ინფორმაცია, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია. თანაც იმდენად, რომ ამერიკელების მიერ ყოველივე ზემოთ ნაამბობის (და, ალბათ, ბევრი ისეთისაც, რაც, შესაძლოა, ჩვენ არც ვიცით) დაკავშირება ორი ზესახელმწიფოს სპეცსამსახურების დაპირისპირების ობიექტად ქცეულ საქართველოში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის მკვლელობასთან სრულიად ბუნებრივია.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ბედნიერი ფრედ ვუდროფი საქართველოში.*

## ეკონომიკა

### "ანგლო ოილი" საქართველოს ლონდონში ჩივილით ემუქრება

ავსტრიაში რეგისტრირებული კომპანია "ანგლო ოილი", რომლის მფლობელიც "მრეწველი" ლევან პირველია, საქართველოს ენერგოსექტორს 46 მილიონ დოლარს ედავება. ამის გამო, არ არის გამორიცხული, რომ საქართველო საერთაშორისო სკანდალში აღმოჩნდეს ჩათრეული.

A4

## უცხოეთი

### ირანი საფრთხის თავიდან აცილებას ცდილობს

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა "რეგიონული უსაფრთხოების" სტრატეგია, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან კავშირების განმტკიცებას ისახავს მიზნად. ამავე დროს, ირანის სამხედრო ისტებლიშმენტის წარმომადგენლები "თავდაცვითი შეკავების" პოლიტიკაზე სულ უფრო ხშირად საუბრობენ.

A5

## საზოგადოება

### საქართველოს 450 მოქალაქე ჰომოსექსუალისტობას აღიარებს

შიდსის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაერო-ს ოფისში გამართულ ღონისძიებაზე დამაიმედებელ ინფორმაციასთან ერთად ბევრისთვის მოულოდნელი და სამწუხარო განცხადებაც გაკეთდა.

A8

## სამართალი

### გაიტაცეს „უშბას„ პრეზიდენტის მიკროავტობუსი

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფირმა "უშბას" პრეზიდენტის, ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გოჩა ფიფიას კუთვნილი "ფორდის" ტიპის მიკროავტობუსი სოფელ კორცხელში ხუთმა ნიღბიანმა უცნობმა დააყაჩაღა.

A8

### ევროსაბჭო ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ

ერთ თვეში საქართველოში ჩამოვლენ ევროსაბჭოს ექსპერტები, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის არაკონტროლირებად ტერიტორიებს მოინახულებენ. უცხოელი ექსპერტები ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხებზე თავად მოიძიებენ ინფორმაციას და ამ რეგიონებში შექმნილ ვითარებას ადგილზე შეისწავლიან.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | ☂ |
| ქუთაისი | 24 | ☂ |
| ბათუმი | 18 | ☂ |
| სოხუმი | 21 | ☂ |
| ფოთი | 20 | ☂ |
| თელავი | 22 | ☂ |
| ზუგდიდი | 23 | ☂ |
| გორი | 21 | ☂ |
| ახმეტა | 23 | ☂ |
| ჭიათურა | 24 | ☂ |
| გაგრა | 20 | ☂ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.4569 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4909 |
| რუბლი | 0.0698 |

# რუსეთი და ნატო კავკასიურ ცარცის წრეში

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"
ვოლგოგრადიდან

*"ნატო"-სთან ურთიერთობაში რუსეთი მზადაა, ისევე ღრმად შევიდეს, როგორც თავად ბლოკია მზად ამისთვის", - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ეს ერთი წლის წინანდელი განცხადება კვლავ ძალაში რჩება. 13-14 მაისს მოსკოვში გამართულმა რუსეთ-ნატოს სამიტმა დაადასტურა, რომ 19+1-ის ფორმატის ფარგლებში რუსეთი გააგრძელებს თანამშრომლობას ალიანსთან. თუმცა, რუსეთის ოფიციალურ პოლიტიკას თან ახლავს გარკვეული დათქმები, რაც საგონებელში აგდებს ალიანსის წარმომადგენლებს.*

მოსკოვში ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტებს და რუსეთ-ნატო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს დაარსების წლისთავს, რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება მიეძღვნა – რაკი არსებობს თარიღი, ესე იგი არსებობს მიზეზი მიღწევების და წარუმატებლობის გაანალიზებისა და, შესაბამისად - ახალი პერსპექტივების დასახვისთვის.

მიუხედავად რუსეთსა და ნატო-ს შორის გაფორმებული თანამშრომლობისა, ფაქტია, რომ მოსკოვი არანაირად არ არის მზად, "ღრმად ჩაჰყვეს თანამშრომლობაში" ალიანსს. დამოუკიდებელი რუსი ექსპერტებიც კი, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში ლიბერალური ფასეულობების მიმდევრებად ითვლებიან, ხშირად აკრიტიკებენ ალიანსს ორმაგი სტანდარტების

გაგრძელება A2 გვერდზე

# აჭარასთან საბიუჯეტო ურთიერთობის წინასაარჩევნო კონტექსტი

მაია ურუშაძე

*აჭარასთან მოუგვარებელი საბიუჯეტო ურთიერთობის გამო, მთავრობამ სავალუტო ფონდის მისიისგან მორიგი საყვედური დაიმსახურა. თუ აჭარიდან თანხები არ გადმოირიცხა, სავალუტო ფონდი ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მინიმუმ 25 მილიონი ლარით შემცირებას მოითხოვს. საყვედურს სახელმწიფო მინისტრის აჭარაში ვიზიტი მოჰყვა. მიუხედავად ამისა, პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება: "არ გვაქვს ილუზია, რომ ასე, ერთი ვიზიტით მოგვარდება ეს საკითხი," – აცხადებენ კანცელარიაში და "პრობლემის აღმოფხვრისათვის კომპრომისული გზების მოსაძებნად" მუშაობის გაგრძელებას გეგმავენ.*

აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე ცენტრალური ბიუჯეტის მხრიდან აჭარის მიმართ 120 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანებაზე საუბრობს და შევარდნაძის ხელისუფლებას აჭარის ეკონომიკური ზრდისათვის ხელის შეშლაშიც ადანაშაულებს. ცენტრი კი, თავის მხრივ, აჭარას საყვედურობს, რომ რეგიონიდან ცენტრალურ ბიუჯეტში თანხები არ ირიცხება.

პრობლემის არსი მარტივია: აჭარა ცენტრალური ბიუჯეტიდან იმ დავალიანების ანაზღაურებას ითხოვს, რაც, საბიუჯეტო კანონის დაცული მუხლების მიხედვით ეკუთვნის, რეალურად კი – 4-5 წელია არ მიუღია. ასლან აბაშიძე პოზიციას არ იცვლის და კვლავ მიიჩნევს, რომ საბიუჯეტო ურთიერთობების დარეგულირება და ფინანსური გაუგებრობების აღმოფხვრა მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების სურვილზეა დამოკიდებული.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 ექსკლუზივი A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6-A7 "საოჯახო ტოტო" A8 საზოგადოება A8 სამართალი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# საარჩევნო "ჩემპიონატი" და მისი მონაწილეები

გიორგი ასანიშვილი

ნელ-ნელა იკვეთება იმ პოლიტიკური ბანაკების კონტურები, რომლებსაც 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმატების მიღწევის მეტ-ნაკლები შანსი გააჩნიათ. შედარებით მკაფიო სურათია სახელისუფლებო ფლანგზე, სადაც სრული მობილიზაციაა გამოცხადებული. მმართველმა ძალამ მეტად მარტივი და ნაცადი ტაქტიკა აირჩია: "ვეპატიჟებით ყველას, ვისაც ჩვენს გვერდით დგომა არ ეთაკილება!", - აცხადებენ სახელმწიფო კანცელარიაში და ბლოკში "ახალი საქართველოსთვის", რომელიც ზურაბ ჟვანიამ ერთ-ერთ თავის ინტერვიუში "მორიელებით სავსე ქილას" შეადარა, უპრობლემოდ აწევრიანებენ ყველა მსურველს - მნიშვნელობა არა აქვს, ახალი სუბიექტი მემარჯვენეა თუ მემარცხენე, მცირერიცხოვანია თუ შედარებით მრავალრიცხოვანი, რეგიონული წარმონაქმნია თუ მთელი ქვეყნის მასშტაბით გააჩნია პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ადრე ხელისუფლებაში იყო თუ ოპოზიციაში, აგინებდა შევარდნაძეს თუ მას ადრეც გუნდრუკს უკმევდა...

"ნეოჯორჯიელობის" ერთადერთ აუცილებელ პირობას პრეზიდენტის კურსისთვის უსიტყვო მორჩილების გამოცხადება წარმოადგენს, რაც, თავისთავად, სულაც არ არის ძნელი საქმე. საფიქრებელია, რომ არჩევნების მოახლოების კვალობაზე აღნიშნული ბლოკი კიდევ უფრო გაფართოვდება (სავარძლების მაძიებლებს რა გამოლევს!) და ყველა დასაშვები თუ მიუღებელი გზებით შეეცდება პოლიტიკურ ოლიმპზე ადგილის შენარჩუნებას.

გაცილებით რთული და გაურკვეველი მდგომარეობაა ოპოზიციის ბანაკში. აქ მოვლენები რამდენიმე მიმართულებით შეიძლება განვითარდეს. იდეალური ვარიანტია მთელი ოპოზიციის გაერთიანება. ამ შემთხვევაში საარჩევნო ხმები, პრაქტიკულად, არ დაიკარგება და ოპოზიციის რესურსები მთლიანად იქნება ათვისებული, რაც ხელისუფლებას სერიოზული განსაცდელის წინაშე დააყენებს. თუმცა, ოპოზიციის დღევანდელი ინფრასტრუქტურისა და შიდა ურთიერთობების გათვალისწინებით, ეს ვარიანტი ნაკლებად რეალურია.

ყველაზე უარესი ვარიანტია სრული პარტიკულარიზაცია. თუ ოპოზიციური ჯგუფები საკუთარ ამბიციებს ვერ მოთოკავენ და ყველა თავის პარტიულ ნაჭუჭში ჩაიკეტება, ეს ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს: 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დამოუკიდებლად გადალახვა მხოლოდ ორ-სამ ოპოზიციურ პარტიას ხელეწიფება, დანარჩენების გაუქმებულ ხმებს კი, დღევანდელი საარჩევნო ინდუსტრიის დაუწერელი კანონებიდან გამომდინარე, ხელისუფლება დაეპატრონება.

თუმცა, ყველაზე რეალურ ვარიანტად რამდენიმე სუბიექტისგან შექმნილი ოპოზიციური ალიანსი შეიძლება მივიჩნიოთ. "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" შეკავშირება მხოლოდ დროის ამბავია. კიდევ ვინ შეიძლება დადგეს მათ გვერდით? სხვადასხვა ხარისხის ალბათობით - "ახლები", "ტრადიციონალისტები", ჯუმბერ პატიაშვილის "ერთობა". ეს იქნება, ალბათ, ყველაზე ოპტიმალური (რაოდენობრივი თვალსაზრისით) გაერთიანება, რომლის შექმნაც არჩევნებამდე შეიძლება მოესწროს.

"ახალი საქართველოსთვის" და ჰიპოთეზური ოპოზიციური ბლოკის შემდეგ მესამე დიდი ბანაკი, რომელიც 2 ნოემბრისთვის დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში ანგარიშგასაწევი ძალა იქნება, ასლან აბაშიძის მხარდამჭერი პოლიტიკური გუნდია. "აღორძინების" შესაძლებლობები მეტ-ნაკლებად განსაზღვრულ ჩარჩოებში თავსდება და ამიტომ მისგან რაიმე დიდ სენსაციას არ უნდა ველოდოთ: აბსოლუტური უმრავლესობა აჭარაში და საშუალოზე დაბალი მონაცემები ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში - ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიაცია, ალბათ, არც ამჯერად დაირღვევა. მართალია, ტრადიციონალისტებისა და სოციალისტების სახით "აღორძინებიდან" გადინება მოხდა, მაგრამ ეს ასლან აბაშიძის "არმადას" სერიოზულად ვერ დაასუსტებს: ყოველთვის გამოჩნდებიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც პარლამენტში შესასვლელი "ვიზის" მოსაპოვებლად ამ დუეტს სიამოვნებით ჩაენაცვლებიან. არ არის გამორიცხული, ერთ-ერთი ასეთი ძალა გახდეს, მაგალითად, გიორგი კობახიძის "ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი", რომელმაც ასლან აბაშიძის მიმართ ბოლო ხანს უკვე რამდენჯერმე ლიად გამოხატა თავისი პოლიტიკური სიმპათიები.

რა შეფერილობის და შემადგენლობისა იქნება ახალი "აღორძინება", პარტიულ ფორუმზე გამოჩნდება, ყრილობის გამართვა მაისის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. აქვე შეიძლება იმის თქმაც, რომ ტრადიციონალისტებისა და სოციალისტებისგან ნაგემმა ალიყურმა ასლან აბაშიძეს სიფრთხილე ასწავლა. საარჩევნო პარტნიორებს ბათუმში ბრმად უკვე აღარ ენდობიან და მათგან სრულ "განიარაღებას" ითხოვენ: აბაშიძის მოკავშირეებმა პარტიულ თვითმყოფადობაზე უარი უნდა თქვან და "აღორძინებას" შეერწყან. ასეთი იძულებითი ნაბიჯი უკვე გადადგეს საპარლამენტო ფრაქცია "XXI საუკუნეში" შემავალმა პოლიტიკოსებმა. მომავალ საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის გარანტიების მისაღებად მათ "კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებასა" და მოძრაობა "ჭყონდიდელს" ფაქტობრივი ლიკვიდაცია გაუკეთეს და "აღორძინების" მიერ ამ ორგანიზაციების "ანექსირებაზე" მოაწერეს ხელი.

ბათუმის პოლიტიკური წრეების მხრიდან ელექტორატის გაზრდის მცდელობად უნდა ჩაითვალოს ის დაპირისპირებაც, რომელიც აჭარისა და აფხაზეთის ხელისუფლებას შორის მიმდინარეობს. აფხაზეთის რკინიგზის გახსნა, ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა, ლტოლვილების დაბრუნება და სხვა საკითხების ირგვლივ გაჩაღებული დებატების უკან, პოლიტიკური დივიდენდების მიღების სურვილთან ერთად, აშკარად იკითხება ლტოლვილთა საარჩევნო ხმების "დათრევის" სურვილი.

ცალკე საუბრის თემაა პარტიები, რომლებიც გუნდურ თამაშზე უარს ამბობენ და საარჩევნო "ჩემპიონატში" "ინდივიდუალური პროგრამით" აპირებენ ასპარეზობას. ასეთი განზრახვა აქვთ, მაგალითად, ლეიბორისტებსა და "მრეწველებს". შალვა ნათელაშვილის "მარტოსულობა" მეტ-ნაკლებად პროგნოზირებადი იყო. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი წინასაარჩევნო ალიანსებში შესვლას ადრეც არიდებდა თავს და საკუთარ თამაშს თამაშობდა, რადგან იცის, რომ მის პოპულისტურ იდეებს სოციალურად გაჭირვებულ ფენებში მხარდამჭერი მრავლად ეყოლება.

საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულები არიან "მრეწველებიც". ოღონდ, მათი "დამოუკიდებლობა" ძალიან პირობითია. ფორმალურად, თოფაძე-ტყემალაძის პოლიტიკური გუნდი არავის ემორჩილება, მაგრამ, რეალურად, მაინც სახელისუფლებო მარწუხების ქვეშ იმყოფება. ხელისუფლების წინაშე "მრეწველებს" გარკვეული ვალდებულებები, როგორც ჩანს, მაინც გააჩნიათ. გაიხსენეთ თუნდაც პრეზიდენტის მოთხოვნა თოფაძისადმი რამდენიმე მილიონის "ჩამოყაჭვის" შესახებ, რომელიც ქართული ლუდის მაგნატს არ "დაუყაჭავს", მაგრამ მისი წარმოება საგადასახადო სამსახურის მიერ შერისხულ 73 საწარმოთა შორის მაინც არ აღმოჩნდა (ისევე, როგორც ტყემალაძის ბიზნესი). დაუმატეთ ამას ისიც, რომ "მრეწველების" მიერ ნალოლიავები საგადასახადო კოდექსი შუა გზაშია გაჩხერილი: პარლამენტის მიერ მისი პირველი მოსმენით მიღების შემდეგღა "გაახსენდათ" კანცელარიაში, რომ კანონპროექტზე მთავრობას არ უმსჯელია და ამ მოტივით დოკუმენტის განხილვა შეჩერდა. ამდენად, საარჩევნო კოდექსი გახდა კიდევ ერთი ბერკეტი, რომლითაც ხელისუფლებას შეუძლია, "მრეწველთა" საარჩევნო პოლიტიკა თავისი ინტერესების გათვალისწინებით წარმართოს - "მრეწველები", ფორმალურად, დამოუკიდებლები იყვნენ, რეალურად კი სახელისუფლებო ბანაკის არაოფიციალური წევრები გახდნენ.

დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ ქართული პოლიტიკური "ბრძოლის ველი" 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. მის ცალკეულ "ფრონტებზე" ცვლილებები აუცილებლად იქნება, მაგრამ არა ისეთი, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ ბანაკებს სერიოზულად გადაასხვაფერებს.

# სუუამის რეგიონული ორგანიზაცია პირველი სამიტისთვის ემზადება

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

*დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში შექმნილი და ნატო-ზე ორიენტირებული სუუამ-ის რეგიონული ორგანიზაცია სექტემბრისთვის პირველი სამიტისთვის ემზადება. მანამდე კი, [illegible] მიზეზით გადაიდო თბილისში 19-20 მაისს დანიშნული სუუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. ჯერჯერობით, კვლავ ბუნდოვანი რჩება სუუამ-ის შიგნით უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის პერსპექტივა. მაშინ, როცა მეორე [illegible] დსთ-ის ექვსმა ქვეყანამ, რუსეთის ხელმძღვანელობით, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება გააფორმა და ერთიანი სამხედრო შტაბის სტრუქტურაც ჩამოაყალიბა.*


ყველა დემოკრატი რესპუბლიკელი ბუშის წინააღმდეგ.
ბესო გულაშვილის ფოტო

ხუთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა: საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანისა და მოლდოვის სურვილით, დაფუძნებული ახალი რეგიონული გაერთიანება, ხოლო 4 წლის წინ, ნატო-ს საიუბილეო სამიტზე შეიქნა. მაგრამ სხვადასხვა [illegible] გაერთიანების ინსტიტუციონალიზაცია არც ისე მარტივი საქმე აღმოჩნდა, ერთი მხრივ, რუსეთის ზეწოლისა და, მეორე მხრივ, თავად სუუამ-ის წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით უზბეკეთის ზედმეტად ფრთხილი დამოკიდებულების გამო.

ერთი პერიოდი, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბევრი საერთაშორისო ექსპერტი რეგიონულ ხუთეულს მკვდრადშობილ ორგანიზაციად ხედავდა, ხოლო უზბეკეთის სუუამ-დან გასვლის პერსპექტივას აც [illegible]. მაგრამ, როგორც საერთაშორისო საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი შალვა ფიჩხაძე აცხადებს, ინსტიტუციონალიზაციის პირველი ეტაპი გადალახულია და სუუამ-ი ინტეგრაციის თვალსაზრისით უფრო წინ მიდის, ვიდრე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. **"ინსტიტუციონალიზაცია დაწყებულია, იქმნება ორგანოები, პრიორიტეტულია შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. უსაფრთხოების კომპონენტზე არის ლაპარაკი, მაგრამ ახლა კონკრეტულად თქმა იმისა, რომ უკვე არსებობს რაიმე ერთობლივ სამხედრო სტრუქტურაზე შეთანხმება, რა თქმა უნდა, ნაადრევია."**

არადა, აღსანიშნავია, რომ თავის დროზე სუუამ-ის შიგნით აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სამხედრო პროექტების რეალიზაციის მიმართულებით და ერთობლივი სამშვიდობო ბატალიონის შექმნის იდეასაც კი [illegible].

ძალზე ნიშანდობლივი დეტალია, რომ 1999 წელს, ნატო-ს საიუბილეო სამიტის წინა დღეებში, თბილისის ახლოს, იალღუჯას პოლიგონზე უწყვეტი სამხედრო წვრთნა ჩატარდა. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური მხარდაჭერით [illegible], საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის სამხედრო ოცეულები, საგანგებო სიტუაციებში ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ტრასაზე უსაფრთხოების დაცვის ერთობლივ ამოცანებს ასრულებდნენ.

ნატო-ს სამიტზევე გამოითქვა მოსაზრება, რომ სუუამ-ი გარდაიქმნებოდა რეგიონულ ორგანიზაციად, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით, ნატო-ს შეხვედრები სუუამ-თან მოეწყობოდა სქემით 16+5.

2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მომხდარი საუკუნის ტერორისტული აქტების შემდგომ, სუუამ-ის წევრმა ქვეყნებმა კიდევ უფრო გამოკვეთეს უშიშროების სფეროში თანამშრომლობის სურვილი. 2001 წლის 14 ნოემბერს აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვის, უკრაინისა და უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, აგრეთვე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში მარკ გროსმანმა გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომლის თანახმად, სუუამ-ის ქვეყნები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შეერთებულ შტატებთან და აღიარებენ ერთობლივი ქმედების აუცილებლობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოება, ნარკოტრანზიტთან და ტრეფიკინგთან ბრძოლა, იარაღით უკანონო ვაჭრობა და უკანონო მიგრაცია.

ამის გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 25 იანვარს თბილისში შეკრებილი სუუამ-ის ქვეყნების წარმომადგენლები გამოვიდნენ ინიციატივით, შექმნილიყო ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. ცოტა მოგვიანებით გამოითქვა მოსაზრება სუუამ-ის საპარლამენტთაშორისო მუდმივმოქმედი ჯგუფის შექმნის თაობაზე.

მაგრამ ის, რომ სუუამ-ის შიგნით პრიორიტეტი თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური პროექტების განხორციელებას მიენიჭა და არა სამხედრო სფეროს, ექსპერტების განცხადებით, სწორედ წევრ სახელმწიფოთა ლიდერების პრაგმატიზმით უნდა აიხსნას: ეკონომიკური ბაზისის გარეშე ხომ შეუძლებელია ფიქრი უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაზე. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ბევრ ექსპერტს, რომელმაც სუუამ-ს დსთ-ზე უკეთესი განვითარების პერსპექტივა უწინასწარმეტყველა.

**"თუ დსთ-ს არ ექნა ეკონომიკური კომპონენტი თავისუფალი ვაჭრობის სახით და, თუ მან ვერ აღასრულა სამშვიდობო ფუნქცია, ასეთი თანამეგობრობის აზრი ცოტა გაუგებარია. ერთადერთი არგუმენტი, რისთვისაც სახელმწიფოები ჯერ კიდევ რჩებიან დსთ-ში, ისაა, რომ ჯერ ერთი, ამით არავინ არაფერს კარგავს და მეორე, სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ ამ ორ კომპონენტში პროგრესის მიღწევის პოტენციალი ჯერ კიდევ არსებობს,"** - აცხადებს შალვა ფიჩხაძე. კრიტიკის მიუხედავად, დსთ-ს ექვსმა ქვეყანამ, რომელიც ერთი თვის წინ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაერთიანდა, დაამტკიცეს, რომ ეს პოტენციალი რეალურად არსებობს. ოღონდ რუსეთის, სომხეთის, ბელორუსის, ყირგიზეთის, ყაზახეთისა და ტაჯიკეთისთვის პრიორიტეტულად გამოცხადდა ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებისა და ავღანეთიდან მომდინარე ტერორიზმის საფრთხე. ახლა ჯერი სუუამზეა, რომელმაც სიცოცხლისუნარიანობა საქმით ანუ რეალური ინტეგრაციით უნდა დაადასტუროს. მით უფრო, რომ ურთიერთსასარგებლო პროექტების გარდა, არსებობს ძლიერი ფინანსური დონორი აშშ-ს სახით, რომელიც მზადაა პროდასავლური რეგიონული ორგანიზაციის მხარდასაჭერად 46 მილიონი დოლარი გამოყოს. ოღონდ ჯერ საქმე!

# ქართული ფორუმი ვაშინგტონში

პირველი გვერდიდან

ქართული ფორუმის მიზანია, დაეხმაროს საქართველოს, გაბედული ნაბიჯები გადადგას დემოკრატიზაციის, ეკონომიკური რეფორმების და ადამიანთა უფლებების დაცვის გზაზე - აღნიშნულია ასოციაციის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.

ამ ეტაპზე ქართული ფორუმის დამფუძნებლები, ისევე როგორც ვაშინგტონის საქართველოთი დაინტერესებული პოლიტიკური წრეები, მთელ აქცენტს მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე აკეთებენ.

**"სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს აქვს უკეთესი შანსი, რომ ხელისუფლების ცვლა უმტკივნეულოდ და დემოკრატიულად მოხდეს. მაგრამ ეს არ არის ის ერთადერთი გზა, რომელსაც შეიძლება, ქვეყანა დაადგეს. იმის საფრთხე, რომ საქართველოში ელცინი-პუტინის სცენარი გათამაშდება, ძალიან დიდია, ისევე, როგორც იმის საშიშროება, რომ არადემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები სერიოზულ არეულობას გამოიწვევს და ქვეყანას 90-იანი წლების დასაწყისში დააბრუნებს. საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხი განმსაზღვრელი იქნება მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვისაც. ასე რომ, ამ არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავლისთვის",** - აღნიშნა პროფესორმა ჩარლ ფერბენქსმა ქართული ფორუმის სხდომაზე.

**"თუ საქართველოს უნდა, შეინარჩუნოს ამერიკის დახმარება, მათ შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, და მართლაც, დაინტერესებულია ნატო-ში გაწევრიანებით, მაშინ ყველა უნდა აცნობიერებდეს იმას, რა მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულად ჩატარებულ არჩევნებს",** - განაცხადა ელჩმა დევიდ სმიტმა, რომელიც უსაფრთხოების საკითხებში საქართველოს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრია.

ამომრჩეველთა ზუსტი სიების შედგენა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეცვლა, ხმების დათვლის პროცესის გამჭვირვალობა, მაქსიმალური საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელება - მოთხოვნები, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებას ვაშინგტონში უყენებენ, არაფრით განსხვავდება იმ მოთხოვნებისაგან, რომელზეც ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები უკვე დიდი ხანია საუბრობენ.

**"სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით არაფერს აკეთებს ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნების შესასრულებლად",** - განაცხადა ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ევრაზიის რეგიონულმა დირექტორმა, ელჩმა ნელსონ ლედსკიმ, - **არ არის დაზუსტებული ამომრჩეველთა სიები, გაურკვეველია, როგორი იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედგენის წესი. რაც შეეხება მონიტორინგს, საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, არჩევნებზე დამკვირვებელთა დიდ შემადგენლობას გააგზავნის".**

საქართველოსთვის ამ საპარლამენტო არჩევნების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე საუბრობენ ამერიკის ადმინისტრაციასა და სახელმწიფო დეპარტამენტშიც. ადმინისტრაციის კარგად ინფორმირებული წყაროს ცნობით, ახლო მომავალში შევარდნაძე ამერიკის ხელისუფლებისგან ძალიან ზუსტ და ნათელ მესიჯებს მიიღებს. ამ მესიჯების შინაარსი დაახლოებით იქნება ის, რომ არადემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს მისი ძველი ავტორიტეტი ველარ დაეხმარება და ადმინისტრაცია ქვეყნის მიმართ თავის დამოკიდებულებას შეცვლის; ხოლო, თუ საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება, ამერიკის ხელისუფლება ძალიან სერიოზულ დიპლომატიურ ნაბიჯებს გადადგამს საქართველოს დასახმარებლად. კონკრეტულად რა სახის დახმარებაზეა ლაპარაკი, ამაზე ამერიკის ხელისუფლების ოფიციალური პირები არ საუბრობენ, თუმცა მის მასშტაბურობაზე ყველა მიანიშნებს.

ასე რომ, თბილისში ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტის დროს (რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს არჩევნებამდე აქვს დაგეგმილი), მოსალოდნელია, რომ კოლინ პაუელს და შევარდნაძეს შორის საკმაოდ გულახდილი და დიპლომატიური რევერანსებისგან თავისუფალი საუბარი შედგება.

არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების კონტექსტში, ვაშინგტონში ყურადღებით აკვირდებიან ოპოზიციური პარტიების თანამშრომლობის პროცესს. აქ მიაჩნიათ, რომ დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნა ძალიან პოზიტიური მოვლენა იქნება, რომელსაც შეუძლია, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე.

ვაშინგტონში საკმაოდ სიმპატიურად არიან განწყობილნი ახალი სტუდენტური მოძრაობის "კმარას" მიმართაც, რადგან კორუმპირებული და არაეფექტური ხელისუფლების ფონზე, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა და ახალგაზრდა პოლიტიკური ლიდერების გაერთიანება არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც საქართველოში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების და, საერთოდ, დემოკრატიის გადარჩენის იმედს ტოვებს.

**"ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ რაღაც მექანიზმების შემოღებაზე, რომ არჩევნებმა დემოკრატიულად ჩაიაროს. მაგრამ ვერანაირი მექანიზმები ვერ იმუშავებს, თუ ქვეყანაში არ გამოჩნდებიან პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებენ და არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას უზრუნველყოფენ",** - ქართულ ფორუმზე დასკვნის სახით განაცხადა პროფესორმა ფრედ სტარმა.

ასე რომ, მომავალი არჩევნები არის ერთგვარი ტესტირებაც - ჰყავს თუ არა ასეთი ლიდერები ახალგაზრდა ქართულ დემოკრატიას.

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში სახელისუფლებო ბლოკის მორიგი თავყრილობა გაიმართა. ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად, ამ შეხვედრაზე სახელისუფლებო ფრაქციათა მოქმედების გეგმა განიხილეს. *"24 საათი"*

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინების" წევრი [illegible] 2 ნოემბრის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" სიებით [illegible]. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "აღორძინების" წევრი [illegible] ახალი საარჩევნო ბლოკის [illegible]. **მედეა-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "აღორძინების" წევრი [illegible] პარტიის საარჩევნო ბლოკის სიაში [illegible]. **მედეა-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს [illegible] სახელისუფლებო კრიზისის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები აქვს. ამჯერად, სოხუმი ხორბლისა და პურის ფქვილის მწვავე დეფიციტს განიცდის. **მედეა-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოციალისტური პარტიის ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი რუსეთში მცხოვრებ ქართველთა პირველ კონგრესს ამზადებს. მისი განცხადებით, კონგრესის მიზანი რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების პოტენციალის საქართველოს ეკონომიკაში გამოყენება იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტმა" და [illegible] აფხაზეთის საკითხებზე [illegible]. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლიბერალური პარტიის" თავმჯდომარის რევაზ შავიშვილის თქმით, პარტია [illegible] "დაკ"-ის საარჩევნო ბლოკში შეიძლება. ამასთან, შავიშვილის [illegible]. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის [illegible] აცხადებს, რომ ამ ეტაპზე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან [illegible]. **პრაიმ-ნიუსი**

# რუსეთი და ნატო კავკასიურ ცარცის წრეში

პირველი გვერდიდან

გამოყენებისთვის და არაეფექტურს უწოდებენ ნატო-ს მცდელობას, ახალი მიუკერძოებელი არბიტრის როლი შეასრულოს მაღალი ინტენსივობის კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში. განსაკუთრებით მიუღებელია მათთვის ალიანსის გამოწვევა სამხრეთ კავკასიაში, სადაც, მოსკოველი პოლიტოლოგების აზრით, რუსეთი ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს.

მეტიც, 15-16 მაისს რუსეთის ქალაქ ვოლგოგრადში გამართულ საერთაშორისო სემინარზე ("რუსეთი-ნატო-კავკასია – ახალი ასწლეულის გამოწვევა და ახალი პარტნიორობა") გამოსვლისას, პოლიტოლოგმა სერგეი მარკედონოვმა, რომელიც რუსი "გოსუდარსტვენნიკების" ოფიციალურ თვალსაზრისს გამოხატავს, განაცხადა, რომ დღესდღეობით, არც აშშ, არც ევროპა და არც ნატო, მზად არ არიან წარმოადგინონ მეტ-ნაკლებად მაინც დამუშავებული ვარიანტი, თუ როგორ უნდა გადაიჭრას აზებაიჯანულ-სომხური, ქართულ-ოსური ან ქართულ-აფხაზური კონფლიქტები. ზედმეტია ლაპარაკი, ნატო-ს ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარევაზე რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტში, რომელიც ამბოხებული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების შემდეგ მოსკოვს უკვე მოგვარებული ჰგონია და, რაც მთავარია - თავისი ეგიდით.

**"კოსოვოში, სომალისა და რუანდაში ჩატარებული ჰუმანიტარული ოპერაციების ფხიზელი ანალიზი გვარწმუნებს, რომ დასავლელი ექსპერტები სიფრთხილით მოეკიდებიან ამგვარი სცენარების პროეცირებას სამხრეთ კავკასიაში. სამშვიდობო მისია კავკასიაში არც საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი მოქმედი პირის – აშშ-ს ინტერესში შედის, რომელსაც, ავღანური და ერაყული "პაუზის" გამო, საკუთარი პრობლემები აქვს. შესაბამისად, რუსეთს შესაძლებლობა ეძლევა გამოიყენოს საკუთარი უპირატესობები, რომელსაც საერთაშორისო პარტნიორები სთავაზობენ და უნდა გააძლიეროს თავისი ყოფნა სამხრეთ კავკასიაში, განამტკიცოს არბიტრის როლი ამ რეგიონში,"** - აცხადებს მარკედონოვი.

ასეთი არბიტრის ფუნქციის შესასრულებლად კი რუსეთმა უნდა აირჩიოს ყველაზე ოპტიმალური - კონფლიქტის მოწესრიგების "ლათინო-ამერიკული" სცენარი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოსკოვი ახალი ფორმატით გააძლიერებს საკუთარ დომინანტურ როლს რეგიონში, მაგრამ არა რესპუბლიკების სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე. ამის გამოძახილად შეიძლებოდა მიგვეჩნია ვლადიმერ პუტინის ინიციატივები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის გასააქტიურებლად – აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო ხაზის აღდგენა, იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება გალის რაიონში და აფხაზეთის ეტაპობრივი ეკონომიკური აღორძინება.

თუმცა, სხვა რუსი ექსპერტები, მაგალითად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორი იური მოროზოვი მიიჩნევს, რომ ნატო-ს შეუძლია მიიღოს აქტიური მონაწილეობა სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოწესრიგებაში. მით უფრო, რომ "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამებმა, ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ქვედანაყოფებს, კონფლიქტის ზონაში ერთობლივი მოქმედებებისთვის კარგი გამოცდილება შესძინა.

**"თუ არ გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები ერთობლივი მშვიდობისმყოფელობის ასპექტით, ცალკეული მცდელობა, რეგიონულ დონეზე სტაბილურობის მიღწევისა, განწირულია არაეფექტურობისთვის",** - აცხადებს იური მოროზოვი.

მიუხედავად შეხედულებათა პოლარიზაციებისა, ვოლგოგრადში ჩატარებული საერთაშორისო სემინარი პირველი იყო, რომელზეც გაიმართა მსჯელობა ნატო-ს სამშვიდობო როლზე კავკასიის სტაბილიზაციის საქმეში, რაც უკვე არის წინგადადგმული ნაბიჯი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის.

თუმცა, როგორც ნატო-ში ჩეხეთის მუდმივი დელეგაციის ხელმძღვანელი დოქტორი კარელ კოვანდა აცხადებს, ეჭვის არავითარი საფუძველი არსებობს, რომ ალიანსი სერიოზულად არის დაინტერესებული, არ დაუშვას აღმოსავლეთის შემდგომი დესტაბილიზაცია.

*"ბოსნია-ჰერცოგოვინა პირველი მცდელობა იყო, როდესაც ალიანსმა თავისი საზღვრების გარეთ ჩაატარა სამშვიდობო ოპერაცია. მიმდინარე წლის სექტემბრიდან კი ნატო გადაიბარებს სამშვიდობო არბიტრის ესტაფეტას ერაყში. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის კედლებში უკვე მიმდინარეობს აქტიური დებატები, თუ რა ფორმით მიიღოს ნატო-მ მონაწილეობა ერაყის სტაბილიზების საქმეში. რაც შეეხება კავკასიის რეგიონს, ალიანსის იმპერატიული მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სამშვიდობო პროცესში ჩართულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. თუმცა, ვინაიდან პროცესები სწრაფად მიმდინარეობს, ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ნატო-ს კავკასიაშიც მოუხდეს ასეთი ფუნქციის შესრულება,"* - განაცხადა კოვანდამ სემინარზე.

მაგრამ ასეთი ვარაუდები არ შეიძლება დამშვიდების უფლებას აძლევდეს სამხრეთ კავკასიის იმ ქვეყნებს(საქართველოსა და აზერბაიჯანს), სადაც შეიძლება ფიქრობდნენ, რომ შიდა კონფლიქტები ნატო-ში შესვლის შემდეგ გადაწყდება. ალიანსის სამშვიდობო გეოგრაფიის გაფართოება არ ნიშნავს, რომ იგი დათანხმდება თავის რიგებში მიიღოს ქვეყნები, რომლებიც ვერ მოახერხებენ შიდა კონფლიქტების პოლიტიკურ მოწესრიგებას.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საზავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ვუდროფის საქმე

**პირველი გვერდიდან**

სპეცაგენტის უცხო ქვეყანაში მკვლელობის ფაქტის გამოძიებით დაკავებული სპეცსამსახური აშკარად რომ აკეთებს აქცენტს ამ მკვლელობაში რუსეთის რეაქციული ძალების როლზე, ამას ისიც მოწმობს, რომ FBI-ის მიერ ფრედ ვუდროფის მკვლელობის გამო წარმოებული გამოძიების შემაჯამებელ დოკუმენტში რუსული სპეცდანიშნულების რაზმ "ალფას" კვალდაკვალ შევიდა ქვეთავი, სახელწოდებით - "ორი რუსეთი". ამ სათაურის ქვეშ დაწერილი, შემდგომში კი შავად გადალებვას გადარჩენილი რამდენიმე სტრიქონიდან ჩანს, რომ ამერიკა ორ რუსეთში ელცინს და მის ოპონენტებს გულისხმობს. ელცინი ერთგვარი დემოკრატიის იმიჯის მატარებელია მათთვის, სხვები კი: **"თუ ყველა არა, უმეტესობა მაინც საბჭოთა კავშირის დაშლის წინააღმდეგია. ისინი ბორის ელცინის წინააღმდეგ მოძრაობის გზით, რუსეთის გაძლიერებასა და ძველ გზაზე დაბრუნებას ცდილობენ"**, - ნათქვამია დოკუმენტში.

## FBI-ის დასკვნები გამოაქვს, თუმცა...

FBI-ის მიერ წარმოებულ, ფრედ ვუდროფის მკვლელობის გამოძიების საქმის ორტომეულის ერთ-ერთი ბოლო დოკუმენტი, რომელიც 1995 წლის მარტით თარიღდება, იუწყება, რომ: **"გამოძიების მიზანია, დაადგინოს ის ადამიანი თუ ადამიანები, რომლებიც ვუდროფის სიკვდილზე პასუხს აგებენ".**

ეს კი ნიშნავს, რომ მაშინ, როცა FBI ინფორმირებული იყო საქართველოში ვუდროფის მკვლელობის გამოძიების დასრულების, საბრალდებო საქმის სასამართლოში გადაცემის, სასამართლო გამოძიების ჩატარებისა და ფრედ ვუდროფის მკვლელობაში ბრალდებულისათვის 15-წლიანი პატიმრობის მისჯის შესახებ, ამერიკის სპეცსამსახური თანამემამულისა და კოლეგის მკვლელობაში დამნაშავეთა მიგნებას ჯერ ისევ მიზნად ისახავდა. მეტიც, უკვე 1995 წლის სექტემბერ-ნოემბრის დოკუმენტების თანახმად, FBI ჩქარობს გარკვეული მოქმედებების განხორციელებას. **"რაც უფრო გადადებს FBI ...** (აქ სტრიქონები წაშლილია), **მით უფრო ნაკლები იქნება შანსი, რომ იპოვის ვუდროფის მკვლელებს"**, - იკითხება 95 წლის სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტში.

**"მუდმივად ცვალებადი და არასტაბილური პირობების გამო, აუცილებელია შეთანხმება... რათა გაირკვეს, თუ ვინ და რატომ მოკლა ვუდროფი. სხვა შემთხვევაში, ინფორმაცია სამუდამოდ დაიკარგება"**, - წერს FBI-ის ოფიციალური პირი ორი თვის შემდეგ.

სავარაუდოდ, FBI საქართველოში პოლიგრაფ-ტესტის – სიცრუის დეტექტორის ჩამოტანას ჩქარობდა. ჩამოიტანეს კიდეც. სიცრუის დეტექტორზე დაკითხულთა ვინაობა თვით საგამოძიებო მასალებში დაფარულია, თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, რომ დაიკითხა ფრედ ვუდროფის მკვლელობის თითქმის ყველა მოწმე, მათ შორის, მკვლელობის მომენტში ვუდროფთან ერთად მსხდომნი: ელდარ გოგოლაძე, მარინა კაპანაძე, ელენე დარჩიაშვილი. აგრეთვე, მსჯავრდებულ ანზორ შარმაიძესთან ერთად მკვლელობის მომენტში მყოფნი - გელა ბედოიძე და გენადი ბერბიჭაშვილი.

**"სიმართლეა"**, - ასეთი დასკვნა მიიღეს დეტექტორისგან.

**"დაძაბულმა კითხვებმა ისეთი არაფერი მოგვცა, რის მიხედვითაც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი მკვლელობა. პირიქით, პოლიგრაფ-ტესტის შედეგები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მკვლელობის სხვა ვერსიები ვარაუდია"**, - წერს FBI და მიუთითებს, რომ **"შემდგომი გამოძიება და პოლიგრაფტესტები უშედეგო იქნება".**

დაბოლოს, **"ნებისმიერი აქტიური ქმედება, რომელსაც FBI ამ მიმართულებით განახორციელებს, იქნება, სულ ცოტა, უადგილო, უარეს შემთხვევაში - დესტრუქციული ფარული წყაროსა და მეთოდებისათვის"**, - ეს ამონაწერი თვით სპეცსამსახურის დასკვნაა თუ რომელიმე დაკითხულის მოსაზრება, გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ 1997 წლის 13 იანვარს ვაშინგტონში, FBI-ს ცენტრალურ ოფისში გადაწყვიტეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის უცხო ქვეყანაში მკვლელობის გამოძიების საქმე დაეხურათ. ამ გადაწყვეტილებას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა ნიუ-იორკში(?)...

ამ ინფორმაციის მაუწყებელი დოკუმენტი FBI-დან გამოგზავნილ ორტომეულში უკანასკნელია. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, რა შეთანხმებამდე მივიდნენ უწყებები.

**"ამ საქმის გართულება საბოლოოდ არავინ ისურვა",** - ასეთ რეზიუმეს უკეთებს საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი FBI-ის ბოლო დოკუმენტს.

## ფედერიკ ვუდროფი საქართველოში ამერიკის სტრატეგიული პროექტების განმახორციელებელი

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ერთგვარ წესად აქვს ამა თუ იმ ქვეყანაში თავისი აგენტებისთვის ამერიკის საელჩოს თანამშრომლის სტატუსით უზრუნველყოფა. ანუ, "ცრუ"-ს აგენტი, ოფიციალურად, საელჩოს თანამშრომლადაა გაფორმებული, სარგებლობს დიპლომატის იმუნიტეტით; გამოვლენის შემთხვევაში კი, პერსონა ნონ-გრატად გამოცხადდება და ქვეყნიდან გაძევება ელის.

ერთი რამ, რაც ამერიკელი დიპლომატებისგან საელჩოს თანამშრომელ "ცერეუშნიკებს" გამოარჩევს – ეს არის რისკი. სპეციალურ ანონიმურ ბროშურაში, თავად აგენტები აღიარებენ, რომ ცივი ომის დასრულებას "შპიონების" სასიცოცხლო საფრთხე სულაც არ შეუმცირებია. პირიქით, იმავე ბროშურაში ასეთ სევდანარევ ხუმრობასაც ამოიკითხავთ: "აგენტს მხოლოდ იმის გარანტია აქვს, რომ მას პროზაული სიკვდილი არ ელის". გაზეთ "ლოს ანჯელეს ტაიმსის" სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ასეთი "არამოსაწყენი" აღსასრული ჰპოვა საქართველოში ცსს-ს სტაჟიანმა აგენტმა ფრედ რასელ ვუდროფმა და მისი გვარი 57-ე გახდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სათაო ოფისის ფოიეს ჩრდილოეთ კედელზე, რომელზეც ამოტვიფრულია ვარსკვლავები, იმ აგენტთა სახელების უკვდავსაყოფად, რომლებიც ქვეყნის სამსახურში დაიღუპნენ.

ფრედ ვუდროფმა, განათლებით თეოლოგმა, ცსს-ში მუშაობა 1978 წელს, 30 წლის ასაკში დაიწყო. მანამდე იგი FBI-ს სპეციალურ აგენტად მუშაობდა. საქართველოში ჩამოსვლამდე, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ის შეგზავნილი იყო ლენინგრადში, თურქეთში, ეთიოპიასა და სუდანში. თუმცა, ვუდროფის საქართველოში მუშაობა, თავისი სპეციფიკით, მისი წარსული მოღვაწეობისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა - თუ ადრე სპეციალური აგენტი ვუდროფი წმინდა შპიონაჟს ეწეოდა, საქართველოში იგი ამერიკის მთავრობის დახმარებით სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე დამდგარი ქვეყნისათვის დახმარების გასაწევად შექმნილი გეგმის ნაწილის განმახორციელებელი იყო.

**"სპეცსამსახურების შეფასებით, ედუარდ შევარდნაძეზე გავლენის მომხდენია ცრუ-ს თბილისის რეზიდენტურა, რომელიც აშშ-ს საელჩოს "კრიშის" ქვეშ მოქმედებს. ეს ორგანო ექვემდებარება ცრუ-ს დირექტორატის ოპერატიულ კასპიის დეპარტამენტს, რომელიც კასპიის ზღვის ეკვატორზე განლაგებულ ქვეყნებს, მათ შორის, სსრკ-ს ყოფილ ქვეყნებს აკონტროლებს. იმის გათვალისწინებით, რომ შევარდნაძე ღიად აფიქსირებს მის პროამერიკულ შიდაპოლიტიკურ კურსს, ამ დანაყოფს საქართველოში კარგად გამყარებული ოპერატიული პოზიციები აქვს. გარდა ამისა, შევარდნაძის ადმინისტრაციაში აქტიურად მუშაობს ამერიკელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მრჩეველთა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია ამერიკული სპეცსამსახურების სპეციალისტებით. სწორედ ამ ჯგუფისა და თბილისის ცრუ-ს რეზიდენტურის თანამშრომლების საშუალებით ხერხდება შევარდნაძესა და აშშ-ს უმაღლეს ხელისუფლებას შორის ურთიერთშეთანხმებული მოქმედებები. ამერიკელი დიპლომატების შეფასებით, შევარდნაძე არა მარტო სიტყვით, საქმითაც ცდილობს საქართველო კავკასიაში ამერიკის ინტერესის ობიექტად აქციოს,"** - ფრედ ვუდროფის მკვლელობისადმი მიძღვნის პუბლიცისტურ წერილში წლების წინ წერდა გაზეთი "ნიუ იორკ თაიმსი".

მაინც, რას აკეთებდა ვუდროფი საქართველოში? როდესაც გაზეთმა "ნიუ იორკ თაიმსმა" თეთრ სახლს ამ შეკითხვით მიმართა, პასუხი გასაგები, მოკლე და, ამავდროულად, ბუნდოვანი იყო: ფრედ ვუდროფი ცსს-ს ჯგუფის წევრი გახლდათ, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალებს წვრთნიდა. ეს ფაქტი ვუდროფის სიკვდილამდე სრულიად გასაიდუმლოებული გახლდათ.

**"რუსეთის პერიფერიაში იზრდება ამერიკის როლი. სპეციალური ძალები საქართველოში შევარდნაძის დაცვის გასაწვრთნელად იმყოფებიან. ქართველები ამერიკის ბაზებზე სწავლობენ. ამერიკული სპეცსამსახურები შევარდნაძეს უსაფრთხოების დაცვის გამაგრებაში დაეხმარნენ. მისი დაცვის წევრებმა სტაჟირება ამერიკაში, სპეცჯგუფ "დელტას" ბაზაზე გაიარეს. "დელტა" ცნობილია თავისი ანტიტერორისტული ოპერაციებით. შემდეგ მათ საქართველოშიც კურირებდნენ, ამ საქმით დაკავებული იყო ვუდროფი. ვუდროფი გახლდათ შევარდნაძის პირადი დაცვის კონსულტანტი, მეტიც - კურატორი,"** – წერდა გაზეთი "ინდეპენდენტი".

პირველი სერიოზული პროექტი, რომელიც ვუდროფის უშუალო მონაწილეობითა და სერიოზული ძალისხმევით განხორციელდა, ეს იყო სპეცჯგუფ "ომეგას", რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფო მეთაურის უსაფრთხოების დაცვა ევალებოდა, მომზადება. ჯგუფის ძირითადი ბირთვი მართლაც ედუარდ შევარდნაძის პირადი დაცვის წევრებით დაკომპლექტდა.

თუმცა, პროექტის ამუშავებას წინ სერიოზული შემაფერხებელი მომენტები უძღოდა. საქმე ისაა, რომ "ომეგას" მომზადების თაობაზე ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით საქართველოს სპეცსამსახურის თანამშრომლების მიერ შექმნილი პროექტი ჯორჯ ბუშმა მიიღო. თუმცა, მან ვერ მოასწრო, ვიზა მიეცა პროექტის ამოქმედებისთვის, რადგან აშშ-ს პრეზიდენტის სავარძელი ბილ კლინტონს გადაულოცა. ახალი პრეზიდენტის კანცელარიაში "ომეგას" შექმნისთვის გამზადებული გეგმა კარგა ხანს იდო უმოქმედოდ, რადგან კლინტონის ადმინისტრაციამ ეჭვი გამოთქვა, რომ საქართველო "ომეგას" დონის რაზმის შენარჩუნებას ვერ შეძლებდა. თუმცა, ორიოდ თვეში პროექტს მსვლელობა მაინც მიეცა. ამ თვალსაზრისით, სადაზვერვო სამუშაოებს სწორედ ვუდროფი უწევდა კურირებას. სწორედ მის მიერ დაწერილი დასკვნითი რეკომენდაციებით დაინტერესდნენ აშშ-ს ცენტრალური



ვუდროფის საქმე - ორი ტომი, სადაც კითხვებზე პასუხი წაშლილია.

სადაზვერვო სამსახურის თავკაცები და, შესაბამისად, აშშ-ს პრეზიდენტი, რასაც კლინტონის მიერ გაღებული მოწყალება მოჰყვა – აშშ-ს უნდა მოემზადებინა საქართველოში მაფიასთან, ნარკობიზნესთან და ტერორიზმთან მებრძოლი სპეცდანაყოფი - "ომეგა".

**"სპეცჯგუფ "ომეგას" პროექტის შექმნაში დიდი წვლილი დათო ბაზლაძეს მიუძღვის, ამ მხრივ ჩემი დამსახურებაც დიდია, მაგრამ როცა აშშ-ს ხელისუფლებაში ახალი ადმინისტრაცია მივიდა, პროექტის განხორციელების საკითხი ეჭვქვეშ დადგა, ამ დროს ძალიან დიდი როლი ფრედიმ შეასრულა. ფაქტობრივად, მისი უზარმაზარი ძალისხმევით გადაწყდა "ომეგას" ბედი.**

**ახლა ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მაშინ ძალიან ვიჩქარე, ამერიკული პროექტების განსახორციელებლად მაშინ საქართველო მზად არ იყო. წარმოიდგინეთ, რამხელა პროექტი ამუშავდა. გაიწვრთნა ჯგუფი, რომლის მომზადების დონის რაზმები, გარდა ამერიკისა, ახლაც კი მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას ჰყავს,"** – აცხადებს "ომეგას" შექმნის იდეის ავტორი ელდარ გოგოლაძე.

აშშ-ს სენატმა ცსს-ს მიერ მიწოდებული საქართველოს სპეცსამსახურის თანამშრომელთა მიერ შემუშავებული პროექტი (სხვათა შორის, პროექტის ავტორი სამთავრობო დაცვის სამამართველოს უფროსი ელდარ გოგოლაძე გახლდათ) განიხილა და, აშშ-ს პრეზიდენტის თანხმობის შემდეგ, ამერიკის ბიუჯეტიდან "ომეგას" მოსამზადებლად 4 მილიონი დოლარი გამოიყო. ქართულმა ჯგუფმა წვრთნა აშშ-ს სამხედრო ბაზაზე გაიარა.

**"ჩემთვის ცნობილია, რომ როცა კლინტონის ადმინისტრაციაში "ომეგას" პროექტი შეჩერდა და პროგრამის ამუშავება სერიოზულად ეჭვქვეშ დადგა, ამ დროს გადამწყვეტი როლი ფრედ ვუდროფმა შეასრულა. უფრო ზუსტად, პროექტის ავტორის ელდარ გოგოლაძის პირადმა ურთიერთობებმა იმუშავა. მას უახლოესი ურთიერთობა ჰქონდა ვუდროფთან და აშშ-ს სპეცსამსახურის სხვა მაღალჩინოსნებთანაც. იმ პერიოდში, როცა ფრედ ვუდროფი მოკლეს, აშშ-ში ვიყავით და სრულიად შემთხვევით გავიგეთ მისი მკვლელობის ამბავი. რაც შეეხება "ომეგას", ახლა ამ ჯგუფის შესაძლებლობებზე საუბარს მხოლოდ ისტორიისთვის თუ აქვს მნიშვნელობა. იყო სხვა სერიოზული პროექტებიც, მაგრამ ახლა მათზე საუბარსაც არ აქვს აზრი,"** – აცხადებს "ომეგას" ყოფილი მეთაური, პარლამენტარი ნიკა კვეზერელი.

"ომეგას" პროგრამის პარალელურად, აშშ-ს სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ, "ზღვის ლომების" (ე. წ. "კოტიკების") მომზადების ხუთწლიანი პროგრამა დაიგეგმა. ქართველ "კოტიკებს" უნდა ეტვირთათ ტერორიზმთან და ნარკომაფიასთან ბრძოლა უკვე არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში, მით უმეტეს, რომ კიდევ ერთი სერიოზული პროგრამის განხორციელებისთვის მზადება იწყებოდა - საქართველო უნდა გამხდარიყო შავი ზღვისპირა ქვეყნების უშიშროების სამსახურების საკურატორო ცენტრი. მაგრამ, სამწუხაროდ, პროექტები არ შედგა.

ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის დარღვევა ფრედ ვუდროფის მკვლელობით დაიწყო. რამდენიმე თვეში საქართველოში დაბრუნდა წვრთნაგავლილი "ომეგა", მისი განადგურებისთვისაც პოლიტიკური ნიადაგი უკვე გამზადებული იყო და ეს პროცესიც შედგა – სპეცჯგუფი დაიშალა. არადა, ამერიკელი ინსტრუქტორები, რომლებიც "ომეგას" საქართველოში ჩამოყვნენ, ჯგუფის გადარჩენას ეცადნენ, ჯგუფს ლობირებდა აშშ-ს ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნიც, თუმცა, ამერიკის ხელისუფლების მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

**"ამერიკის მთავრობა ეცადა, დახმარებოდა საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც მიღებულია როგორც დასავლური ორიენტაციის ლიდერი და რომელსაც უნდა დაეწყო ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმები, რათა რეგიონი გარდაქმნილიყო,"** – ასეთი დასკვნა გააკეთა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა 1994 წლის მარტში, იმ დროს, როცა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობა, ფაქტობრივად, უკვე ჩავარდნილი იყო.

1993 წლის 8 აგვისტოს მომხდარი მკვლელობის შემდეგ გაიხსნა კარტი და საქვეყნოდ ცნობილი გახდა, რომ ცსს საქართველოში ძალზე მნიშვნელოვან და ნაყოფიერ სამუშაოს საქართველოში ცსს-ს ბიუროს არაფორმალური მეთაურის, ფრედ ვუდროფის მეშვეობით ასრულებდა.

ფრედ ვუდროფი ვირჯინიის შტატში ცხოვრობდა, ქალაქ ხერნდონში, ვაშინგტონიდან 40 წუთის სავალზე. **"მას ერქვა ფედერიკი და მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე 45 წლის იყო, მას ყველა ფრედის ეძახდა. ფრედ ვუდროფი, მართალია, ცსს-ში მაღალ თანამდებობაზე არ მუშაობდა, მაგრამ როგორც პროფესიონალს, მას უზარმაზარ პატივს სცემდნენ და დიდი გავლენა ჰქონდა. ფრედი ძალიან პოპულარული იყო აშშ-ს სპეცსამსახურებში. მის გარდაცვალებამდე ამერიკის სპეცსამსახურების მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არც ერთი ოპერაცია ვუდროფის გარეშე არ ჩატარებულა. ფრედი ძალიან პოეტური ბუნებისა იყო, ლექსებსაც კი წერდა, წარმოიდგინეთ, ცსს-ში საიდუმლო შიფროგრამებს გარითმულს აგზავნიდა. ასეთ რამეს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორატი არავის პატიობს, ფრედის კი არავინ არაფერს ეუბნებოდა, რადგან ძალიან აფასებდნენ.**

**მას ძალიან უყვარდა საქართველო, განსაკუთრებით, ყაზბეგი. სულ ამბობდა, თავი უნდა დავანებო ყველაფერს და ყაზბეგში დავსახლდეო. ფრედის, რომელიც პასუხისმგებელი იყო "რეგიონალურ საქმეებზე" - სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, სამეგრელოს და აჭარის რეგიონებში მიმდინარე პროცესებზე, არაჩვეულებრივი ურთიერთობები ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტთან და მისი დაცვის უფროსთან, რომელთან ერთადაც ხშირად დადიოდა ყაზბეგში,"** – ფრედ ვუდროფის შესახებ წერდა გაზეთი "ნიუ იორკ თაიმსი".

სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე ფრედ ვუდროფი შეუძლოდ გამხდარა. გულის შეტევით იგი ედუარდ შევარდნაძის პირად ექიმთან, გულიკო ჩაფიძესთან მიიყვანეს კონსულტაციისთვის. **"სიტუაცია უმძიმესია,"** – უთქვამს სახელგანთქმულ კარდიოლოგს, რომელმაც ცსს-ს სპეციალურ აგენტს მკაცრი წოლითი რეჟიმი დაუნიშნა. **"სხვა შემთხვევაში, სიკვდილი, ფაქტობრივად, გარდაუვალია,"** – უთქვამს გულიკო ჩაფიძეს. ვუდროფი ქართველი კარდიოლოგის მკაცრ მითითებას არ დაემორჩილა, მეტიც, მეგობრისთვის უთხოვია, არ გაეხმაურებია მისთვის დასმული მძიმე დიაგნოზი, რადგანაც საქართველოში წარმატებული საქმიანობის საზღაურად ვაშინგტონში დაწინაურება ელოდა, რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დასაშვები იყო, ჩაშლილიყო. ცსს-ს დირექტორატი გულით მძიმე ავადმყოფს აუცილებლად პენსიაზე გაუშვებდა, ამიტომაც, ფრედ ვუდროფმა სიცოცხლე რისკის სასწორზე დადო.

თუმცა, ამ ამბიდან ერთ კვირაში ცსს-ს თბილისის ბიუროს ხელმძღვანელს მცხეთა-ნატახტარის გზაზე შუბლში სასიკვდილო ტყვია ჩაეჭედა. საქართველოდან ამერიკაში ჩასვენებული ვუდროფის ცხედარი კრემატორიუმში გადაასვენეს. 10 წლის წინ საქართველოში მოკლული ცსს-ს სპეციალური აგენტის ფერფლი ვაშინგტონში, არლინგტონის სასაფლაოზე ინახება.

## საქართველო ვუდროფის მკვლელობის შემდეგ

1994 წლის გაზაფხული. ამერიკის სპეცსამსახურების აგენტის მკვლელობიდან ჯერ ერთი წელიწადიც არ გასულიყო, თუმცა, საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. პირველ რიგში, სროლა განახლდა აფხაზეთში – განახლებულ შეიარაღებულ კონფლიქტში მოწინააღმდეგის მხრიდან ახლა გაცილებით სერიოზული ძალები ჩაერთვნენ.

**"თბილისში მყოფი, ჩვენი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ამერიკულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობით უკმაყოფილო რუსეთის უშიშროების მინისტრი ბარანიკოვი მთხოვდა, ჩვენს უწყებებს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება დაედოთ. რომ დამითანხმა, ამით ძალიან ამაყობდა. ჰოდა, როცა სოხუმის დაბომბვა დაიწყო, დავურეკე იმავე ბარანიკოვს. უკვე თავს ვეღარ ვაკონტროლებდი: როგორ გყოფნით თავხედობა ურთიერთთანამშრომლობაზე მელაპარაკოთ, ჩართეთ ტელევიზორი და უყურეთ, როგორ გვიბომბავენ სოხუმს რუსული თვითმფრინავები-თქო, - ვყვიროდი ტელეფონში"**, - იხსენებს საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მტკივნეულ მომენტს ირაკლი ბათიაშვილი.

სოხუმის დაკარგვის კვალდაკვალ დაიკარგა მთელი აფხაზეთი. ქართულმა საჯარისო ნაწილებმა ერთმანეთის მიყოლებით დაკარგეს ოჩამჩირე, გალი...

ალმოდებული სოხუმიდან ერთ-ერთი უკანასკნელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გამოვიდა და თბილისში ჩამოსულმა შევარდნაძემ ემოციებს ვერ სძლია – რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში დაადანაშაულა. თუმცა, ემოციები მალევე ჩაქრა - ფრონდირებული სამეგრელო საქართველოს ხელისუფლების გრძნობების დასამორჩილებლად საკმარისი არგუმენტი აღმოჩნდა: აფხაზეთთან ერთად სამეგრელოს დაკარგვის ფარულმა მუქარამ გაჭრა და საქართველო მორჩილად შევიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

მერე... დსთ-ში შესული ქვეყნის მთავრობა გადახალისდა. კერძოდ, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური უშიშროების სამინისტროდ გადაკეთდა. მას სათავეში საბჭოთა სუკ-ის გამოზრდილი კადრი იგორ გიორგაძე ჩაუყენეს. უშუალოდ მას დაუქვემდებარეს ამერიკაში წვრთნაგავლილი უნიკალური სპეცდანიშნულების რაზმი "ომეგა".

გიორგაძე ამერიკისთვის სრულიად მიუღებელი კადრი გახლდათ. შესაბამისად, მართალია, ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ გარეგნულად ნაკლებად შეიცვალა, სამაგიეროდ, სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობაზე ლაპარაკი კარგა ხნით დამუხრუჭდა.

**"ამერიკის სპეცსამსახურების საქართველოდან განდევნის ოპერაცია რუსეთმა ვუდროფის მკვლელობით დაიწყო. ეს იყო ტიპური ტერორისტული აქტი, რომლითაც რუსეთმა ამერიკელები გააფრთხილა - აი, რა მოუვა მას, ვინც ჩვენს ტერიტორიაზე ცხვირს შემოყოფს"**, - ამბობს ირაკლი ბათიაშვილი.

## უპასუხოდ დარჩენილი კითხვა ვინ მოკლა ფრედ ვუდროფი?

რა შეიძლება იყოს იმ დეტექტიურ ნაწარმოებზე უარესი, რომელშიც კვანძი არ იხსნება – არ ცხადდება დამნაშავის ვინაობა. მაგრამ, საქმეც ის გახლავთ, რომ "ვუდროფის საქმე" არც დეტექტივია და, მით უმეტეს, არც მხატვრული ნაწარმოები. ეს უფრო საქართველოს ბოლო ათი წლის ისტორიის რამდენიმე, აქამდე წაუკითხავი ფურცელია, რომელთა ბუნდოვანი ეპიზოდების გაშიფრვაში ამერიკის სპეცსამსახურიდან გამოგზავნილი მასალები და ის ადამიანები დაგვეხმარნენ, რომლებსაც იმდროინდელ მოვლენათა განვითარებაში პირადად აქვთ წვლილი შეტანილი.

მკვლელობის უშუალო შემსრულებლის ძიება და გამოაშკარავება კი დღეს იმდენად არის შეუძლებელი, რამდენადაც დაუდგენელია ტყვიისა და, შესაბამისად, იმ იარაღის ტიპიც კი, რომლითაც სიცოცხლეს გამოასალმეს CIA-ის აგენტი – ვუდროფის თავიდან ამოღებული მეტალის ფრაგმენტი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

მკვლელობის ვერსიათაგან კი რომელიმეს გამორჩევა დღესაც ჭირს. ფრედ ვუდროფის მკვლელობის ბათიაშვილისეულ – პოლიტიკურ ვერსიასთან ერთად კვლავაც რჩება ეგრეთ წოდებული რუსული, ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული ვერსია, რომლის გაშლისას რუს ჟურნალისტს საერთაშორისო ნარკომაფიაში, ქართველი თანამდებობის პირების პარალელურად, რუსი გენერლების როლის აღნიშვნა "დაავიწყდა".

სხვათა შორის, თუ ვუდროფის მკვლელობაში სწორედ ნარკობიზნესის ჩარევაზე ვისაუბრებთ, უნდა ითქვას, რომ ერთი ტყვიის საშუალებით მათ მიზანს მიაღწიეს – მკვლელობის შემდეგ საქართველო კვლავაც მოიაზრებოდა და მოიაზრება კიდეც ნარკოგამტარ ქვეყნად. იმავე ფრედ ვუდროფის მუშაობის შედეგად გამოვლენილი ნარკოარხები, მართალია, დაიკეტა, მაგრამ - დროებით. 90-იანი წლების დასაწყისში დახურული ნარკოკარტელის ცენტრი – განჯა - 90-იანი წლების ბოლოს პანკისის ხეობამ ჩაანაცვლა. 1997 წელს კი საქართველოზე სარფის საბაჟოდან გატარებული ნარკოტიკების უმსხვილესი პარტია – ავღანეთიდან წამოსული და ევროპაში გადასატანად გამიზნული 1600 კილოგრამი ქარხნული წესით დამზადებული მშრალი მორფი თურქეთის ტერიტორიაზე დააკავეს. ამ რაოდენობის ნარკოტიკს კი აუთვისებელი გზით არავინ გადაიტანს. იმ ვარაუდის საფუძველს კი, რომ საქართველო ნარკოტრანზიტის გზაზე დღესაც მნიშვნელოვანი წერტილია, მთავრობის სხდომებზე საქართველოს ამჟამინდელი უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მოხსენებები გვაძლევს. მისი თქმით, საერთაშორისო ნარკოკარტელები საქართველოთი დღესაც სერიოზულად არიან დაინტერესებულები, რისი მიზეზიც საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობაში უნდა ვეძებოთ. ხაბურძანიას მიერ შარშან ზამთარში გაკეთებული განცხადების თანახმად, ტყვარჩელში წარმატებით მუშაობს ოპიუმისა და ჰეროინის გადამამუშავებელი ლაბორატორია, რომელსაც ვლადისლავ არძინბას უახლოესი ნათესავები უდგანან სათავეში. იქიდან, საქართველოზე გავლით, დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებები გაედინება მსოფლიოს შავ ნარკობაზარზე.

უკვე წელს, გაზაფხულზე გამართულ მთავრობის სხდომაზე უშიშროების მინისტრმა აფხაზეთში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფებების სპეციალიზაციაც დააკონკრეტა და აღნიშნა, რომ დასავლეთ აფხაზეთის დაჯგუფება ნავთობისა და საკვები პროდუქტების გადაზიდვას აკონტროლებს და, ნაწილობრივ, რუსეთის მიმართულებით ნარკოტიკების გადატანასაც მართავს, ხოლო გუდაუთის დაჯგუფება უშუალოდ ნარკობიზნესს ზედამხედველობს.

რაც შეეხება მოსაზრებას ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის პოლიტიკური მოტივით მკვლელობის შესახებ, ანუ ირაკლი ბათიაშვილის ვარაუდს, რომ ამ მკვლელობით რუსეთმა ამერიკის ხელისუფლებას დაანახა, რა მოუვა მას, ვინც რუსეთის ინტერესებს უგულებელყოფს, ასეთ შემთხვევაში ვუდროფისთვის ნასროლი ტყვია მიზანს აცდა - როცა საუბარია გლობალურ გეოპოლიტიკურ ინტერესებზე, ერთეული ადამიანების ბედი, თუნდაც, სპეცაგენტების მკვლელობის მსგავსი პრეცედენტები, მეორე პლანზე იწევს. საქართველო დღეს ისევ ამერიკის ინტერესთა სფეროშია მოქცეული და საქართველოში ჩამოსული ამერიკელი ინსტრუქტორები ქართულ ბაზებზე ათასობით ქართველ ჯარისკაცს წვრთნიან. რუსეთი კი საბჭოური დროიდან გამოყოლილ ამბიციებს ვეღარ აჰყვება – ძალა აღარ შესწევს. ჩვენმა გაუცვდა.

## ანზორ შარმაიძე ევროსასამართლოში ჩივის

აღარც საქართველოში, აღარც ამერიკაში აღარავის აინტერესებს, სამართლიანად იხდის თუ არა სასჯელს ამერიკის მოქალაქის განზრახ მკვლელობაში დადანაშაულებული ანზორ შარმაიძე. უკვე მეათე წელიწადი იწურება, რაც, ერთ დროს ამერიკული სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში მოქცეული ანზორ შარმაიძე ციხის ადმინისტრაციის მეთვალყურეობის ქვეშაა. ამ ათი წლის მანძილზე მისი არსებობა ერთი-ორჯერ თუ გაიხსენეს. ერთხელ, როდესაც 1995 წლის ზაფხულში თბილისში ფრედ ვუდროფის მეუღლე ჩამოვიდა და მასთან შეხვედრა ითხოვა. მეორედ კი, 2001 წელს, როცა ანზორ შარმაიძე, ერთ პატიმართან ერთად, ციხიდან გაიქცა. ქართული სასჯელაღსრულების სისტემისთვის ეს მეტად ჩვეულებრივი მოვლენა იმდენად გახლდათ განსაკუთრებული, რამდენადაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის საეჭვო გარემოებებში მკვლელობისთვის განსჯილი პატიმარი ციხიდან უშუალოდ FBI-ის მაშინდელი დირექტორის ლუი ფრის საქართველოში ჩამოსვლის წინ გაიქცა. ფრის ვიზიტის დასრულებიდან ორიოდ კვირაში, ანზორ შარმაიძეს სამართალდამცველებმა მიაგნეს და კვლავ ციხეში დააბრუნეს. მასთან ერთად გაქცეული პატიმარი კარგა ხნის შემდეგ დააკავეს: **"იგი თავად ჩაბარდა"**, - გვითხრა ამჟამად ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფმა ანზორ შარმაიძემ, რომელსაც ეჭვი ეპარება, რომ FBI- დირექტორის ვიზიტთან მისი გაქცევის დამთხვევა შემთხვევითობაა.

**"მე იმ დღეს არავისთვის მისვრია. მეტიც, ფრედ ვუდროფს მარტო იმიტომ ვერ მოვკლავდი, რომ, როცა მათი მანქანა ნატახტარი-თბილისის გზაზე მოძრაობდა, მე იმ დროს ჯერ კიდევ თბილისში ვიყავი, ნატახტრისკენ მეგობრებთან ერთად გაცილებით გვიან წავედით"**, - ამბობს დღეს ანზორ შარმაიძე და ათი წლის შემდეგ თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს ანდობს.

*სტატიის მომზადებაში გაწეული ფასდაუდებელი დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ამერიკელ ჟურნალისტებს ენ ემსსა და ლისა შელინგრს, აგრეთვე, ორგანიზაცია ICFJ-ის კოორდინატორს საქართველოში მარინა ვაშაყმაძეს, ამ არაჩვეულებრივ ადამიანებთან ჩვენი დაკავშირებისათვის.*

# აჭარასთან საბიუჯეტო ურთიერთობის წინასაარჩევნო კონტექსტი

პირველი გვერდიდან

**"იყო დრო, როცა აჭარა საბიუჯეტო გეგმას 10 მილიონი ლარით აჭარბებდა,"** – აცხადებს ასლან აბაშიძე და იხსენებს, რომ **"მიხეილ მაჭავარიანის მინისტრობის დროს ცენტრსა და აჭარას შორის პრობლემის დარეგულირება მოხერხდა".** აჭარაში აკრეფილ საბაჟო და საგადასახადო შემოსავლებს ავტონომია მაშინაც თავად მოიხმარდა, ოღონდ ერთი განსხვავებით. მაშინ აჭარის თანხები რეგიონში მხოლოდ ცენტრალური ხაზინის ანგარიშის გავლით მიდიოდა. საბოლოოდ, აჭარის თანხები ფინანსთა სამინისტროს მიერ, სიმბოლურად, მაგრამ მაინც კონტროლირებადი გამოდიოდა.

ახლა კი ეროვნული ბანკის აჭარის ფილიალიდან ავტონომია ისე ხარჯავს თანხას, რომ ის ხაზინის შემოსავლებში არ აღირიცხება. ამით აჭარა თავს იზღვევს იმისაგან, რომ ამ თანხებს თბილისმა "ბოლო არ წააკვნიტოს".

როგორც ჩანს, ახლა აჭარის ლიდერი ცენტრის გაათმაგებულ წინასაარჩევნო მადას უფრთხის და შიშობს, რომ მაჭავარიანის დროინდელი სქემის ამოქმედების შემთხვევაში, ამ თანხების დიდი ნაწილი გაურკვეველი მიმართულებით წავა. შესაბამისად, აბაშიძე ბიუჯეტისგან გარანტიებს ითხოვს, რომ მისი აკრეფილი თანხები აჭარას უკან ნამდვილად დაუბრუნდება და, თანაც, უმოკლეს დროში.

**"ცენტრსა და აჭარას შორის საბიუჯეტო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად რამდენიმე ვარიანტი მზადდება. კონსენსუსის მიღწევა საკმაოდ ძნელია და ჩვენ კომპრომისების ძიებაში ვართ,"** - აცხადებს ჯორბენაძე და კონკრეტულ შეთანხმებებს აბაშიძესთან მომავალში დაგეგმილი შეხვედრებისგან ელის.

სანამ ცენტრსა და აჭარას საერთო ენა ვერ გამოუნახავთ, ეს გარემოება საგადასახადო სექტორის ჩინოვნიკებისთვის კერძო სექტორზე ზეწოლის ერთ-ერთ სერიოზულ ბერკეტად რჩება. ბიზნესმენები, რომელთაც ბათუმთან ფინანსური ურთიერთობა აქვთ, პერმანენტულად აწყდებიან პრობლემებს. თბილისში არ აღიარებენ ბათუმში გადახდილ თანხებს და აცხადებენ, რომ, ვინაიდან ეს თანხები ხაზინაში არ ხვდება, ბიუჯეტში გადახდილადაც ვერ ჩაითვლება. შედეგად, უმარტივესი პროცედურის – ანგარიშ-ფაქტურებით ჩათვლის მისაღწევად, ბათუმთან ურთიერთობის მქონე ბიზნესმენებს საქმის გარკვევა, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოში უწევთ.

# არგენტინის ეკონომიკას გამოცოცხლება დაეტყო

თორნიკე შარაშენიძე

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არგენტინის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5,2 პროცენტი შეადგინა. ამ მონაცემმა ეკონომისტებს დიდი იმედი ჩაუსახა. თუკი ოთხწლიანი რეცესიის შემდეგ არგენტინა ფეხზე დადგება, ეს დიდი სტიმული იქნება სამხრეთ ამერიკის რეგიონისა და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკისათვის.

არგენტინული ეკონომიკის ასეთი ბუმი მართლაც რომ განსაცვიფრებელია მას შემდეგ, რაც გასულ წელს აქაური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 11 პროცენტით შემცირდა. არგენტინას არც იქამდე ადგა კარგი დღე. გლობალური ეკონომიკის კრიზისმა სამხრეთ ამერიკის უდიდესი ქვეყანა ბრაზილია ერთობ აზარალა და ეს არ შეიძლებოდა არგენტინასაც არ დატყობოდა, სადაც ვითარება ისედაც არ იყო სტაბილური. შექმნილი ვითარებიდან თავის დასაღწევად არგენტინის მთავრობას ერთხელ ერთობ ორიგინალური იდეაც მოუვიდა - ეროვნული ვალუტა ქვეყანაში ამერიკული დოლარით შეეცვალა. მაგრამ, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბუენოს-აირესი რეგიონში აშშ-ს უპირველეს მოკავშირედ ითვლება, ვაშინგტონი ამ იდეის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა.

არგენტინულ კრიზისს ბოლო არ უჩანდა და პიკს მან სწორედ შარშან მიაღწია, რაც ვალუტის მკვეთრი დევალვაციითა და საგარეო ვალებზე დეფოლტის გამოცხადებით დაგვირგვინდა. ამ მოვლენებმა საკმაოდ დააფრთხო უცხოელი ინვესტორები, რომელთაგან ბევრმა ქვეყანა დატოვა. სავალუტო ფონდმა თავისი პროგრამა არგენტინაში ერთი პერიოდი საერთოდ შეაჩერა, თუმცა, მოგვიანებით პროგრამა განახლდა, მთავრობაში კი, ეკონომიკის მინისტრ რობერტო ლავანიას მეთაურობით, რეფორმატორული ძალები მოვიდნენ. მათ სულ ერთ წელიწადში უდიდესი სამუშაო გასწიეს. ეკონომიკური ზრდა, წესით, კიდევ უნდა გაგრძელდეს, მთავრობის მეთაური ალფრედო ატანასოვი აცხადებს, რომ მაისის თვეში გადასახადების ამოღება შარშანდელთან შედარებით 25 პროცენტით გაუმჯობესდება, რაც აღმავლობის კიდევ ერთი მაჩვენებელია. მთელი მიმდინარე წლის მასშტაბით მთავრობა არგენტინული ეკონომიკის 4,2 პროცენტით ზრდას ვარაუდობს.

თუმცა, ამ წარმატებების მიუხედავად, არგენტინული ვალუტის დევალვაცია გრძელდება. ბოლო მონაცემებით, პესო დოლართან მიმართებაში 5,3 პროცენტით დაეცა. სპეციალისტები ხელისუფლებაში ახლადარჩეული პრეზიდენტის, ნესტორ კირჩნერის მოსვლას, ცოტა არ იყოს, შიშით ელიან. თუმცა, კირჩნერი ყველას აიმედებს, რომ იგი ეკონომიკის მინისტრის პოსტზე ლავანიას აუცილებლად დატოვებს და რეფორმები კვლავაც გაგრძელდება.

სას "დავითია, ვარშალომიძე, ნოლიიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

www.dvnk.ge
office@dvnk.ge

# "ანგლო ოილი" საქართველოს ლონდონში ჩივილით ემუქრება

სოფიკო ოხანაშვილი

*ავსტრიაში რეგისტრირებული კომპანია "ანგლო ოილი", რომლის მფლობელიც "მრეწველი" ლევან პირველია, საქართველოს ენერგოსექტორს 46 მილიონ დოლარს ედავება. ამის გამო, არ არის გამორიცხული, რომ საქართველო საერთაშორისო სკანდალში აღმოჩნდეს ჩათრეული. "ანგლო ოილის" კრედიტორი "რაიფაიზენბანკის" წარმომადგენლები ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის გადაწყვეტილებას ელოდებიან და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებთ, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში აპირებენ სარჩელის შეტანას.*


ლევან პირველი
ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ანგლო ოილსა" და "საქენერგოს" შორის გენერალური ხელშეკრულება 1998 წელს დაიდო. ხელშეკრულების თანახმად, "ანგლო ოილმა" საქართველოს ენერგოსექტორის გაზითა და მაზუთით უზრუნველყოფის ვალდებულება იტვირთა. შეთანხმებისამებრ, ამ ენერგოშემცველების "თბილსრესში" გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ელექტროენერგიის გარკვეული ნაწილი საქართველოს უნდა მოეხმარა, ნაწილი კი თურქეთში უნდა გაყიდულიყო. საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ "ანგლო ოილმა" შეასრულა აღებული ვალდებულება და საქართველოს ენერგოსექტორი 46 მილიონი დოლარის ღირებულების მაზუთითა და ბუნებრივი აირით მოამარაგა, ხოლო ქართულმა მხარემ ("საქენერგომ") ენერგოშემცველების საფასური არ გადაიხადა.

ვალი, საჯარიმო სანქციების ჩათვლით, 46 მილიონი დოლარიდან 54 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. ყოველწლიურად ძირითად ვალს მილიონ დოლარზე მეტი ემატება. **"ვალი აღიარებულია და გადახდა მაინც მოუწევთ; ამიტომ უმჯობესია, დროზე დაიწყოს ამ ვალის გადახდა, თორემ კიდევ უფრო დაემატება, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ",** - ასეთია პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის რომან გვენცაძის რჩევა. კომისიამ კიდევ ერთხელ განიხილა კომპანია "ანგლო ოილის" მიმართ სააქციო საზოგადოება "საქენერგოს" ვალთან დაკავშირებული საკითხი და პრეზიდენტს შემოწმების შედეგების შემცველი წერილიც გაუგზავნა. საბოლოო დასკვნას კომისია ორი კვირის ვადაში მოამზადებს.

"ანგლო-ოილსა" და ყოფილ "საქენერგოს" შორის არსებული ფინანსური პრობლემების გამო "მრეწველები" სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას აპირებენ, ამის მიზეზად კი პრეზიდენტის იმ განკარგულებების შეუსრულებლობას ასახელებენ, რომლის მიხედვითაც, მას ევალებოდა ფირმა "ანგლო ოილის" მიმართ "საქენერგოს" 46-მილიონ დოლარიანი დავალიანების დაფარვის საკითხის მოგვარება. **"მირცხულავას არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ ვალი კიდევ უფრო არ გაზრდილიყო. "ანგლო ოილის" მიმართ სახელმწიფოს ვალი იზრდება, რაც შემდეგ უკვე სახელმწიფოს გადასახდელი იქნება. ჩვენ ამას არ დავუშვებთ,"** - განაცხადა ფრაქცია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ. მისი თქმით, ეს ვალი მირცხულავამ უკვე აღიარა, ამიტომ მისი დაფარვაც უნდა დაიწყოს.

ტყემალაძე დავით მირცხულავას ადანაშაულებს "საქენერგოში" ვალის წარმოშობის დასადგენად ჩასატარებელი აუდიტორული შემოწმების ხელოვნურად გაჭიანურებაშიც. საქმე ისაა, რომ " აუდიტი განახორციელა საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ "KPMG"-მ საქენერგო 2000"-ის მოთხოვნით; თუმცა, საბოლოო დასკვნა მომზადდება მაშინ, როცა "საქენერგო 2000"-ი "KPMG"-ის აუდიტორული მომსახურებისათვის დარჩენილ თანხას - 20 ათას დოლარს გადაუხდის. "საქენერგო 2000" კი, ფაქტობრივად, გაკოტრებულია.

"მრეწველების" თქმით, "ანგლო ოილთან" შექმნილ კონფლიქტურ ვითარებას ის გარემოებაც ამწვავებს, რომ ავსტრიულ "ანგლო ოილის" კრედიტორ "რაიფაიზენბანკს" ქართულ მხარესთან მოლაპარაკებით "რაიმეს მიღწევის" უკვე აღარ სჯერა. აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით, "რაიფაიზენბანკის" ვიცე- პრეზიდენტი რამდენიმე წლის წინ იყო ჩამოსული საქართველოში. ახლა კი, "რაიფაიზენბაკის" წარმომადგენლებთან მოლაპარაკების მიზნით, ლევან პირველი თავადაც ესტუმრა ავსტრიას. თუმცა, ქართული მხარისთვის არც თუ ისე სახარბიელო ამბავი ჩამოიტანა: პირველის თქმით, "რაიფაიზენბანკი" პოზიციების დათმობას არ აპირებს და საკუთარ უფლებებს საერთაშორისო არბიტრაჟში დაიცავს მისი ინტერესების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

როგორც ირკვევა, "საქენერგოსა" და "ანგლო ოილს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების გარანტორი სახელმწიფო არ ყოფილა. სახელმწიფოს გარანტიის შემთხვევაში თანხის გადახდა უნდა უზრუნველეყო ფინანსთა სამინისტროს, თუმცა ამ ხელშეკრულებაში იგი არ ფიგურირებს. (ფინანსთა სამინისტრო, როგორც წესი, საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებისას სახელმწიფოს ფინანსურ გარანტიას წარმოადგენს ხოლმე). ამის მიუხედავად, ხელისუფლებამ ეს ვალი სახელმწიფო ვალად ჯერ კიდევ 2000 წელს აღიარა. მაშინ პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას დაევალა საქართველოს ენერგეტიკულ სისტემასა და კომპანია "ანგლო ოილის" კრედიტორ "რაიფაიზენბანკს" შორის არსებული პრობლემების შესწავლა, "ანგლო ოილის" მიერ დასახელებული თანხის მართებულობის და ვალის რესტრუქტურიზაციის გეგმის მომზადება. შედეგი კი ის იყო, რომ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ ეს თანხა გაითვალისწინა ენერგეტიკის სფეროში არსებული ვალების მომსახურებისა და რესტრუქტურიზაციის საერთო გეგმაში, რომელიც შეათანხმა ენერგოსექტორის საერთაშორისო დონორებთან.

ამ ვალის გადახდაზე ფინანსთა სამინისტრო კატეგორიულ უარს აცხადებს. მირიან გოგიაშვილის არგუმენტი ასეთია, რომ ამ ვალის გადახდის შესახებ მას პარიზის კლუბიდან არანაირი ინსტრუქტაჟი არ მიუღია.

თავდაპირველად, მირცხულავა აქტიურად შეეწინააღმდეგა ამ ვალის სახელმწიფო ვალად აღიარების მცდელობას. თუმცა, მოგვიანებით, ის ენერგოსისტემის ვალად აღიარა და იქვე დააფიქსირა, რომ ენერგოსექტორში ამ ეტაპზე არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო სამინისტროს ამ ვალის გადახდა არ შეუძლია.

2001 წლის 14 მაისს უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის სხდომაზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ ის არ ეთანხმება "ანგლო ოილისა" და ბანკის მოთხოვნას ვალის გადახდის თაობაზე. მირცხულავას სწორედ ეს განცხადება გახდა ლევან პირველთან დაპირისპირების მიზეზიც ("ანგლო ოილი" პარლამენტარ ლევან პირველის საკუთრებაა). იმ დროს, როცა ბაზარზე ავსტრიული კომპანია "ანგლო ოილი" გამოჩნდა, საქართველოს მართლაც სჭირდებოდა გაზი და სხვა ნავთობპროდუქტებიც. 1998-99 წლებში, "ანგლო ოილთან" გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, "საქენერგო" ათას კუბურ ბუნებრივ აირს 56 დოლარად ყიდულობდა. სანდო წყაროს ცნობით, მაშინ შესაძლებელი იყო, რომ ქვეყანას გაზი უფრო იაფად შეეძინა, რაც მოგვიანებით, მირცხულავას გამინისტრების შემდეგ განხორციელდა კიდეც (საქართველომ ბუნებრივი აირის 45 დოლარად შესყიდვა დაიწყო).

"ანგლო ოილის" ვალი ფიგურირებს "იტერასთან" ურთიერთობაშიც. საქმე ისაა, რომ "ანგლო ოილი" გაზს "იტერასგანაც" ყიდულობდა. 46 მილიონი დოლარიდან 20 მილიონი სწორედ "იტერასგან" შეძენილ ბუნებრივ აირზე მოდის. ეს თანხა მას შემდეგ გახდა სადავო, რაც "იტერამ" განაცხადა, რომ მას ფული არ მიუღია, "ანგლო ოილი" კი ამტკიცებდა, რომ მან "იტერას" გაზის საფასური - 20 მილიონი დოლარი გადაუხადა, რისთვისაც მას "რაიფაიზენბანკიდან" კრედიტის აღება მოუხდა. მაშინ, როცა ენერგეტიკის სამინისტრო ვალების მომსახურების სტრატეგიაზე მუშაობდა, თბილისში "იტერას" წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. მათ მოითხოვეს, რომ "ანგლო ოილის" დავალიანება - 20 მილიონი დოლარი, რომელსაც თვითონ კომპანია არ აღიარებდა, მთავრობას თავის თავზე აეღო.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, "ანგლო ოილსა" და "საქენერგოს" შორის გაფორმებული ხელშეკრულება ბევრ დაუზუსტებელ და ბუნდოვან დეტალებს მოიცავს. უფრო მეტიც, ხელშეკრულების გაფორმების პროცესიც კანონის დარღვევით წარიმართა. სანდო წყაროს ცნობით, საქმეში კარგად ჩახედული ადამიანები "ანგლო ოილსა" და "საქენერგოს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძვლად ასახელებენ მაშინდელი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის თემურ გიორგაძისა და ლევან პირველის "თბილ ურთიერთობას" ("ანგლო ოილსა" და "საქენერგოს" შორის ხელშეკრულებას ვიზირება თემურ გიორგაძემ გაუკეთა. კანონის თანახმად კი, მინისტრებს ასეთი ტიპის კომერციულ კონტრაქტებზე ხელმოწერის უფლება არა აქვთ).

თუმცა, გვენცაძის განცხადებით, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ იყო ხელშეკრულების გაფორმებისას სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი: **"ვალის გადახდა უნდა დაეწყო მის წინამორბედს და შემდეგ მირცხულავას უნდა გაეგრძელებინა",** - აცხადებს გვენცაძე.

მოარული ხმების თანახმად, ახლა ლევან პირველი სათბობ-ენერგეტიკის სექტორს სთავაზობს "ანგლო ოილისადმი" არსებული დავალიანების ელექტროენერგიის ტარიფში გათვალისწინებასაც.

მირცხულავას იმპიჩმენტის საკითხის დაყენებისთანავე კულუარებში განსხვავებულ მიზეზებზე და ვერსიებზე დაიწყეს საუბარი. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, "მრეწველების" მიერ ამ საკითხის წამოწევა ავთანდილ ჯორბენაძისა და "მრეწველების" გარიგების შედეგია. გარიგების სცენარის თანახმად, სახელმწიფო მინისტრი მხარდაჭერის სანაცვლოდ, ენერგეტიკის სუბსიდირებიდან, რომელიც 36 მილიონ ლარს შეადგენს, ლევან პირველს გარკვეულ თანხას შეჰპირდა. ამ პროცედურას "ბუნებრივი სახე" რომ მიეღო, "მრეწველებს" მირცხულავას იმპიჩმენტი უნდა მოეთხოვათ და როცა ამ საკითხს მასობრივი ინფორმაციის საშულებები გააშუქებდნენ, მთავრობა იძულებული იქნებოდა, ვალის გადახდის დაწყების შესახებ განცხადება გაეკეთებინა. ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში "რაიფაიზენბანკის" ინტერესების დამცველებს ენერგოსექტორის სუბსიდიიდან სამი-ოთხი მილიონი ლარი შეხვდებათ, რაც, საბოლოოდ, საარჩევნო კამპანიის დიდ ყულაბაში აღმოჩნდება.

## მოკლედ

**თბილისი.** მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მეორე პროექტისათვის 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი დაამტკიცა. პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს დაბალი შემოსავლების მქონე თემების ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას. კრედიტი 40-წლიანია და აქვს 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილავიამშენი" სამოქალაქო თვითმფრინავების წარმოებაზე გადადის და ამ სფეროში დახმარებას აშშ-ს სთხოვს. ამჟამად განიხილება საწარმოსათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესაძლებლობა ამერიკული კონვერსიული ფონდის მიერ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგებს შემაშფოთებელს უწოდებს და აცხადებს, რომ დღევანდელი დოკუმენტაციის მიხედვით, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულებაშიც სერიოზული გარღვევაა. პარლამენტის თავმჯდომარე, ბიუჯეტის გარღვევასთან დაკავშირებით, აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან შესაბამის, არგუმენტირებულ პასუხებს მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კონტროლის პალატის მიერ საბაჟო დეპარტამენტში ჩატარებული შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ საბაჟო გამშვები პუნქტები იმპორტირებული ავტომობილების განბაჟებას მთელ რიგ შემთხვევებში კანონმდებლობის დარღვევით ახორციელებენ, რითაც ბიუჯეტს მნიშვნელოვანი თანხები აკლდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კონტროლის პალატის მიერ სათბობ-ენერგეტიკის სექტორში ჩატარებული კომპლექსური რევიზიები ცხადყოფს, რომ დარგში შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობა, ძირითადად, გამოწვეულია არასწორი ტექნიკური, საინვესტიციო და ფინანსური პოლიტიკით. "ქვეყნის ერთიანი ენერგოსისტემის მართვა ძალზე არაეფექტურია", - მიაჩნიათ კონტროლის პალატაში. **ინტერ-პრესი**



# ამერიკელებს ერაყში დამატებითი ძალები შეჰყავთ

*ერაყში გაუარესებული კრიმინოგენული ვითარების გამო, შეერთებული შტატები ქვეყნაში პოლიტიკურ პროცესებზე მკაცრი კონტროლის დაწესებას და სახელისუფლო ვაკუუმის შესავსებად, აქ დამატებითი ძალების შეყვანას გეგმავს. ომის დასრულების შემდეგ საზოგადოებრივი წესრიგის მოშლამ მოსახლეობაში შეერთებული შტატების მიმართ ნდობა მკვეთრად შეარყია.*



*ბაღდადში შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რაოდენობა 25 000-მდე გაიზრდება.*

ერაყში დამატებითი ჯარების განლაგება, სამხედროების მიერ ქუჩების რეგულარული პატრულირება და საპოლიციო რეიდები, გამეფებული უწესრიგობის გამო, შეერთებული შტატებისა და რიგითი ერაყელების მზარდ შეშფოთებას ასახავს. ერაყის დედაქალაქ ბაღდადში ელექტროენერგიის მიწოდება და სატელეფონო ხაზები მხოლოდ სანახევროდ არის აღდგენილი. ამერიკელი სამხედროების თქმით, ამ თვეში ბაღდადში შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რაოდენობა 16 000-დან 25 000-მდე გაიზრდება.

ამავდროულად, ერაყის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გადამდგარი გენერალი ჯეი გარნერი ვაშინგტონმა სახელმწიფო დეპარტამენტის ასევე გადამდგარი მაღალჩინოსნით - პოლ ბრემერით ჩაანაცვლა, რომელიც საკვანძო სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას დაუყოვნებლივ შეუდგა. ბრემერმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, ჰუსეინის "ბაასის" პარტიის მაღალი თანამდებობის პირებს მნიშვნელოვანი საჯარო თანამდებობების დაკავება ეკრძალებათ. ამავდროულად, პოლ ბრემერმა ოპოზიციის ლიდერები გააფრთხილა, რომ ერაყის ხელისუფლების სადავეების ასაღებად გაცილებით დიდხანს მოუწევთ ლოდინი, ვიდრე ეს თავდაპირველად იყო განსაზღვრული.

გასულ პარასკევს, ერაყელ ლიდერებთან შეხვედრისას ბრემერმა განაცხადა, რომ ერაყის გარდამავალ მთავრობას პოლიტიკის განსაზღვრის საშუალებასა და ძირითადი სამინისტროების მართვის უფლებას ერთ წელიწადზე ადრე არ მისცემენ. სავარაუდოდ, ეს წელიწადნახევარში, ორ წელიწადში მოხდება. ამ ცნობამ ოპოზიციის ლიდერები ძალიან გააღიზიანა.

ერაყელებით დაკომპლექტებული ადმინისტრაციის შექმნის გადადება მოულოდნელი ცნობა იყო, რადგან 12 დღის წინ ამერიკელები ამტკიცებდნენ, რომ გარდამავალი მთავრობის ბირთვი უკვე მაისის ბოლოსთვის ჩამოყალიბდებოდა. გარდამავალი ხელისუფლების ძირითადი ნაწილის დაკომპლექტების საბოლოო ვადამ ივნისის ბოლოსთვის გადაინაცვლა. ამას გარდა, ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობების აზრით, ერაყელებს შეზღუდული ძალაუფლება მიეცემათ. ისინი მხოლოდ რამდენიმე სამინისტროს გააკონტროლებენ და უმნიშვნელო ბიუროკრატიულ მოვალეობებს შეასრულებენ.

ბაღდადის ხუთმილიონიანი მოსახლეობა ომის დროს ყველაზე მეტად დაზარალდა, მაგრამ ჰუსეინის დამარცხების შემდეგ, ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა და ხალხს აშშ-ს ჯარების მიმართ ნდობა დაეკარგა. ამას გარდა, ამერიკელები აღდგენით სამუშაოებს ძალზე ნელი ტემპით ახორციელებენ.

დედაქალაქის ქუჩებში ნაგავი ყრია, ძალიან ბევრი მაღაზია კი, გაძარცვის შიშით, დახურულია, მანქანების გატაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ელექტროენერგიისა და სასმელი წყლის მიწოდება ბოლომდე აღდგენილი არ არის. ხალხს საკუთარი ქონებისა და პირადი უსაფრთხოების დაცვა თავად უხდება.

ერაყში არსებულ ვითარებაზე საუბრისას, ამერიკის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ "თავისუფლება შეუზღუდავი რამაა და თავისუფალ ხალხს შეუძლია, შეცდომები თავისუფლად დაუშვას და დანაშაულიც ჩაიდინოს".

ერაყში შეერთებული შტატების სახმელეთო ძალების სარდლის მოადგილემ გენერალ-მაიორმა უილიამ ვებსტერმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ არმიის 1-ლი მექანიზებული დივიზიის ნაწილები ერაყში უკვე ჩავიდნენ. მისი თქმით, მათი ნომერ პირველი ამოცანა უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება.

გენერალ-მაიორის ინფორმაციით, უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ამერიკულმა ჯარებმა ბაღდადში 6 რეიდი განახორციელეს, რომლის შედეგად, 129 ადამიანი ყაჩაღობისათვის დააპატიმრეს. ყაჩაღებს თან იარაღი ჰქონდათ და ამერიკელ ჯარისკაცებს ცეცხლი გაუხსნეს.

იმის მიუხედავად, რომ ბაღდადში სამუშაოს 7000 პოლიციელი დაუბრუნდა, ამერიკელთა ამოცანა ამით დიდად არ შემსუბუქებულა. დედაქალაქში პოლიციის მხოლოდ ორი დეპარტამენტი მუშაობს. არ მოქმედებს არც ერთი ციხე. დაპატიმრებულებს სამხედრო პოსტებზე შექმნილ საგანგებო საკნებში ამყოფებენ, რომლებიც, თვითმხილველთა თქმით, ძალიან სწრაფად ივსება.

ერაყის პოლიციამ, ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად, ღამის პატრულირებაზეც დაიწყო სიარული, მაგრამ მათი მონაწილეობა მაინც უმნიშვნელოა. უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ჩატარებული 426 საპატრულო შემოვლიდან, ერაყის პოლიციამ მხოლოდ 15-ში მიიღო მონაწილეობა.

ამ ფონზე ამერიკისა და ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ერაყის ერაყელებისათვის გადაცემის პროცესი დროში უნდა გაიწელოს. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ის ორი ქურთული პარტიაც კი გააღიზიანა, რომლებიც ამერიკის დიდი ხნის მოკავშირეები არიან. სწორედ ისინი აკონტროლებდნენ ჩრდილოეთ ერაყის მნიშვნელოვან ნაწილს, როდესაც სადამ ჰუსეინი ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში იყო და ომის დროს ამერიკელ ჯარისკაცებს აქტიურად უჭერდნენ მხარს.

ერაყის ეროვნული კონგრესის ლიდერი აჰმად ჩალაბი და ისლამური რევოლუციის უზენაესი საბჭოს ლიდერი აიათოლა მოჰამად ბაკირ ჰაქიმი განაწყენებულთა შორის არიან. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ერაყში ცენტრალურ ხელისუფლებას თვითონ ჩაიგდებდნენ ხელში.

ერაყის ოპოზიციის ლიდერთა თქმით, გარნერი მხარს უჭერდა კონფერენციის მოწვევის იდეას, სადაც ერაყში მცხოვრები ლიდერები შეიკრიბებოდნენ და გარდამავალ ხელისუფლებას აირჩევდნენ. ერაყში შვიდი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დაჯგუფება არსებობს, რომელიც ემიგრაციაში მყოფ ერაყელებს, ქურთულ პარტიებს და შიიტ მუსლიმებს აერთიანებს. მათი აზრით, პოლიტიკურმა პარტიებმა მმართველი საბჭო უნდა შექმნან, რომელსაც სათავეში პრემიერ-მინისტრი ჩაუდგება. პრემიერს საბჭო აირჩევს.

ამერიკელები და ბრიტანელები ამ ეტაპზე ერაყელებს მხოლოდ სასამართლო სისტემის შექმნაზე მონიტორინგისა და ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და განათლების სამინისტროების მართვის უფლებას მისცემენ.

ძირითადი სამინისტროები კი (შინაგან საქმეთა, ფინანსთა, საგარეო საქმეთა და ძალოვანი სამინისტროები), თვალსაწიერ მომავალში, ამერიკელთა უშუალო ზედამხედველობის ქვეშ დარჩება.

# თურქეთმა კვიპროსელ ბერძნებს საზღვრები გაუხსნა



*თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ ერდოგანი*

გუშინ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოგანმა განაცხადა, რომ კვიპროსელ ბერძნებს შემდეგი კვირიდან თურქეთის მონახულების ნებას დართავენ. უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იქნება.

ერდოგანის თქმით, კვიპროსის ბერძნული ნაწილის ხელისუფლების მიმართ ეს კეთილი ნების გამოხატულებაა. კვიპროსის ბერძნულ ნაწილს თურქეთი ოფიციალურად არ ცნობს.

"თურქეთი კარებს უღებს ყველა კვიპროსელ ბერძენს. 22 მაისიდან მოყოლებული, კვიპროსელ ბერძნებს საშუალება ექნებათ, თურქეთის საზღვრები გადაკვეთონ", - აღნიშნა ერდოგანმა.

ანკარას ეს ნაბიჯი კვიპროსის თურქული ნაწილის გადაწყვეტილებებს მოჰყვა, რომელიც ცდილობს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ ბერძნულ ნაწილთან ურთიერთობები გააუმჯობესოს.

ჩრდილოეთ თურქეთის კვიპროსის რესპუბლიკამ ათიათასობით ადამიანს საშუალება მისცა, რომ გაერო-ს მიერ დაცული საზღვარი უპრობლემოდ გადალახოს. დღემდე თურქეთში ჩასვლის უფლება მხოლოდ კვიპროსის ბერძნული ნაწილის ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონდათ.

ერდოგანის თქმით, ამიერიდან ყველა კვიპროსელ ბერძენს თურქეთის ერთთვიან ვიზას ავტომატურად მისცემენ. თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ბერძნებს ვიზების აღება კვიპროსის თურქულ ნაწილშიც შეეძლებათ.

"ჩვენ მშვიდობა გვჭირდება. ჩვენ ვერაფერს ვერ მოვიგებთ ბრძოლით, - დასძინა ერდოგანმა, - ჩვენ ველით, რომ საბერძნეთიც ანალოგიურ ნაბიჯებს გადადგამს".

თურქებით დასახლებული ნაწილი კვიპროსს 1974 წელს გამოეყო და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა შექმნა, რომელსაც მხოლოდ ანკარა ცნობს. კუნძულზე ბერძნებსა და თურქებს შორის არსებულმა დაძაბულობამ ურთიერთობები საბერძნეთსა და თურქეთს შორისაც გააფუჭა.

ცოტა ხნის წინ კვიპროსის ბერძნულმა ნაწილმა ხელი მოაწერა ევროკავშირში გაწევრიანების ხელშეკრულებას. მომავალ წელს კი კვიპროსი ევროკავშირის წევრი სახელმწიფო გახდება.

გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს სურდა, რომ კვიპროსის ორივე ნაწილს შეთანხმებისათვის მიეღწია, რათა 2004 წელს გამთლიანებული კვიპროსი ერთიანად შესულიყო ევროკავშირში. კვიპროსელი თურქების ლიდერის პოზიციამ სამშვიდობო ინიციატივა ჩაშალა. ახლა, კუნძულზე მცხოვრები თურქები და მათი მხარდამჭერი ანკარა ცდილობენ, რომ სამშვიდობო პროცესს ხელახალი ბიძგი მისცენ.

# ცხრა დემოკრატი ბუშის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

"ალ ქაიდა ჩვენ თითქმის უკვე ხელში გვყავდა," – განაცხადა სენატის დაზვერვის კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ და პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ბილ გრეჰემმა. მისი თქმით, ბუშმა სწორედ მაშინ მოინდომა ერაყთან ომის დაწყება და ავღანეთიდან და პაკისტანიდან მთელი რესურსები ერაყზე გადაიტანა, რამაც ალ-ქაიდას თავის დაძვრენისა და ძალების მოკრების საშუალება მისცა. სენატორმა იცის, რაზეც ლაპარაკობს. ბოლო ხანს ამერიკის მაღალი თანამდებობის პირები აცხადებდნენ, რომ ალ-ქაიდა წელშია გატეხილი. საუდის არაბეთსა და მაროკოში მომხდარმა სისხლიანმა ტერაქტებმა კი საპირისპირო დაადასტურა. ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ერაყის ომმა, შეიძლება, არაბულ სამყაროში რადიკალური განწყობილებების და, აქედან გამომდინარე, ისლამური ტერორიზმის ზრდას ხელი შეუწყოს.

პრეზიდენტობის კიდევ ერთმა კანდიდატმა, ალ შარპტონმა განაცხადა, რომ თუ იგი პრეზიდენტი გახდა, არავითარ შემთხვევაში არ დანიშნავს ბუშს დაკარგულთა მოძიების ბიუროს უფროსად, რადგან იგი ვერც ბინ ლადენს პოულობს, ვერც სადამ ჰუსეინსა და ვერც ერაყის მასობრივი განადგურების იარაღს. ამ მოსაზრებამ შაბათს გამართულ შეხვედრაზეც გაიჟღერა.

საინტერესოა, რას ფიქრობენ დემოკრატი კანიდატები ერაყის ომზე. მართალია, შეხვედრაზე ამ თემაზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ, მაგრამ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა მაინც გაისმა. ვერმონტის ყოფილი გუბერნატორის, ჰოვარდ დინის აზრით, ერაყის ომი იყო "გადახვევა, რომელსაც აშშ უფრო დაცული არ გაუხდია". სენატორმა გრეჰემმა კი ერაყის სამხედრო კამპანიას "იდეოლოგიური ომი" უწოდა. ალ შარპტონმა განაცხადა, რომ ბუში ყველას გამოეკიდა, გარდა იმისა, ვინც საჭიროა".

თუ საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ბუში შედარებით "იოლად გადარჩა", საფინანსო საკითხებში მისი პოლიტიკა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.

დემოკრატები აღშფოთებულები არიან გადასახადების შემცირებით, რაც მათი აზრით, ამერიკას დაუცველს ტოვებს ტერორისტული საფრთხის წინაშე, ზრდის უმუშევრობას, რადგან ამცირებს საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას, ფინანსური კრიზისის წინაშე აყენებს შტატების მთავრობებს და უარყოფითად მოქმედებს ჯანდაცვისა და განათლების ხარისხზე. აშშ ეკონომიკა ამჟამად საუკეთესო მდგომარეობაში არ არის, იზრდება უმუშევრობა, ეცემა აქციების ფასები, ქვეითდება მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ დემოკრატები მაქსიმალურად შეეცდებიან, წინასაარჩევნო კამპანიაში აქცენტი სწორედ ამ საკითხებზე გადაიტანონ.

"პრეზიდენტის ეკონომიკური პოლიტიკა ჩავარდა, - განაცხადა კონგრესმენმა გერჰარდტმა, - ეკონომიკაში მან ყველაფერი არივ-დარია და 2004 წლის ნოემბერში ამაზე პასუხის გაცემა მოუწევს".

"პრეზიდენტის საგადასახადო პოლიტიკა მდიდრებს უფრო ამდიდრებს და ღარიბებს უფრო აღარიბებს," - განაცხადა კიდევ ერთმა კანდიდატმა ბრაუნმა. განსაკუთრებული კრიტიკა ჯანდაცვაში არსებულმა მდგომარეობამ გამოიწვია. დემოკრატებმა დაუშვებლად მიიჩნიეს ის, რომ 41 მილიონ ამერიკელს ჯანმრთელობის დაზღვევა არა აქვს.

წინა შეხვედრისაგან განსხვავებით, დემოკრატ "კანდიდატობის კანდიდატებს" ერთმანეთთან არ უკამათიათ და მთელი ორატორული ხელოვნება ბუშის წინააღმდეგ მიმართეს. მათ მჭევრმეტყველებას აუდიტორიაში მყოფი ფოკუს-ჯგუფი აფასებდა. ყველაზე მაღალი შეფასება კუსინიჩმა დაიმსახურა, მეორე ადგილზე ალ შარპტონი გავიდა.

დემოკრატიული პარტიიდან ნომინაციისათვის ამჟამად იბრძვიან: სენატორები გრეჰემი, ედვარდსი, კერი და ლიბერმანი; კონგრესმენები წარმომადგენელთა პალატიდან: გეპჰარდტი და კუსინიჩი; გუბერნატორი დინი; ყოფილი სენატორი ბრაუნი და ალ შარპტონი.

# სამშვიდობო პროცესს ტერორისტები აფერხებენ

რვა ადამიანი დაიღუპა და 19 დაიჭრა კვირას, დილით, იერუსალიმში მომხდარი ტერაქტის შედეგად. ტერორისტმა-კამიკაძემ ავტობუსში თავი აიფეთქა. როგორც კი ადგილზე პოლიციისა და სასწრაფო დახმარების მანქანები გამოჩნდნენ, იქვე მეორე აფეთქებაც მოხდა. ამჯერად, აფეთქებას მხოლოდ თვითონ კამიკაძე შეეწირა.

ტერორისტი კამიკაძე ავტობუსში მორწმუნე ებრაელის ტანისამოსში გადაცმული ავიდა. ცოტა ხანში მან "თვითმკვლელის სარტყელი" აამოქმედა.

ადგილი, სადაც აფეთქება მოხდა ცუდი რეპუტაციით სარგებლობს. "ფრანგულ გორაკებზე" ტერაქტები ადრეც არაერთხელ მომხდარა. აქ მდებარეობს მსხვილი სატრანსპორტო კვანძი, რომლითაც ხშირად სარგებლობენ არაბულ ტერიტორიებზე მდებარე დასახლებებში მცხოვრები ებრაელები.

ამ აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე ტერორისტული აქტი მოხდა იერუსალიმში, პატრიარქების საფლავთან. კამიკაძემ თავი აიფეთქა და ებრაელი ცოლ-ქმარი იმსხვერპლა, რომლებიც შაბათის ლოცვიდან ბრუნდებოდნენ. შაბათსვე, ისრაელის არმიის ჯარისკაცებმა სამი პალესტინელი მოკლეს და ცხრა დაჭრეს.


*ისრაელში ტერაქტები არ წყდება.*

ტერორისტულ აქტებს შორის, შაბათს გვიან ღამით, ისრაელისა და პალესტინის პრემიერ-მინისტრებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები გაიმართა. ბოლო ორწლინახევრის მანძილზე ეს ამ დონის პირველი მოლაპარაკება იყო, რომელსაც დიდი ინტერესით მოელოდნენ.

საინფორმაციო საშუალებების ცნობით, შეხვედრამ, რომელიც სამ საათს გაგრძელდა, არცთუ წარმატებულად ჩაიარა. შარონი მოითხოვს, რომ პოლიტიკური მოლაპარაკებების დაწყებამდე, პალესტინელებმა ძალადობა შეწყვიტონ. პალესტინის პრემიერი აბუ მაზენი კი აცხადებს, რომ თუ ისრაელმა "საგზაო რუკად" ცნობილი სამშვიდობო გეგმა არ მიიღო, იგი ექსტრემისტული დაჯგუფებების მოთოკვას ვერ შეძლებს. საბოლოოდ, მხარეები მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

აბუ მაზენი ახალი დანიშნულია. პრემიერ-მინისტრის პოსტი პალესტინის ადმინისტრაციაში ისრაელისა და აშშ-ს დაჟინებული მოთხოვნით შემოიღეს, რომლებიც "ტერორიზმის მამასთან" იასირ არაფატთან ყოველგვარ მოლაპარაკებებზე უარს აცხადებდნენ. თუმცა, არაფატი კვლავინდებურად პალესტინელების გმირად რჩება, მშვიდობის მომხრე პრემიერს კი მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი უჭერს მხარს.

ტერაქტის შემდეგ, ისრაელის მთავრობამ განაცხადა, რომ პრემიერ შარონის ამერიკაში დაგეგმილი ვიზიტი აღარ შედგება. ბუშთან შეხვედრის დროს, შარონს "საგზაო რუკა" უნდა განეხილა და მასში ცვლილებების შეტანა მოეთხოვა. ამ ვიზიტის გადადება, "საგზაო რუკის" ამოქმედებას, ალბათ, საკმაო ხნით შეაყოვნებს.

# ირანი საფრთხის თავიდან აცილებას ცდილობს

არიელ კოენი
www.eurasianet.org

მას შემდეგ, რაც ირანი ორი მხრიდან გარშემორტყმული აღმოჩნდა, ავღანეთსა და ერაყში დისლოცირებული ამერიკული ჯარებით, იგი იძულებული გახდა, თავისი უსაფრთხოების სტრატეგიაზე სერიოზულად დაფიქრებულიყო. ირანის პასუხი ახალ საფრთხეზე "კლასიკური" აღმოჩნდა. იგი ორი კომპონენტისაგან შედგება: საგარეო მოკავშირეების ძიება და შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა "რეგიონული უსაფრთხოების" სტრატეგია, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან კავშირების განმტკიცებას ისახავს მიზნად. ამავე დროს, ირანის სამხედრო ისტებლიშმენტის წარმომადგენლები "თავდაცვითი შეკავების" პოლიტიკაზე სულ უფრო ხშირად საუბრობენ.

ბუშის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამერიკის პოლიტიკა ირანის მიმართ აშკარად მტრულია. ვაშინგტონმა ირანი "ბოროტების ღერძის" ნაწილად გამოაცხადა. ირანის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ მეზობელ ერაყში ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ვაშინგტონის ზეწოლა თეირანზე მნიშვნელოვნად გაიზრდება. მოვლენათა ამგვარი განვითარების თავიდან ასაცილებლად, ირანი ცდილობს, საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან საერთო ენა გამონახოს.

აპრილის ბოლოს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ტურნეს დროს, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ქამალ ხარაზიმ წამოაყენა წინადადება სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის, აგრეთვე რუსეთის, თურქეთის და ირანის მონაწილეობით რეგიონული უსაფრთხოების ორგანიზაციის შექმნის შესახებ. იმისათვის, რათა ხაზი გაესვა ირანის განზრახვის სერიოზულობისათვის და, ამავე დროს, ორგანიზაციის შექმნისათვის ხელი შეეწყო, ხარაზიმ, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადასაჭრელად, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შუამავლობის სურვილი გამოთქვა.

ხარაზის ინიციატივას კავკასიაში ცივად შეხვდნენ. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვილაიეთ გულიევმა ეს წინადადება უარყო და განაცხადა, რომ მისი ქვეყანა რეგიონში ნატო-ს როლის გაზრდას ამჯობინებდა. ნატო-ში ინტეგრირებას ამჯობინებს საქართველოც, რომელსაც ურყევად სწამს, რომ კავკასიაში უსაფრთხოების განმტკიცება მხოლოდ დასავლეთის მნიშვნელოვან ჩარევას შეუძლია. თვით სომხეთშიც კი, რომელსაც ამ სამიდან ირანთან ყველაზე კარგი ურთიერთობები აქვს, ჩათვალეს, რომ ირანის წინადადება არარეალურია.

სტატიაში "უნაყოფო მცდელობა" სომხური გაზეთი "ჰაიკაკან ჟამანაკი" გაგებით მოეკიდა ირანის წინადადებას, მაგრამ აღნიშნა, რომ ირანს არ შეუძლია სერიოზული დახმარება გაუწიოს კავკასიის ქვეყნებს უსაფრთხოების საკითხებში.

ცხადია, რომ ირანი შეშფოთებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებთან ამერიკელების გამოჩენით და არ სურს, რომ ჩრდილოეთშიც იგივე განმეორდეს. მაგრამ, არც საქართველოს, არც აზერბაიჯანსა და არც სომხეთს ამერიკის გარეშე ფონს გასვლა არ შეუძლია. მისი როლის უგულებელყოფის შემთხვევაში, აფხაზეთში ან მთიან ყარაბაღში დაძაბულობის ესკალაცია გარდაუვალია.

რაც შეეხება თეირანის სტრატეგიის მეორე კომპონენტს, ირანი აცხადებს, რომ მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ახალი შეიარაღების წარმოება, რომელიც პოტენციურ მოწინააღმდეგეს თავდასხმაზე ხელს აალებინებს. ამერიკელი ექსპერტები შიშობენ, რომ ასეთი იარაღი შეიძლება იყოს მხოლოდ ატომური ბომბი. ბირთვული იარაღის შექმნისკენ მისწრაფებას კატეგორიულად უარყოფს თავად ირანი, რომელიც აცხადებს, რომ მისი ატომური ამბიციები მხოლოდ მშვიდობიანი, ენერგეტიკული მიზნებით შემოიფარგლება.

# „საოჯახო ლოტო"-ს 17 მაისის №8 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000004 | 4.5 |
| 000015 | 1.5 |
| 000030 | 2.5 |
| 000040 | 3.0 |
| 000048 | 2.5 |
| 000091 | 3.5 |
| 000102 | 3.0 |
| 000123 | 5.0 |
| 000156 | 1.0 |
| 000189 | 5.0 |
| 000191 | 11.0 |
| 000235 | 4.0 |
| 000288 | 3.5 |
| 000311 | 1.5 |
| 000312 | 4.0 |
| 000392 | 3.5 |
| 000408 | 1.0 |
| 000448 | 1.0 |
| 000458 | 1.5 |
| 000459 | 4.5 |
| 000472 | 1.5 |
| 000505 | 1.0 |
| 000510 | 2.5 |
| 000523 | 1.5 |
| 000529 | 7.0 |
| 000530 | 2.5 |
| 000539 | 4.0 |
| 000545 | 2.5 |
| 000577 | 2.0 |
| 000580 | 2.5 |
| 000621 | 1.0 |
| 000641 | 2.5 |
| 000654 | 2.5 |
| 000662 | 4.0 |
| 000698 | 1.5 |
| 000714 | 2.0 |
| 000752 | 7.0 |
| 000757 | 3.0 |
| 000780 | 1.0 |
| 000784 | 1.0 |
| 000792 | 5.0 |
| 000815 | 3.0 |
| 000838 | 1.0 |
| 000842 | 3.0 |
| 000865 | 1.5 |
| 000908 | 7.0 |
| 000917 | 7.0 |
| 000963 | 1.5 |
| 000982 | 13.0 |
| 001028 | 2.0 |
| 001094 | 1.5 |
| 001158 | 5.0 |
| 001164 | 2.5 |
| 001189 | 2.0 |
| 001191 | 3.0 |
| 001202 | 1.5 |
| 001207 | 1.5 |
| 001211 | 1.0 |
| 001213 | 3.0 |
| 001230 | 3.0 |
| 001244 | 1.5 |
| 001261 | 1.5 |
| 001279 | 2.0 |
| 001300 | 4.0 |
| 001434 | 9.0 |
| 001440 | 2.5 |
| 001460 | 2.0 |
| 001465 | 1.0 |
| 001479 | 2.0 |
| 001482 | 2.5 |
| 001483 | 2.5 |
| 001490 | 1.5 |
| 001615 | 11.0 |
| 001640 | 1.0 |
| 001708 | 1.0 |
| 001727 | 2.5 |
| 001731 | 2.5 |
| 001733 | 3.0 |
| 001741 | 2.5 |
| 001790 | 2.5 |
| 001795 | 1.5 |
| 001876 | 1.5 |
| 001895 | 4.5 |
| 001934 | 3.0 |
| 001968 | 4.0 |
| 001988 | 1.5 |
| 001995 | 2.5 |
| 002038 | 2.0 |
| 002059 | 11.0 |
| 002080 | 1.0 |
| 002101 | 3.0 |
| 002106 | 1.5 |
| 002111 | 2.0 |
| 002155 | 1.0 |
| 002158 | 2.0 |
| 002204 | 1.0 |
| 002235 | 3.5 |
| 002246 | 2.0 |
| 002255 | 2.5 |
| 002275 | 4.0 |
| 002281 | 25.0 |
| 002313 | 3.5 |
| 002335 | 1.0 |
| 002364 | 1.0 |
| 002411 | 1.5 |
| 002415 | 1.0 |
| 002420 | 5.0 |
| 002425 | 1.0 |
| 002454 | 1.0 |
| 002476 | 3.0 |
| 002493 | 4.0 |
| 002495 | 2.0 |
| 002559 | 3.0 |
| 002568 | 13.0 |
| 002576 | 3.0 |
| 002614 | 1.5 |
| 002641 | 3.0 |
| 002644 | 7.0 |
| 002654 | 7.0 |
| 002655 | 2.0 |
| 002664 | 1.0 |
| 002675 | 2.5 |
| 002677 | 1.0 |
| 002682 | 17.5 |
| 002706 | 2.5 |
| 002711 | 3.0 |
| 002714 | 3.5 |
| 002727 | 1.0 |
| 002728 | 1.5 |
| 002734 | 2.5 |
| 002778 | 30.0 |
| 002780 | 3.0 |
| 002820 | 2.0 |
| 002832 | 1.0 |
| 002893 | 1.5 |
| 002898 | 1.5 |
| 002900 | 3.0 |
| 002913 | 1.5 |
| 002921 | 2.5 |
| 002940 | 4.5 |
| 002961 | 2.5 |
| 002962 | 2.0 |
| 002970 | 1.0 |
| 002986 | 1.0 |
| 002988 | 2.5 |
| 003009 | 1.5 |
| 003013 | 2.5 |
| 003030 | 2.5 |
| 003038 | 1.0 |
| 003046 | 13.0 |
| 003056 | 1.0 |
| 003072 | 1.0 |
| 003075 | 3.0 |
| 003090 | 1.0 |
| 003096 | 13.0 |
| 003105 | 1.5 |
| 003144 | 1.5 |
| 003153 | 1.0 |
| 003175 | 5.0 |
| 003194 | 2.0 |
| 003217 | 1.0 |
| 003230 | 1.0 |
| 003245 | 2.5 |
| 003262 | 7.0 |
| 003328 | 2.5 |
| 003332 | 1.5 |
| 003341 | 1.5 |
| 003369 | 3.0 |
| 003386 | 2.5 |
| 003393 | 2.0 |
| 003466 | 1.5 |
| 003504 | 5.0 |
| 003505 | 3.0 |
| 003548 | 1.0 |
| 003592 | 1.0 |
| 003597 | 1.5 |
| 003607 | 3.0 |
| 003621 | 11.0 |
| 003644 | 2.0 |
| 003655 | 2.5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 003732 | 1.0 |
| 003833 | 1.5 |
| 003842 | 2.5 |
| 003910 | 2.0 |
| 003953 | 4.5 |
| 003961 | 5.0 |
| 003985 | 1.0 |
| 003998 | 1.5 |
| 004003 | 1.0 |
| 004024 | 3.0 |
| 004033 | 1.5 |
| 004078 | 11.0 |
| 004086 | 2.0 |
| 004113 | 1.0 |
| 004117 | 1.5 |
| 004131 | 1.5 |
| 004141 | 3.5 |
| 004146 | 2.0 |
| 004159 | 2.0 |
| 004257 | 4.0 |
| 004266 | 1.0 |
| 004288 | 1.5 |
| 004290 | 1.5 |
| 004298 | 4.5 |
| 004307 | 1.5 |
| 004312 | 2.5 |
| 004336 | 1.0 |
| 004344 | 3.0 |
| 004347 | 1.5 |
| 004349 | 2.0 |
| 004359 | 1.0 |
| 004363 | 1.0 |
| 004399 | 2.0 |
| 004442 | 1.5 |
| 004451 | 1.5 |
| 004458 | 4.0 |
| 004469 | 11.0 |
| 004488 | 20.0 |
| 004489 | 2.0 |
| 004494 | 13.0 |
| 004537 | 2.5 |
| 004553 | 1.0 |
| 004575 | 1.0 |
| 004627 | 2.5 |
| 004632 | 2.5 |
| 004661 | 5.0 |
| 004666 | 25.0 |
| 004688 | 4.5 |
| 004690 | 1.0 |
| 004728 | 3.0 |
| 004746 | 4.0 |
| 004831 | 4.0 |
| 004834 | 7.0 |
| 004872 | 2.0 |
| 004883 | 1.0 |
| 004885 | 1.5 |
| 004903 | 4.0 |
| 004931 | 1.5 |
| 004962 | 2.0 |
| 004988 | 1.5 |
| 005027 | 13.0 |
| 005028 | 11.0 |
| 005048 | 1.0 |
| 005052 | 3.0 |
| 005087 | 5.0 |
| 005135 | 17.5 |
| 005165 | 1.5 |
| 005202 | 20.0 |
| 005213 | 2.0 |
| 005236 | 3.0 |
| 005284 | 2.5 |
| 005327 | 2.0 |
| 005335 | 1.5 |
| 005354 | 2.0 |
| 005360 | 20.0 |
| 005369 | 1.0 |
| 005384 | 2.0 |
| 005422 | 9.0 |
| 005439 | 5.0 |
| 005445 | 1.0 |
| 005446 | 1.0 |
| 005472 | 1.5 |
| 005473 | 1.0 |
| 005476 | 17.5 |
| 005493 | 5.0 |
| 005498 | 17.5 |
| 005534 | 2.0 |
| 005597 | 20.0 |
| 005598 | 2.5 |
| 005812 | 2.0 |
| 005853 | 1.0 |
| 005855 | 1.5 |
| 005886 | 1.5 |
| 005910 | 1.5 |
| 005936 | 9.0 |
| 005945 | 4.0 |
| 006002 | 4.0 |
| 006012 | 3.0 |
| 006016 | 3.0 |
| 006018 | 2.0 |
| 006046 | 3.5 |
| 006061 | 4.0 |
| 006085 | 7.0 |
| 006111 | 1.0 |
| 006121 | 7.0 |
| 006122 | 1.0 |
| 006124 | 3.0 |
| 006139 | 2.0 |
| 006159 | 3.0 |
| 006191 | 1.0 |
| 006198 | 1.5 |
| 006218 | 2.0 |
| 006229 | 1.0 |
| 006281 | 3.5 |
| 006295 | 2.5 |
| 006339 | 2.5 |
| 006345 | 4.0 |
| 006362 | 3.5 |
| 006366 | 2.0 |
| 006393 | 1.0 |
| 006434 | 20.0 |
| 006476 | 1.5 |
| 006558 | 2.5 |
| 006606 | 5.0 |
| 006614 | 1.5 |
| 006621 | 1.5 |
| 006655 | 2.5 |
| 006669 | 1.5 |
| 006698 | 7.0 |
| 006708 | 2.5 |
| 006712 | 7.0 |
| 006728 | 1.0 |
| 006747 | 2.5 |
| 006812 | 13.0 |
| 006875 | 2.5 |
| 006888 | 1.5 |
| 006907 | 1.0 |
| 006931 | 2.0 |
| 006935 | 1.0 |
| 006938 | 4.5 |
| 006967 | 1.0 |
| 006970 | 25.0 |
| 006971 | 1.5 |
| 084335 | 4.0 | 084857 | 2.0 | 085585 | 2.0 | 085992 | 5.0 | 086524 | 4.0 | 087105 | 4.0 | 087514 | 22.0 | 088097 | 7.0 |
| 084401 | 6.0 | 085023 | 5.0 | 085617 | 7.0 | 085998 | 22.0 | 086526 | 14.0 | 087143 | 8.0 | 087536 | 22.0 | 088122 | 18.0 |
| 084411 | 40.0 | 085038 | 3.0 | 085639 | 5.0 | 086048 | 4.0 | 086528 | 2.0 | 087162 | 4.0 | 087578 | 2.0 | 088144 | 10.0 |
| 084473 | 5.0 | 085071 | 10.0 | 085651 | 7.0 | 086067 | 4.0 | 086622 | 4.0 | 087195 | 4.0 | 087682 | 4.0 | 088170 | 10.0 |
| 084483 | 3.0 | 085091 | 10.0 | 085670 | 5.0 | 086083 | 14.0 | 086662 | 8.0 | 087196 | 5.0 | 087796 | 4.0 | 088222 | 7.0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 088227 | 3.0 | 088647 | 9.0 | 089138 | 2.0 | 089589 | 4.0 | 090340 | 2.0 | 090871 | 3.0 | 100293 | 1.5 | 100642 | 5.0 |
| 088230 | 4.0 | 088714 | 8.0 | 089155 | 2.0 | 089608 | 30.0 | 090403 | 5.0 | 090886 | 5.0 | 100301 | 3.5 | 100657 | 2.5 |
| 088233 | 4.0 | 088769 | 2.0 | 089180 | 7.0 | 089636 | 3.0 | 090405 | 3.0 | 100036 | 2.0 | 100309 | 1.5 | 100682 | 4.0 |
| 088238 | 3.0 | 088775 | 5.0 | 089185 | 3.0 | 089639 | 4.0 | 090417 | 5.0 | 100072 | 4.0 | 100335 | 5.0 | 100716 | 3.5 |
| 088249 | 4.0 | 088781 | 4.0 | 089200 | 9.0 | 089651 | 2.0 | 090422 | 4.0 | 100073 | 60.0 | 100347 | 28.0 | 101008 | 4.5 |
| 088267 | 14.0 | 088789 | 3.0 | 089211 | 3.0 | 089665 | 5.0 | 090427 | 2.0 | 100089 | 7.0 | 100382 | 4.0 | 101012 | 1.5 |
| 088274 | 5.0 | 088796 | 2.0 | 089220 | 6.0 | 089673 | 6.0 | 090496 | 5.0 | 100095 | 3.0 | 100393 | 10.0 | 101042 | 1.5 |
| 088278 | 6.0 | 088808 | 2.0 | 089237 | 4.0 | 089696 | 4.0 | 090536 | 26.0 | 100123 | 1.5 | 100408 | 3.5 | 101077 | 1.0 |
| 088286 | 4.0 | 088847 | 80.0 | 089257 | 2.0 | 089920 | 3.0 | 090552 | 3.0 | 100130 | 2.5 | 100412 | 2.5 | 101103 | 3.5 |
| 088293 | 6.0 | 088857 | 2.0 | 089282 | 5.0 | 089923 | 8.0 | 090578 | 5.0 | 100140 | 12.0 | 100413 | 2.5 | 101150 | 1.0 |
| 088344 | 8.0 | 088920 | 3.0 | 089293 | 5.0 | 089964 | 10.0 | 090580 | 5.0 | 100149 | 17.5 | 100414 | 2.5 | 101157 | 3.0 |
| 088345 | 5.0 | 088937 | 3.0 | 089336 | 3.0 | 089995 | 7.0 | 090615 | 2.0 | 100233 | 5.0 | 100426 | 5.0 | 101160 | 1.5 |
| 088351 | 3.0 | 088970 | 26.0 | 089370 | 4.0 | 090125 | 2.0 | 090633 | 3.0 | 100241 | 12.0 | 100436 | 8.0 | 110009 | 1.0 |
| 088362 | 9.0 | 088995 | 10.0 | 089372 | 7.0 | 090134 | 3.0 | 090640 | 4.0 | 100248 | 5.0 | 100446 | 2.5 | 110013 | 14.0 |
| 088376 | 7.0 | 089004 | 6.0 | 089441 | 9.0 | 090161 | 2.0 | 090700 | 4.0 | 100251 | 5.0 | 100464 | 3.0 | 110042 | 1.5 |
| 088418 | 4.0 | 089037 | 3.0 | 089449 | 4.0 | 090164 | 2.0 | 090782 | 5.0 | 100268 | 1.0 | 100478 | 20.0 | 110049 | 1.5 |
| 088434 | 10.0 | 089061 | 4.0 | 089454 | 2.0 | 090171 | 9.0 | 090803 | 2.0 | 100270 | 1.0 | 100489 | 9.0 | 110053 | 2.5 |
| 088503 | 7.0 | 089100 | 4.0 | 089477 | 30.0 | 090187 | 9.0 | 090831 | 35.0 | 100272 | 1.0 | 100511 | 16.0 | | |
| 088625 | 2.0 | 089112 | 7.0 | 089514 | 2.0 | 090196 | 2.0 | 090832 | 5.0 | 100275 | 3.0 | 100518 | 6.0 | | |
| 088635 | 3.0 | 089113 | 3.0 | 089540 | 3.0 | 090200 | 5.0 | 090856 | 5.0 | 100280 | 4.0 | 100602 | 28.0 | | |
| | | | | 089550 | 2.0 | 090303 | 26.0 | 090869 | 3.0 | 100282 | 22.0 | 100637 | 5.0 | | |

## გათამაშების მიმდინარეობა

| სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | მოგებულთა რაოდენობა | კოეფიციენტი | სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | მოგებულთა რაოდენობა | კოეფიციენტი | სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | მოგებულთა რაოდენობა | კოეფიციენტი | სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | მოგებულთა რაოდენობა | კოეფიციენტი | სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | მოგებულთა რაოდენობა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 34 | 0 | 0 | 16 | 43 | 0 | 0 | 31 | 23 | 0 | 0 | 46 | 90 | 0 | 0 | 61 | 57 | 22 | 35 |
| 2 | 81 | 0 | 0 | 17 | 1 | 0 | 0 | 32 | 64 | 0 | 0 | 47 | 83 | 0 | 0 | 62 | 30 | 25 | 30 |
| 3 | 80 | 0 | 0 | 18 | 59 | 0 | 0 | 33 | 62 | 0 | 0 | 48 | 40 | 0 | 0 | 63 | 13 | 54 | 26 |
| 4 | 6 | 0 | 0 | 19 | 79 | 0 | 0 | 34 | 36 | 0 | 0 | 49 | 86 | 0 | 0 | 64 | 55 | 47 | 22 |
| 5 | 22 | 0 | 0 | 20 | 25 | 0 | 0 | 35 | 60 | 0 | 0 | 50 | 17 | 1 | 500 | 65 | 2 | 75 | 18 |
| 6 | 65 | 0 | 0 | 21 | 29 | 0 | 0 | 36 | 82 | 0 | 0 | 51 | 78 | 2 | 400 | 66 | 61 | 115 | 14 |
| 7 | 15 | 0 | 0 | 22 | 87 | 0 | 0 | 37 | 24 | 0 | 0 | 52 | 56 | 3 | 300 | 67 | 63 | 132 | 10 |
| 8 | 37 | 0 | 0 | 23 | 33 | 0 | 0 | 38 | 3 | 0 | 0 | 53 | 47 | 1 | 200 | 68 | 70 | 109 | 9 |
| 9 | 88 | 0 | 0 | 24 | 48 | 0 | 0 | 39 | 39 | 0 | 0 | 54 | 28 | 1 | 100 | 69 | 44 | 178 | 8 |
| 10 | 8 | 0 | 0 | 25 | 67 | 0 | 0 | 40 | 72 | 0 | 0 | 55 | 38 | 1 | 90 | 70 | 45 | 178 | 7 |
| 11 | 46 | 0 | 0 | 26 | 73 | 0 | 0 | 41 | 74 | 0 | 0 | 56 | 21 | 6 | 80 | 71 | 32 | 235 | 6 |
| 12 | 4 | 0 | 0 | 27 | 76 | 0 | 0 | 42 | 53 | 0 | 0 | 57 | 41 | 3 | 70 | 72 | 12 | 412 | 5 |
| 13 | 84 | 0 | 0 | 28 | 11 | 0 | 0 | 43 | 5 | 0 | 0 | 58 | 71 | 6 | 60 | 73 | 58 | 424 | 4 |
| 14 | 77 | 0 | 0 | 29 | 35 | 0 | 0 | 44 | 42 | 0 | 0 | 59 | 50 | 12 | 50 | 74 | 7 | 566 | 3 |
| 15 | 19 | 0 | 0 | 30 | 49 | 0 | 0 | 45 | 75 | 0 | 0 | 60 | 51 | 22 | 40 | 75 | 31 | 572 | 2 |

## გაუთამაშებელი ნომრები

9
10
14
16
18
20
26
27
52
54
66
68
69
85
89

**ქალაქ ქუთაისში შეგიძლიათ შეავსოთ თავისუფალი ბარათები და ასევე გაანაღდოთ მოგება შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. N1**

### სატელევიზიო ტოტალიზატორის "საოჯახო ტოტოს" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე.

გათამაშებაში მონაწილეობს **90** კოჭი - **1-დან 90-ის** ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა **15-ციფრიანი** დაფის შევსება **75 სვლის ჩათვლით**.

გათამაშებაში მონაწილეობს ორი ტიპის ბარათი:

1. ორგანიზატორის მიერ წინასწარ შევსებული (მზა) სხვადასხვა ფასიანი ბარათი, რომლის შეძენაც შესაძლებელია სარეალიზაციო პუნქტებში.
2. მოთამაშის მიერ თავისი სურვილით შერჩეული ნებისმიერი 15 ციფრი, რომლის შევსება შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

მოგებულად ჩაითვლება ბარათი, რომელზეც 75 სვლის ჩათვლით შეივსება ბარათზე არსებული თხუთმეტივე ციფრი.

ბარათის შევსების შემთხვევაში მოთამაშეს ეკუთვნის ფულადი მოგება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დადებული ფსონისა (ბარათის ღირებულება) და ბარათის შევსების მომენტში სვლის კოეფიციენტის ნამრავლით. მაგ: თუ თქვენი ბარათი შეივსო 30-ე სვლაზე, რომლის კოეფიციენტიც თქვენთვის წინასწარაა ცნობილი და პირველ გათამაშებაზე 16 000-ია, ე.ი. თქვენ მოიგეთ:

**50-თეთრიანი ბარათის შემთხვევაში - 0.5X16 000=8 000 ლარი.**
**1-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 1X16 000=16 000 ლარი.**
**2-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 2X16 000=32 000 ლარი.**

**გათამაშების შედეგები და მომდევნო ტირაჟის კოეფიციენტების ცხრილი გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათში".**

*დამატებითი ინფორმაციისათვის და დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 96 38 47.*
*შეიძინეთ, გაერთეთ და მოიგეთ!*

*შპს "ფენიქსი" გისურვებთ წარმატებას!!!*

## მომავალი გათამაშების კოეფიციენტთა ცხრილი

| სვლა | კოეფიციენტი | სვლა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 15 | 25000 | 46 | 2500 |
| 16 | 25000 | 47 | 2000 |
| 17 | 25000 | 48 | 1500 |
| 18 | 25000 | 49 | 1000 |
| 19 | 25000 | 50 | 500 |
| 20 | 25000 | 51 | 400 |
| 21 | 25000 | 52 | 300 |
| 22 | 25000 | 53 | 200 |
| 23 | 25000 | 54 | 100 |
| 24 | 25000 | 55 | 90 |
| 25 | 25000 | 56 | 80 |
| 26 | 20000 | 57 | 70 |
| 27 | 19000 | 58 | 60 |
| 28 | 18000 | 59 | 50 |
| 29 | 17000 | 60 | 40 |
| 30 | 16000 | 61 | 35 |
| 31 | 15000 | 62 | 30 |
| 32 | 14000 | 63 | 26 |
| 33 | 13000 | 64 | 22 |
| 34 | 12000 | 65 | 18 |
| 35 | 11000 | 66 | 14 |
| 36 | 10000 | 67 | 10 |
| 37 | 9000 | 68 | 9 |
| 38 | 8000 | 69 | 8 |
| 39 | 7000 | 70 | 7 |
| 40 | 6000 | 71 | 6 |
| 41 | 5000 | 72 | 5 |
| 42 | 4500 | 73 | 4 |
| 43 | 4000 | 74 | 3 |
| 44 | 3500 | 75 | 2 |
| 45 | 3000 | | |




# საქართველო „ოქროს შუალედში"

*გასაკვირია, მაგრამ საერთაშორისო-ჰუმანიტარული ორგანიზაციის, "გადაარჩინეთ ბავშვები" (Safe the Children), უკანასკნელი გამოკვლევით, საქართველოში დედებისა და მათი ბავშვებისათვის აზერბაიჯანის, ზიმბაბვეს, პერუს, კუვეიტსა და სხვა ქვეყნებთან შედარებით, უკეთესი პირობებია შექმნილი. საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოკვლევა - მსოფლიოში საუკეთესო ქვეყნები დედებისა და მათი ბავშვებისათვის მსოფლიოს 19 განვითარებულ და 98 განვითარებად ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესახებ კვლევებზე დაყრდნობით ჩაატარა. გამოკვლევამ, რომელმაც ამდენი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, საქართველოს საკმაოდ ნორმალური მაჩვენებელი მიანიჭა, საუკეთესო ქვეყნის განმსაზღვრელ მაჩვენებლებად საკმაოდ მრალფეროვანი კრიტერიუმები გამოიყენა.*

თეა ხოფერია

გამოკვლევის მიხედვით, ქალთა მდგომარეობის შეფასებისათვის ექვსი კრიტერიუმია გამოყენებული, ხოლო მათი ბავშვებისათვის - ოთხი. "HealthScoutNews"-ის ჟურნალისტის, სერენა გორდონის ინფორმაციით, ქალთა მდგომარეობას შემდეგი კრიტერიუმები აფასებს: მშობიარობისას დედის სიკვდილიანობის მაჩვენებელი; თანამედროვე კონტრაცეპტივების მომხმარებელ ქალთა რიცხვი; პროცენტი მშობიარობებისა, რომელსაც პროფესიონალი ექიმები დაესწრნენ, ანემიის მატარებელ ორსულ ქალთა მაჩვენებელი; უფროსი ასაკის ქალთა წერა-კითხვის მაჩვენებელი; ქვეყნის მთავრობაში მომუშავე ქალთა რიცხვი. რაც შეეხება ბავშვებს, მათი მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები შემდეგია: ახალშობილთა სიკვდილიანობის რიცხვი; ბავშვთა დასაქმებულობის რიცხვი და პროცენტი ბავშვებისა, რომელთაც ხელი უსაფრთხო წყალზე მიუწვდებათ; ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა რიცხვი, რომელნიც კვების ნაკლებობას განიცდიან.

ამ კრიტერიუმების თანახმად, ყველაზე საუკეთესო და ყველაზე ცუდი პირობების მქონე ათ-ათი ქვეყანა გამოვლინდა. პირველ ადგილზეა შვედეთი, ხოლო უკანასკნელ 117-ე ადგილზე კი ნიგერიაა. სხვათა შორის, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები, საქართველოს არც თუ ისე დიდი კოეფიციენტით უსწრებს. ორგანიზაცია "Safe the Children"-მა თავის გამოკვლევაში აშშ-ს 11-ე, ხოლო საქართველოს 44-ე ადგილი მიანიჭა.

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის წევრების აზრით, ბავშვების მდგომარეობა ზოგადად მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ დედებთან.

**"სამოცდაათი წლის მუშაობის გამოცდილებამ ჩვენ ნათლად გვიჩვენა, რომ ბავშვთა ცხოვრების დონე მათი დედების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და კარგად ყოფნაზეა დამოკიდებული. დედების განათლებულობა, ეკონომიკური უზრუნველყოფილება, ჯანმრთელობის გაფრთხილება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები დედებისა და მათი ბავშვების გადარჩენის საუკეთესო წინაპირობებია",** - აცხადებენ ორგანიზაციის წევრები.

ცხადია, რომ კვლევის შედეგები დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს.

როგორც ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს (სოროსის ფონდის) ქალთა პროგრამის კოორდინატორი მარინა თაბუკაშვილი აცხადებს, კონკრეტულად მათი ორგანიზაცია ძალღონეს არ იშურებს საზოგადოების ამ მძიმე ვითარებიდან გამოსაყვანად, თუმცა...

**"ჩვენ შეუძლებელის გადასაწყვეტად ვმუშაობთ. ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ ის მძიმე ვითარება საქართველოში, რომელიც დღითიდღე უარესდება. მაგრამ, ჩვენ მაინც არ გავჩერდებით",** - ამბობს მარინა თაბუკაშვილი.

## მოკლედ

**თელავი.** სულ მალე თელავში ახალი ციფრული სატელეფონო სადგური ჩაირთვება. თუმცა, ამ სასიამოვნო სიახლეს პრობლემებიც ახლავს. მოსახლეობა ვალდებულია, სამი თვის განმავლობაში ახალ სატელეფონო სადგურში ჩართვისთვის თვიურად 50 ლარი იხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სატელეფონო კავშირის გარეშე დარჩებიან. ასეთი ულტიმატუმი და დროში შეზღუდვა მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.

ოპოზიციის განცხადებით, თუ გადახდის ვადა ორ წლამდე არ გაიზრდება, საპროტესტოდ ქუჩის აქციები დაიწყება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** განათლების მინისტრმა ხელი მოაწერა ბრძანებას თბილისის სასკოლო ოლქის შექმნის შესახებ. სამინისტროს ინფორმაციით, უკვე მზად არის სასკოლო ოლქის სამმართველოს დებულება, რომლის თანახმად, თბილისის სასკოლო ოლქი უზრუნველყოფს ოლქის ტერიტორიაზე ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებას, მოახდენს ყველა იმ სასწავლო-საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულების ლიცენზირებას, აკრედიტაციასა და პედაგოგთა ატესტაციას, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამებს ასრულებენ. უმაღლესი სასწავლებლები, სამხედრო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები აღნიშნულ დებულებას და ბრძანებას არ ექვემდებარება. ორი კვირის ვადაში განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, რუსუდან გორგილაძე წარუდგენს მინისტრს წინადადებას თბილისის სასკოლო ოლქის სამმართველოს სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების შესახებ. **მედია-ნიუსი**

# საქართველოს 450 მოქალაქე ჰომოსექსუალისტობას აღიარებს

ზაზა ფაჩუაშვილი

*შიდსის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაერო-ს ოფისში გამართულ ღონისძიებაზე დამაიმედებელ ინფორმაციასთან ერთად ბევრისთვის მოულოდნელი და სამწუხარო განცხადებაც გაკეთდა.*

კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის დირექტორის ბადრი ჩლაიძის განცხადება ასეთი გამოდგა:

**"ბოლო სამი წლის განმავლობაში ოფიციალურად აღრიცხვაზე ავიყვანეთ 450 ჰომოსექსუალისტი. ეს ის ხალხია, ვინც არ მალავს და უპრობლემოდ აღიარებს თავის სექსუალურ ორიენტაციას."**

ყველა "სიკეთესთან" ერთად ეს ინფორმაცია იმითიცაა შემაშფოთებელი, რომ ჰომოსექსუალისტები შიდსით ინფიცირების რისკ-ჯგუფს მიეკუთვნებიან და დიდი შანსია იმისა, რომ მომავალში შიდსის მსხვერპლთა რიგებს მათი და მათი პარტნიორების სახელებიც მიემატოს.


ბადრი ჩლაიძის სამწუხარო განცხადება.
ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

საქართველოში დღეს შიდსის ვირუსით ინფიცირებულია 418 ადამიანი. შიდსი 119-ს განუვითარდა. მათ შორის, 66 - გარდაიცვალა. ინფიცირებულთა შორის 70 პროცენტი ნარკომანია, 25 პროცენტი - სექსუალური გზით დაავადდა. დანარჩენები დაინფიცირდნენ არატრადიციული სექსუალური ურთიერთობებით, შეუმოწმებელი სისხლის გადასხმით და ვერტიკალური გზით - ვირუსის დედისგან ახალშობილისთვის გადაცემით. დაფიქსირებულია სამი ასეთი შემთხვევა.

დამაიმედებელი ინფორმაცია ისაა, რომ შიდსს მთელი ძალებითა და რესურსებით ებრძვის განვითარებული მსოფლიო და თუ თითოეული ჩვენთაგანი სიფრთხილეს გამოიჩენს, ინფიცირების შანსი მინიმუმამდე დავა.

ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ გაერო-ს გლობალურმა ფონდმა საქართველოს შიდსთან საბრძოლველად 12-მილიონიანი გრანტი გამოუყო. ეს არის შიდსის ეფექტური პროფილაქტიკისა და მკურნალობის რეალური შანსი.

წელს საქართველოში შემოიტანენ 1,9 მილიონი ევროს ღირებულების სამკურნალო საშუალებებს, რომელიც დაავადებულებს უფასოდ დაურიგდებათ.

თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, დამშვიდების მიზეზი მაინც არ გვაქვს.

წელს, ოთხი თვის განმავლობაში, შიდსის ვირუსით ინფიცირების 43 ახალი შემთხვევა აღირიცხა. აქამდე საქართველოში ასეთი მაღალი მაჩვენებელი ჯერ არ ყოფილა.

# დებატები საქართველოს სკოლებშიც ეწყობა

ირინე სანებლიძე

*ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" აგრძელებს მოზარდებში კამათისა და დებატების კულტურის დამკვიდრებას. ორდღიან სასკოლო ტურნირზე ბავშვები ბჭობდნენ, გამართლებულია თუ არა რეკლამა.*

კარლ პოპერის დებატების პროგრამას ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" ახორციელებს და სასკოლო და საუნივერსიტეტო ტურნირებს წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე ატარებს. სასკოლო ტურნირი წელს რაიონული მასშტაბით ჩატარდა, სადაც მეექვსე-მერვე კლასელები მონაწილეობდნენ. ამჯერად განსახილველი თემა იყო - გამართლებულია თუ არა რეკლამა. აღსანიშნავია, რომ სასკოლო და საუნივერსიტეტო ტურნირები სადებატო თემის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების პოზიციების დაფიქსირებას არ ითვალისწინებს და ძირითადი აქცენტი კამათის უნარის გამომუშავებაზეა; ხსენებულ თემაზე პასუხის გაცემა არ იყო ორდღიანი ტურნირის მიზანი. საქართველოს მეექვსე-მერვე კლასელები, უბრალოდ, პრაქტიკულად ეცნობოდნენ დებატების ეთიკასა და კულტურას.

ტურნირს, როგორც ყოველთვის, ორთვიანი მოსამზადებელი ეტაპი უსწრებდა წინ. დებატებში მონაწილეებს, ინფორმირებისთვის, სპეციალური საკვლევი პაკეტი დაურიგდათ, სადაც ორგანიზატორებმა სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკა, ანალიზი შეიტანეს და ბავშვებს თემის შესაბამისი კანონმდებლობა გააცნეს. ძირითადი სამუშაო ბავშვებისთვის ამის შემდეგ დაიწყო: მოზარდებმა პრესიდან და ინტერნეტით მოიძიეს ის აუცილებელი მასალა, რაც ტურნირზე მაქსიმალურად გამოადგებოდათ.

ზოგი მათგანი კარლ პოპერის დებატების ტურნირებში პირველად მონაწილეობდა, ამიტომ მათ "ვეტერან" თანატოლებთან ერთად სკოლებთან არსებული დებატების კლუბების ხელმძღვანელები ამზადებდნენ. ამის შემდეგ, მასშტაბური ტურნირის ჩატარებისთვის, 25 საკლასო ოთახი გახდა მოსაძიებელი. ორგანიზატორებმა 151-ე საშუალო სკოლა შეარჩიეს, რომელმაც ოთხივე სართული ტურნირს უსასყიდლოდ დაუთმო.

ორდღიან ტურნირზე 51 გუნდი მოგროვდა, თითო გუნდში 3 ბავშვით. თავიდან ტურნირში თბილისის - 28, ბათუმის - 5, ჭიათურის - 2, ქუთაისის - 2, თელავის - 3, რუსთავის - 9, ბორჯომისა და მარნეულის თითოთითო გუნდი მონაწილეობდა. ოთხი რაუნდის განმავლობაში, თითოეული გუნდი ხან პოზიციის, ხანაც ოპოზიციის როლში იყო; შემდეგ ყველაფერი ფინალებმა გადაწყვიტა. მერვედფინალში 16 გუნდი დარჩა - რუსთავის- 3, ბათუმის - 3, ქუთაისის - 1 და თბილისის - 13; მეოთხედფინალში ბათუმის 2, რუსთავისა და თბილისის სამ-სამი გუნდი მოხვდა; ნახევარფინალში რუსთავის ორი, ბათუმისა და თბილისის თითო გუნდი დარჩა და ბოლოს, ფინალში თბილისისა და რუსთავის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. რუსთავის გუნდმა თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლას აჯობა. როგორც ჩანს, არგუმენტები, რომ რეკლამა გამართლებულია, უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდა და რუსთავმა გაიმარჯვა.

პოზიციონერები ამტკიცებდნენ, რომ რეკლამა ჯანსაღი კონკურენციის, ძლიერი სახელმწიფოს, მოსახლეობის დასაქმების, პროდუქციის ხარისხის საწინდარია; ოპოზიცია კი კონტრარგუმენტებით გამოდიოდა: რეკლამა არაეთიკურია, ზოგჯერ დეზინფორმაციის წყაროცაა, ზოგჯერ ჯანმრთელობისთვის საზიანოა, ფსიქიკაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ძალიან ბევრ, უხარისხო პროდუქციას უწევს პოპულარიზაციას. ტურნირში მონაწილეები რეკლამის საჭიროებასა თუ მავნეობაზე თავიანთ არგუმენტებსა და ლოგიკას სხვადასხვა პროდუქციის (უალკოჰოლო სასმელების, წამლების და სხვ.) კონკრეტულ მაგალითებზე აგებდნენ.

ბავშვების არგუმენტებს აფასებდნენ მსაჯები, რომლებიც იმავდროულად საქართველოს საშუალო სკოლებთან არსებული დებატების კლუბების მწვრთნელებიც არიან. ისინი სკოლებში კვირაში ერთ დღეს ბავშვებს დებატების ტექნიკას ასწავლიან.

"ღია საზოგადოება საქართველომ" პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები ბლოკნოტებითა და კალმებით დააჯილდოვა, გოგონებს კი ბოქლომიანი "დღიურები" აჩუქა. პრიზები, ასევე, ათ საუკეთესო მოდებატესაც ერგო.

"ღია საზოგადოება საქართველო" შემოდგომისთვის დიდი მასშტაბის ტურნირს გეგმავს: მთელ საქართველოში ერთდროულად ჩატარდება - ცალკე სასკოლო, ცალკე საუნივერსიტეტო ტურნირები. "არჩევნები დემოკრატიული უნდა იყოს!" - ესაა საშემოდგომო ტურნირის თემა. ტურნირში ამჯერად ყველა ასაკობრივი ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას.

## სამართალი

# ევროსაბჭო ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ

ერთ თვეში საქართველოში ჩამოვლენ ევროსაბჭოს ექსპერტები, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის არაკონტროლირებად ტერიტორიებს მოინახულებენ. უცხოელი ექსპერტები ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხებზე თავად მოიძიებენ ინფორმაციას და ამ რეგიონებში შექმნილ ვითარებას ადგილზე შეისწავლიან.

ერთი წლის წინ, პარლამენტარმა ელენე თევდორაძემ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხი დასვა და ევროსაბჭოს 50-გვერდიანი ფაქტობრივი დოკუმენტაციაც წარუდგინა. მაშინ ევროსაბჭოში სურვილი გამოთქვეს, რომ ადამიანის უფლებების დარღვევების კონკრეტულ ფაქტებზე ემსჯელათ არა მარტო აფხაზეთთან მიმართებაში, არამედ, მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების არაკონტროლირებად ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობაც შეესწავლათ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასაბლეის სხდომამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების დეპუტატებს დავალებები მისცა, რომ მათ ქვეყანაში არსებულ დარღვევებზე კონკრეტული პრეცედენტები წარედგინათ. **"ევროსაბჭოში დოკუმენტები უკვე გაგზავნილია, თუმცა, როდის დაინიშნება საკითხის განხილვა, ჯერჯერობით უცნობია. ევროსაბჭოსთვის ჩემს მიერ მიწოდებულ მასალებში ძირითადი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აფხაზეთის შესახებ წლების განმავლობაში მიღებული არაერთი რეზოლუციის მიუხედავად, სადაც ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი მნიშვნელოვან პუნქტებად არის შეტანილი, გაუმჯობესების ნაცვლად, მდგომარეობა წლიდან წლამდე უფრო და უფრო უარესდება. ეს ყველაფერი კი კონკრეტული ფაქტებით მაქვს დასაბუთებული",** - აცხადებს ელენე თევდორაძე და დარწმუნებულია, რომ აღნიშნული საკითხის განხილვას ევროსაბჭოში, რეაგირება მოჰყვება.


ელენე თევდორაძემ ევროსაბჭოში მასალები უკვე გააგზავნა.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

**"პოსტსაბჭოთა ქვეყნების არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლისა და, საერთოდ, საკითხის განხილვის შემდეგ, ევროსაბჭო თავის პოზიციას რეზოლუციის სახით გამოხატავს, ეს რეზოლუცია კი თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში გაიგზავნება",** - აცხადებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საბჭოში გაწევრიანებული ქართველი დეპუტატი.

# გაიტაცეს „უშბას" პრეზიდენტის მიკროავტობუსი

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფირმა "უშბას" პრეზიდენტის, ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გოჩა ფიფიას კუთვნილი "ფორდის" ტიპის მიკროავტობუსი სოფელ კორცხელში ხუთმა ნიღბიანმა უცნობმა დააყაჩაღა.

გავრცელებული ინფორმაციით, მძარცველებმა მანქანიდან გადმოიყვანეს მგზავრები, წაართვეს პირადი ნივთები და მობილური ტელეფონები. მიკროავტობუსი კი გაიტაცეს. ამავე ინფორმაციის მიხედვით, ავტომანქანის გამტაცებლები ერთ საათში ფირმა "უშბას" პრეზიდენტს ტელეფონით დაუკავშირდნენ და მიკროავტობუსის გამოსასყიდი, საკმაოდ სოლიდური თანხა მოითხოვეს.

როგორც გოჩა ფიფიას თანამოაზრეები და საარჩევნო შტაბის წევრები აცხადებენ, გუშინწინ, საღამოს, გოჩა ფიფიას კუთვნილი მიკროავტობუსი ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელიდან წალენჯიხის რაიონის სოფელ ეწერში მიემართებოდა. ეწერში, ფიფიების სახლში, მწერალ გურამ დოჩანაშვილის საღამო იყო დაგეგმილი და ფიფიების ახლობლებს სწორედ ამ ღონისძიებისთვის შეძენილი მოწყობილობები და სურსათი მიჰქონდათ.

მომხდარის შესახებ ინფორმაციას ზუგდიდის რაიონის სამართალდამცველები ვერც ადასტურებენ და ვერც უარყოფენ. "ვერ გეტყვით, რა მოხდა, როცა ეს ამბავი გავიგეთ, მაშინვე შესაბამისი ზომების მიღება გადავწყვიტეთ. მაგრამ, დაზარალებულებისგან არც ოფიციალური და არც არაოფიციალური შეტყობინება ჩვენამდე არ მოსულა. ერთი სიტყვით, ის, რაზეც საუბრობენ, ჯერჯერობით მოარული ჭორის დონეზე რჩება", - ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ გუშინ "24 საათთან" საუბრისას ზუგდიდის რაიონის სამართალდამცველები.

# პრეზიდენტმა 250 პატიმარი შეიწყალა

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის რუსუდან ბერიძის, სახალხო დამცველის ნანა დევდარიანისა და ექს-თავდაცვის მინისტრის, პარლამენტარ გია ყარყარაშვილის შემადგენლობით შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილ 250-კაციან სიას, რომელიც პრეზიდენტს გუშინწინ ჩაბარდა, ედუარდ შევარდნაძემ გუშინ ხელი მოაწერა.

საქართველოს პრეზიდენტმა 14 პატიმარი, მათ შორის, 1 ქალი პატიმრობიდან გაათავისუფლა, ხოლო დანარჩენ ტუსაღებს სასჯელი მესამედით შეუმცირა. შეწყალება არ შეხებიათ მსჯავრდებულებს, რომლებიც ორჯერ ან სამჯერ არიან ნასამართლევი.

შეგახსენებთ, რომ აპრილში, შეწყალების მოთხოვნით, ხონის კოლონიაში შიმშილობა 43 ნაომარმა პატიმარმა გამოაცხადა. ედუარდ შევარდნაძემ ნანა დევდარიანს, რუსუდან ბერიძესა და გიორგი ყარყარაშვილს დაავალა, შეესწავლათ ყოფილ მეომართა საქმეები და შესაწყალებელ პატიმართა სიები მოემზადებინათ. ერთთვიანი მუშაობის შემდეგ, კომისიამ სია მოამზადა და პრეზიდენტს წარუდგინა.

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის რუსუდან ბერიძის განცხადებით, კომისია ერთი თვის მანძილზე კვლავ გააგრძელებს მუშაობას და შეწყალების გარეშე დარჩენილი პატიმრების საპრეტენზიო განცხადებებს მიიღებს. უფრო ზუსტად, იმ პატიმართა განცხადებებს, რომელთა საქმეების განხილვაც კომისიას, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გამორჩა. თუმცა, ვფიქრობ, რომ ასეთ პატიმართა რიცხვი ძალიან მცირე უნდა იყოს," – აცხადებს რუსუდან ბერიძე.

# რადიო „ძველი ქალაქი" კვლავ ეთერშია

ბექა სისაური
ქუთაისი

ქუთაისში "რადიო ძველმა" ქალაქმა მუშაობა გაანახლა. რადიოს დახურვა სულ ცოტა ხნის წინ მოხდა. ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა მოსახლეობამ "ძველი ქალაქის" ანძა ჯანმრთელობისათვის საშიშად გამოაცხადა და სასამართლოში იჩივლა. შედეგად, რადიოს გარკვეული პერიოდით ეთერში გასვლა აუკრძალეს. "ძველმა ქალაქმა" შეძლო და იმავე სასამართლოს მეშვეობით, ეთერში გასვლის უფლება მოიპოვა, რის შემდეგაც მოსახლეობამ რადიოს დარბევა რამდენჯერმე სცადა. საბოლოოდ კი რადიო-ანტენა ჩამოაგდეს და გაანადგურეს. აღნიშნული ქმედების გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, თუმცა მტკიცებულებების არარსებობის გამო, გამოძიების პროცესი გაჭიანურდა. ამავე პერიოდში შეიქმნა "ძველი ქალაქის" მხრდამჭერი კომიტეტი, სადაც სტუდენტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები შევიდნენ. ამავე დროს, მერიის წინ რადიოს მხარდამჭერი მიტინგი მოეწყო. ასფალტის საფარი კი შესაბამისი წარწერებით აჭრელდა. **"კომიტეტი იმისათვის შეიქმნა, რომ ხელისუფლებისათვის კონკრეტული მოთხოვნები წაეყენებინა. ამიტომაც შედგა შეხვედრა ქალაქის მერთან ნუგზარ ფალიანთან. მერს ვთხოვეთ, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მეტი აქტიურობა გამოეჩინა. ფალიანმა გვითხრა, რომ თუ ჩვენ გავაკეთებდით განცხადებას ანტენის სხვა ადგილზე გადატანის შესახებ, ფუქციონირების საშუალება მოგვეცემოდა. მან ფინანსური დახმარებაც აღგვითქვა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგანაც "ძველი ქალაქის" ფინანსური ზარალი ხელისუფლების კისერზეა, მან ჩვენი უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას რადიოს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ირაკლი მაჩიტიძემ. მხარის რწმუნებულმა თემურ შაშიაშვილმა კი მათ ანტენის დამონტაჟება მერიისა და სამხარეო ადმინისტრაციის შენობის თავზე შესთავაზა. რადიოს ხელმძღვანელთა განმარტებით კი, ანტენა, სავარაუდოდ, ტელეანძაზე დამონტაჟდება.

"24 საათი" დაინტერესდა, შეესაბამება თუ არა სიმართლეს ქალაქის ხელმძღვანელთა დაპირება რადიო ანტენის გადატანის ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ჩვენ მერის პრესმდივანს ლაშა კილაძეს დავუკავშირდით. **"მერია რეტრანსლიატორის დადგმისა და ანტენის გადატანის ხარჯების ანაზღაურებას აპირებს. საუბარია, დაახლობით, 8 ათას ლარამდე თანხის გამოყოფაზე. ამჯერად აღნიშნულ საკითხს მერიის ეკონომიკური სამსახური იხილავს. ვეძებთ ფორმას, რომ თანხის გაცემა იურიდიულად გამართული მექანიზმით მოხდეს. ეს პროცედურა მალე განხორციელდება და რადიო ფინანსურ დახმარებას აუცილებლად მიიღებს,"** - აცხადებს კილაძე.

როგორც ვიუწყებოდით, რადიომ ფუნქციონირება განაახლა. ჯერჯერობით, მოსახლეობის მხრიდან რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. რადიოს ანტენის გადატანისათვის სამთვიანი ვადა აქვს დაწესებული.

"ლოკომოტივი" - "ვიტ ჯორჯია" 1:1... "დინამოს" სასარგებლოდ B4

თბილისში სამთვიანი ფესტივალი იხსნება B7

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

თუმცა საქართველოში მომხდარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის უკანასკნელი გამოცხადებანი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, გარემომცველი სინამდვილის თუნდაც ზედაპირული განხილვის საფუძველზე უნდა ვაღიაროთ, რომ მესამე მსოფლიო ომის ქარცეცხლი უახლოეს დროში არ გვემუქრება. სამაგიეროდ, იგივე სინამდვილის ანალიზი გვარწმუნებს, რომ სულ სხვა საფრთხე გვემუქრება...

როგორც ეტყობა, საქართველოს პარლამენტში წარსულის აჩრდილთა განუწყვეტელმა გამოძახებამ ერთგვარი შედეგი მაინც გამოიღო. ჩვენს დეპუტატთა სალაყბო ადგილი ხომ აქამდეც ცნობილი იყო დავით ალმაშენებლის, თამარის და ამ ბოლო დროს ზაქარია მხარგრძელის ავტორიტეტთა განსაკუთრებულად ხშირი მოხმობით. ალბათ ამიტომაც შეგვიძლია ამის აღიარებაც: საქართველოში უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს პუნიკური ომი...

უეჭველია, რომ გვაქვს რომი, საითკენაც ყველა გზას მივყავართ: ეს რომი მომავალი საპარლამენტო არჩევნებია. ასევე გვაქვს კართაგენიც. ყველასათვის ცნობილია, რომ კატონ უფროსი რომის სენატში თავის ყველა გამოსვლას შემდეგი ფრაზით ამთავრებდა: ceterum censeo, Carthaginem esse delendam — **თანაც მივიჩნევ, რომ კართაგენი დასანგრევია**. არსებული ხელისუფლებისადმი ოპოზიციურ ძალთა ამგვარივე დამოკიდებულებას ახლა უკვე მოძრაობა "კმარაც" დაემატა.

რა თქმა უნდა, ამ ვითარების შემჩნევას გონების განსაკუთრებული გამჭრიახობა არ სჭირდება. არც ასეთი პომპეზური და ყურით მოთრეული მეტაფორის გამოყენება ივარგებს გაუმართლებლად. მაგრამ ხელისუფლებისა და მასთან ასე თუ ისე დაპირისპირებულთა ურთიერთსიძულვილმა და ამ სიძულვილის გამოხატვის მრავალფეროვნებამ სწორედ რომ კატონის დაჟინება მომაგონა. კატონის ჯიუტი ფრაზა შეგნებული ხერხი იყო, საქართველოში კი პოლიტიკური ტენდენციები ზოგჯერ შეუგნებელი აკვიატების ან, პირიქით, მოწინააღმდეგის იგნორირების სახით ვლინდება.

მაგრამ საკუთრივ მოვლენებს მივუბრუნდეთ. კოლინ პაუელის მაგიერ რომ ჯორჯ რობერტსონი ჩამოდიოდა, არც თუ ისე დიდი ხნის წინ გავიგეთ. მაინც არ გაგვიჭირდა ამის მონელება და საბრძოლო რიგების სწრაფი გადაწყობა შექმნილი ტაქტიკური სიტუაციის შესაბამისად. ოღონდ ეს ჩვენი პოლიტიკური სიფხიზლის ან სიმკვირცხლის წყალობით არ მომხდარა. უბრალოდ, მოვლენათა შინაარსი, მათი შესაძლო ინტერპრეტაცია ჩვენთვის მხოლოდ ერთი კუთხითაა მნიშვნელოვანი: რამდენად შევძლებთ ამა თუ იმ მოვლენის გამოყენებას საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ? რამდენად გამოდგება ესა თუ ის მოვლენა, რომ მოწინააღმდეგეს გადავაბრალოთ საკუთარი სისუსტეები, ან სულაც გამოვრიცხოთ და ფაქტების პერიფერიაზე მოვათავსოთ მოწინააღმდეგე? ასეთ პირობებში კი საქმის არსში გარკვევა დიდ დროს არ მოითხოვს.

აი, 15 მაისის ნომერი გადავშალოთ. პირველ გვერდზე თბილისში ჩამოსული ჯორჯ რობერტსონის ფოტოა (**ბესო გულაშვილი**) შესაბამისი წარწერით: "**მობრძანდით საქართველოში**". მაგრამ ვინ წარმოთქვამს ამ მოპატიჟებას? — პარლამენტის ვიცესპიკერი **გიგი წერეთელი**. სწორედ ისაა გამოსახული ფოტოზე ნატოს გენერალური მდივნის გვერდით, სწორედ მისი მარჯვენა ხელის ფართო და თავდაჯერებული ჟესტი მიუძღვის სტუმრის ნაბიჯებს. რაო, გიგი წერეთელი ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებაა მათ შორის, ვისაც ჯორჯ რობერტსონი თბილისში შეხვდა? ეს გასეირნება მზის გულზე (ფოტოდან ვერ გაარკვევ, საიდან და საითკენ მიაბიჯებენ მასზე გამოსახული პერსონაჟები) ნუთუ შვიდსაათიანი ვიზიტის ცენტრალური მოვლენა იყო? დავიჯერო, ბესო გულაშვილს ზედ ცხვირწინ მიუკეტეს ბრიფინგის კარი და რობერტსონისა და შევარდნაძის გადაღება ვერ მოხერხდა?

აქ, შესაძლოა, ჩემზე უფრო მცოდნე ადამიანი ფოტოგრაფიის სიმბოლური, იკონური და დოკუმენტური მნიშვნელობის შესახებ მოაყოლებდა რამდენიმე სიტყვას და უფრო საფუძვლიანად წარმოაჩენდა ჩვენი გაზეთის ამ სავალალო "ჩავარდნას", მაგრამ ჩემი უმეცრება მაიძულებს, საგანთა და მოვლენათა მიღმა წარვმართო მზერა და ამ ჩავარდნაში უფრო ღრმა და საყოველთაო ტენდენციის ამოძახილი დავინახო, კატონისეული დაჟინების შორეული ექო...

ამ ტენდენციას თვალსაჩინოდ განმარტავს **ლევან გაჩეჩილაძე** (13 მაისი, **თამარ მჭედლიშვილი**, *"ახლების" ტესტი: რამდენად გულწრფელია ხელისუფლება?*): "**რაც დავიბადე, შევარდნაძეა, გავიზარდე — შევარდნაძეა, ზრდასრულობაში შევედი და ისევ შევარდნაძეა. ჩემი შვილიც შევარდნაძეს ხედავს. იყოს ნებისმიერი სხვა, ოღონდ ნუ იქნება შევარდნაძის სისტემა...**". ეჰ, ლევან გაჩეჩილაძეს რომ ასე სრულყოფილად შეეძლოს მიამიტობისა და უშუალობის განსახიერება, იგი მართლაც ფასდაუდებელი პოლიტიკოსი იქნებოდა. უბედურება ისაა, რომ იგი მართლაც ასეთი მიამიტი და უშუალოა, როგორადაც ვხედავთ. ალბათ, ბესო გულაშვილმაც წაიკითხა 13 მაისის ნომერი, გულმა ვერ გაუძლო, ლევან გაჩეჩილაძის შვილი შეებრალა და უკვე მოყირჭებული ედიკა ბაბუას მაგიერ გიგი ბიძიას უწყინარი ფოტო გამოუქვეყნა.

ამ უნებლიე იგნორირებასთან ერთად გასული კვირის ამბებში შეუგნებელი აკვიატებაც გვხვდება: 17 მაისი, **ვერიკო თევზაძე** — *"ხელისუფლებამ აფხაზეთის საიტი პორნოსაიტად აქცია"*. ამ თემაზე, "აღორძინებაში" რომ **ცოტნე ბაკურიაა**, პრესკონფერენცია მოუწვევია. მაგრამ პორნოსაიტამდე ჯერ შორია: სტატია დეკანოზ **კონსტანტინე კოლუაშვილის** აღშფოთების აღწერით იწყება (ეს, უნდა ვიგულისხმოთ, ერთგვარი სასპენზია) გეოლოგიის ინსტიტუტიდან დევნილების გამოსახლების გამო. კოლუაშვილიც კართაგენის დანგრევას ლამობს და შევარდნაძეს უკიჟინებს დევნილთა დაბრუნებას, მაგრამ მისი არგუმენტები იმდენად უბადრუკია, რომ თვით კრიტიკოსის დისკრედიტაციას იწვევს: "**ქალები, ბავშვები, ახალგაზრდა მამაკაცები შეურაცხყვეს და ამის შემდეგ პრეზიდენტმა მათ მიმართ მოწყალება გაიღო, თითქოს მანამდე არაფერი იცოდა. ყველაზე დამამცირებელი დევნილთათვის მეორე დღეს უკან დაბრუნება იყო**". არც ერთი სიტყვა იმაზე, რომ დაირღვა სასამართლოს უზენაესობის პრინციპი! რა თქმა უნდა, მოძღვრის გულისტკივილი ადამიანურად გასაგებია, მაგრამ ყოველივე ადამიანურად გასაგები როდია საგაზეთო სტატიაში გამოსაქვეყნებელი. მით უმეტეს, როცა ამას იგივე ბაგეთაგან გამოსული ამგვარი აბდაუბდა მოსდევს: "**ნუ იფიქრებენ დევნილები, რომ ისინი შენობიდან თბილისელებმა გამოყარეს. ეს ჩაიდინა ხელისუფლებამ**". ახლა კი პორნო... მაპატიეთ, პრესკონფერენციისათვისაც იცლის სტატიის ავტორი: თურმე მისი თემა მართლაც აფხაზეთის ყოფილი ვებსაიტის პროფილის შეცვლაა: ვისაც განსაკუთრებით მახინჯი და გაშიშვლებული პორნოგრაფია აინტერესებს, შეუძლია მოინახულოს მისამართი: www.Abkhazeti.com. ამის შემდეგ მოვლენები თავბრუდამხვევად ვითარდება: ჯერ გვეუბნებიან, რომ ბაკურიამ არ იცის, ვინ შექმნა პორნოსაიტი (პრესკონფერენცია კი მოიწვია!), შემდეგ მოცემულია ბაკურიას ვარაუდი, რომ "**ქართველების მონაწილეობის გარეშე ამას ვერავინ გააკეთებდა, ვინაიდან ცენტრალური სერვერი, საიდანაც ხდება ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, დედაქალაქშია**". დედაქალაქად, როგორც ეტყობა, ბაკურიასთვის "უხსენებელი" თბილისი — "ამღორძინებელთა" ერთგვარი ქვეკართაგენი მოიხსენიება. კაცმა რომ თქვას, მისამართი, ანუ ტექსტი, არანაირად არაა დაკავშირებული სერვერთან, ანუ მატერიალურ მოწყობილობასთან. ასე რომ, იგივე მისამართი სულაც არ ნიშნავს იგივე სერვერს. დანამდვილებით, აქ მხოლოდ იმის მტკიცება შეიძლება, რომ ძველი სერვერი აღარ მოქმედებს. მაგრამ ბაკურია არ ცხრება: "**პორნოსაიტად იგი აქცია ხელისუფლებამ, რომელმაც ასეთი მნიშვნელოვანი საიტისთვის გროშები ვერ გამონახა**". ჯერ ერთი, გაუგებარია კრიტიკის ადრესატი: რას ნიშნავს "ხელისუფლება" მოცემულ კონტექსტში? სახელდობრ ვინ ან რა იგულისხმება? მისამართის გაურკვევლობა აბათილებს კრიტიკის სიმწვავეს. მეორეც, არგუმენტაციის სისუსტე და მოუმზადებლობა "ხელისუფლებად" მოხსენიებულ ობიექტს თუ სუბიექტს მხრების აჩეჩვის საბაბს აძლევს: დახეთ, ესენი თუ შარზე არ არიანო!

ცოტნე ბაკურიას თავისი გასაჭირი ეყოფა, ჩვენ კი რა ღმერთი გაგვიწყრა, კოლეგებო: ნუთუ ამ ანკესზე უნდა წამოვეგოთ და მერე ამ გაუგებრობას კიდევ ამხელა ფართობი დავუთმოთ მეორე გვერდზე? მოდი და ნუ გეწყინება, რომ უკვე მეორე თვეა, რაც "ევროისტორია" აღარ გამოდის!

მაგრამ კვლავ ჯორჯ რობერტსონს დავუბრუნდეთ. "24 საათმა" ადრიანად დაიჭირა ნატო-ს გენერალური მდივნის სტუმრობის თადარიგი. ეს, უპირველეს ყოვლისა, ძირითად თემატიკას დაეტყო. 12 მაისს გამოქვეყნდა **კობა ლიკლიკაძის** სტატია *ორჯარიანობა საქართველოში*. გასაგებია, რომ ერთი ჯარი ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული "ელიტაა", მეორე კი — მშიერი და გაუბედურებული ჩვენი შვილებისა და ძმების ერთიათად მეტი სიმრავლეა. პირველის არსებობა იმითაა განპირობებული, რომ რუსეთსა და დასავლეთს თვალებში ნაცარი უნდა შევაყაროთ, მეორისა კი იმ აბსტრაქტული იდეით, რომ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ჯარი. სიტუაციის არსი ყველასათვის ცხადია და ძალიან მარტივი, მაგრამ სინამდვილის ინტერპრეტირების ტენდენციას კვლავაც მოახლოებული არჩევნების აჩრდილი განსაზღვრავს და მასთან დაკავშირებული უკვე ყბადაღებული დაპირისპირება სტაბილიზაციასა და კეთილდღეობას შორის: "**ორჯარიანობა**, — ვკითხულობთ სტატიაში, — **თუკი ეს მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, ისეთივე საფრთხეს შეუქმნის ქვეყანას, როგორსაც ორხელისუფლებიანობა**". რას იზამ, თავისთავად უაზრობასა და აბსურდს ქართველი კაცის გონება ადვილად ურიგდება — ვერ დაარწმუნებ, თუ არ შეაშინებ. სხვათა შორის, ამ სტატიაში ისეა განხილული ჩვენი თავდაცვის სისტემაში არსებული საკადრო და ფინანსური პრობლემები, რომ ეჭვი გამიჩნდა: ალბათ უმაღლესი ოფიცრების შერჩევისას განმსაზღვრელი მისი წმინდად სამხედრო თვისებები და მომზადება კი არაა, არამედ სამეურნეო მარიფათი. ჯარის სიღატაკის პირობებში კრიტერიუმთა ამგვარი დამახინჯება, ვფიქრობ, გარდაუვალია. საინტერესო იქნება, თუ ვინმე პროფესიული სტანდარტის კუთხითაც განიხილავს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას და ბოლოსდაბოლოს იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ საქართველოში ყველა ინსტიტუცია, მათ შორის ჯარიც, ნომინალურად არსებულია.

კობა ლიკლიკაძე კიდევ ერთ უშუალო და მიამიტ განცხადებას გვამცნობს — ის გენერალური შტაბის უფროსს, **ჯონი ფირცხალაიშვილს** ეკუთვნის: "**მე შემიძლია ოფიციალურად გითხრათ, რომ ჯერჯერობით წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას რაც ეხება, არაფერი არ ჩავარდნილა. ყველაფერი ერთი-ერთზე მიდის და არავითარი შეფერხება არ ყოფილა. დანარჩენი ყველაფერი ჩავარდნილია**". საკუთრივ რა მიდის ერთი-ერთზე? ან როგორ შეიძლება ერთგან ყველაფერი წესრიგში იყოს, მეორეგან კი — ყველაფერი ჩავარდნილი? ან ამის შემდეგ რატომ სწყინთ ჩვენს მამულიშვილებს, თუ ვინმე საარჩევნო კომისიის ეუთო-ს თანამშრომლებით დაკომპლექტებას მოითხოვს? სწორედ რომ უცნაურადაა მოწყობილი ჩვენი ღირსების გრძნობა, თანაც ამ ყალბ, როგორც ჩვენში იტყვიან, უკუდო ამპარტავნობას არა მარტო სახელისუფლებო ბლოკი გამოხატავს, არამედ ეგრეთ წოდებული "მიუკერძოებელი არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირიც" (მაოკი). აი, 15 მაისს გამოქვეყნდა **ბელა მახარაძის** პატარა მასალა — *"მაოკი" ერთადერთ გამოსავალს არჩევნების გადადებაში ხედავს*: "**მაოკელები ფიქრობენ, რომ ცესკო არანაირი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არ უნდა დაკომპლექტდეს. მათ ეს უფრო დიდ შეურაცხყოფად მიაჩნიათ, ვიდრე ამომრჩევლის მარკირება**". ნეტა ვის სჭირდება ამგვარი ღირსება? მაოკელების აზრით, ხმების დათვლა უნდა მიანდონ "ავტორიტეტულ, შეუბღალავი რეპუტაციის მქონე მოღვაწეებს". აქ კი ძნელია მათთან კამათი: მართლაც სავალალოა, როცა შენი შეუბღალავობის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ცხოვრებაში რეპუტაციის შებღალვის ერთი შანსიც არ მოგეცა. ამ ერთადერთ და თავისი ეფექტურობით მართლაც განუმეორებელ შანსს ყველა მსურველისათვის უზრუნველყოფს "მაოკი"!

აქაც აშკარაა, რომ ჩვენში მოვლენები თავისთავად და სხვა მოვლენებთან ობიექტურ კავშირში კი არ ფასდება, არამედ კერძო ინტერესებზე დაყრდნობით.

ეჰ, კვლავ დავშორდით ჩვენს მაღალ სტუმარს, ჯორჯ რობერტსონს. "24 საათის" საინფორმაციო "არტმომზადებამ" პიკს ოთხშაბათს, 14 მაისს მიაღწია საქართველოს სტრატეგიის და საერთაშორისო კვლევების ფონდიდან მოწვეული ექსპერტის, **თემურ იაკობაშვილის** სტატიით *"რატომ ნატო?"* (თავს ვერ ვიკავებ: სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან **ანდრეი გრომიკოს** წასვლის შემდეგ იაპონურმა გაზეთმა "ტოკიო სიმბუნმა" გამოქვეყნა სტატია სათაურით "ნაძე შევარდნაძე?" — "რატომ შევარდნაძე?" — ჯერ კიდევ როდის უკვირდათ იაპონელებს!). საქართველოში კი შეკითხვა "რატომ ნატო?" მართლაც უადგილოდ ჟღერს — თვით სტატიის ავტორი გვარწმუნებს: "**ნატო-ში გაწევრიანებაში ზოგი საქართველოს, ზოგი კი საკუთარი ხელისუფლების გადარჩენის ერთადერთ საშუალებას ხედავს. არიან ისეთებიც, რომლებსაც "კაკბი ჩეგო ნე ვიშლო" პრინციპით ჩრდილოელი მეზობლის განაწყენებისა ეშინია. უმეტესობა კი, ალბათ, იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც ელექტროენერგიის გენერაცია უფრო ადარდებს, ვიდრე ინტეგრაცია**". მე კიდევ ერთ კატეგორიას დავუმატებდი: ამ რამდენიმე დღის წინ თსუ-ს დერეფანში ერთი ახოვანი ჭაბუკი, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი უმტკიცებდა მის თანამოსაუბრე გოგონას: "ამერიკელები რად გინდა, დედას ვფიცავარ, ურჯულოები არიან, რეებს არ აკეთებენ, ძაღლებს ნათლავენ ეკლესიაში". ვინმე დამარწმუნებს, რომ ეს ჭაბუკი სულ ცოტა ხანში რომელიმე პრესტიჟულ ადგილზე არ "მოჯდება"?

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ნატო-ს თემა ჩვენს საზოგადოებაში სერიოზული და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული დისკუსიის საგანი კი არაა, არამედ პაროლია, რომლის საშუალებითაც თავისიანებს სცნობენ და უცხოებს ემიჯნებიან. აი, რას გვამცნობს 14 მაისის სტატია — **გიორგი ასანიშვილი**, *ნატო-მდე "მიცურვა" მეტად პრობლემატურია*: "**ნატო-ს შტაბბინიდან დაბრუნებული საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრები (გიგი წერეთელი, მაია ნადირაძე, დავით კოლუაშვილი) შეშფოთებას ვერ მალავენ იმ სირთულეებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების გზაზე არსებობს**". მაინც რა ბუნებისაა ეს შეშფოთება? აი, რას გვეუბნებიან დელეგაციის წევრები: "**ნატო-სგან უფრო მეტი ძალისხმევა იგრძნობა ჩვენს მისაპატიჟებლად, ვიდრე თავად ჩვენი ხელისუფლების მხრიდან. ალიანსის კარი საქართველოსთვის ღიაა, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლება ამ კარებს ვერ ხედავს**". და ჩვენ კი ვხედავთ, — ჩვენ, ვინც "მოსახლეობად" მოვიხსენიებით? ვინმემ დაგვანახა, ვინმემ აგვიხსნა, რას მოუტანს ორ ზღვას შუა განფენილ საომარ ლელოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა? ჩვენ ხომ მხოლოდ იმას უნდა ვხედავდეთ, რომ ხელისუფლება ბრმაა! — ეს შეგვიცვლის ყველაფერს, ესაა ყველაფრის თავი და თავი!

ისე კი, მართლა ბრმაა ეს დალოცვილი და უფრო მეტიც — უარესად იბრმავებს თავს. ახლა ამასაც მივხედოთ.

გასული კვირის განმავლობაში "24 საათმა" ფართოდ გააშუქა მოძრაობა "კმარას" აქტივობა მთელი საქართველოს მასშტაბით. ბრჭყალებში ჩასმულ ამ სიტყვას უკვე კომენტარიც აღარ სჭირდება. ქვეყნის პრეზიდენტი კი მაინც "ვერ დარწმუნდა" მის ქმედითობაში. აი, რას ვკითხულობთ **თამარ ხორბალაძის** მიერ მომზადებულ 13 მაისს დაბეჭდილ მასალაში *შევარდნაძე არ გაურბის სიტყვას "საგანგებო"*: "**გუშინ მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებული აქციები "კმარა" კი ედუარდ შევარდნაძემ "კომენტარის ღირსად არ ჩათვალა", თუმცა კომენტარი მაინც გაუკეთა, აღნიშნა რა, რომ "ქვაფენილზე და კედლებზე წარწერილი ფრაზების კომენტირება მისი საქმე არ არის, თუმცა წარწერების ადგილმდებარეობა მათ ავტორთა კულტურაზე იძლევა წარმოდგენას**". შევარდნაძეს იგივე რომი და, ოპოზიციისაგან განსხვავებით, სხვა კართაგენი, ანუ თვით ოპოზიცია უტრიალებს თავში. ამიტომაც ტყუის და იხტიბარს არ იტეხს. როგორც ეტყობა, ოდესღაც განიმსჭვალა დაბალი გემოვნების წარმოდგენით, თითქოს, რაც უფრო ნაკლებს ამჩნევ და ნაკლები გიკვირს, მით უფრო გემატება სიდიადე.

მაგრამ საქმე გაცილებით უფრო სერიოზულადაა: შევარდნაძე ქვეყნის მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე აქტიური ნაწილის შემჩნევაზე უარს ამბობს, თავის ყურადღებას არ იმეტებს ჩვენთვის! რატომ? — ეს მისი ავტორიტეტის შენარჩუნების გულუბრყვილო ხერხია, ანუ, როგორც ფრანგები ამბობენ, კარგი სახე ცუდი თამაშის დროს. მაინც რაშია ფოკუსი? — **შევარდნაძე იქცევა როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი**.

ჩვენ უკვე ვიცნობთ ჩვენი ქვეყნის მეთაურის მრავალსახეობას: იგი ხან უზენაესი სასამართლოს შემცვლელია (როგორც გეოლოგიის ინსტიტუტიდან გამოსახლებული დევნილების შემთხვევაში), ხან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციელი (როგორც ბაპტისტურ ეკლესიაში ვიზიტის დროს). ბოლოს და ბოლოს შეძლებს თუ არა ვინმე, აუხსნას ედუარდ შევარდნაძეს, რომ ედუარდ შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტია? ხოლო პრეზიდენტი, რომელიც ადეკვატურად ვერ აფასებს მდგომარეობას და არარსებობის უფსკრულისთვის იმეტებს თავისი ხალხის შვილებს მხოლოდ იმისთვის, რომ თავისივე წიგნის ყდაზე ოდესღაც გამოსახული სახე შეინარჩუნოს, რა თქმა უნდა, განწირულია. მას მხოლოდ საკუთარი მომავალი აღელვებს და ისიც კი დაავიწყდა, რომ ჯერაც ქვეყნის პრეზიდენტია და თავისი ქვეყნის მაჯისცემას ყურადღება არ უნდა მოაკლოს. ასე ღიად, შესაძლოა, არასოდეს გაუმჟღავნებია შევარდნაძეს, რომ მისთვის მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაა მნიშვნელოვანი და იგი ყველაფერს იკადრებს.

არაა საჭირო რთული ჰიპოთეზების აგება და ტელეფონების მოსმენა: მოუსმინეთ ორშაბათის ინტერვიუებს და შევარდნაძე თვითონ გეტყვით, რას აპირებს. ჩვენ კი, აღებული კურსის თანახმად, კიდევ ერთ რომაულ ჭეშმარიტებას გავიხსენებთ: imperaturus omnibus eligi debet ex omnibus — **ყველას მბრძანებელი ყველასაგან უნდა იქნეს არჩეული**. რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხის რიცხვიდან თუნდაც ერთი ჯგუფის გამომრიცხავი მმართველი თვითონვე ამხობს საკუთარ თავს.

იმედია, ამას მაინც ჩაწვდება ჩვენი საზოგადოება, რომელიც, ტრადიციულად, საქმის არსს არაფრად დაგიდევთ. ეს სენი კი ისეა მოდებული, რომ სრულიად მოულოდნელ წვრილმანებშიც მჟღავნდება. არა გჯერათ, გადაშალეთ "24 საათის" 15 მაისის ნომრის ბოლო გვერდი. იქ დაბეჭდილი კროსვორდის კითხვები არ შეესაბამება მის გრაფიკულ სახეს. ესეც ასე, — ვინც დაგვაბრალოს, მამულიშვილები არა ხართო...



ბიძინა მაყაშვილის სვეტი



## მარათონი

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მადრიდის "რეალის" დამარცხებამ ტურინის "იუვენტუსთან" უამრავ მოცლილს მსოფლიოს მასშტაბით საქმე და სალაპარაკო გაუჩინა. რას არ გაიგებდა კაცი ამ დღეებში?! მაგრამ ყველაზე მეტად ეს ჭორი მომწონს: ტურინიდან მადრიდში დაბრუნებულმა "რეალის" მწვრთნელმა დელ ბოსკემ განრისხებულ ესპანელ ჟურნალისტებს განუცხადა - ცოტა მაცალეთ მუშაობა და ამ ბიჭებიდან კარგ გუნდს დავაყენებო. ეს ბიჭები კი, მოგეხსენებათ არიან: ზიდანი, ფიგუ, რონალდო, რობერტო კარლოსი, რაული, მაკმანამანი...

თითქმის ერთი წლის წინ, დაახლოებით იგივე თქვა, ალბათ ყველაზე პოპულარული ქართული როკ-ჯგუფის ერთ-ერთმა დამაარსებელმა გია ქარჩხაძემ, როცა Soft Eject დატოვა და თინეიჯერ გოგონათა ტრიოს, "ემბრიონის" მენეჯერობას მოჰკიდა ხელი. "ემბრიონის" საქმე ჯერჯერობით აღმავლობის გზაზეა: შემოდგომაზე ინგლისში, 500 დებიუტანტიდან, ხუთ საუკეთესოთა შორის აღიარეს, ორიოდე დღის წინ კი გოგონებმა პირველი კომერციული ჩანაწერი, სამი სიმღერისგან შემდგარი კომპაქტ-დისკი გამოუშვეს.

აღმავლობით ვერ დაიკვეხნის ერთ დროს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართულ კულტურაში - ფესტივალი "საჩუქარი". წლევანდელი ფესტივალი წინამორბედების მშიერი ასლი იყო: ორი ბერძენი, ორი რუსი და ერთი იტალიელი რეჟისორიდან, მხოლოდ ანატოლი ვასილევი იყო თბილისში პირველად ჩამოსული. და მანაც მხოლოდ ვიდეო-სპექტაკლები ჩამოიტანა. მოკლედ, წლევანდელი "საჩუქარი" ვალის მოხდის და უნიჭო ჟურნალისტების გააქტიურების მიზნით ჩატარებულ აქციას უფრო ჰგავდა, ვიდრე სახალხო, თეატრალურ ზეიმს.

ბევრად უფრო საზეიმო განწყობა იყო ლადო ბურდულის მიერ ორგანიზებულ, უკვე ტრადიციულად ქცეულ, ერთდღიან, ალტერნატიული როკის ფესტივალზე - "მერცხლები გაზაფხულზე ბრუნდებიან". მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე დიდი ხანია, რაც ზამთრის შემდეგ ზაფხული დგება, მიუხედავად იმისა, რომ კონცერტზე ჟღერადობა კრიტიკული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩხუბიც მოხდა, თინეიჯერებმა მაინც გაიხარეს ამ რვასაათიანი როკ-მარათონით - მსგავსი მუსიკის ცოცხლად მოსმენის შანსი მათ ძალიან იშვიათად აქვთ. და რომ არა ლადო ბურდულის ენთუზიაზმი, ვეჭვობ, რომ ალტერნატიულ როკს საქართველოში ვინმე გაიხსენებდეს. აგრეთვე ბურდულთან არის დაკავშირებული მოდის სამყაროში ყველაზე პრესტიჟული ტელე-არხის FTV-ის და ფრანგული მუსიკალური არხის MCM-ის მაღალი რანგის ჩინოსანის ფრანსუა ტილიეს თბილისში მეორედ სტუმრობა. მისთვის "აჭარა მიუზიკ-ჰოლში" ჩვენება მოაწყვეს, ხოლო ფრაგმენტებს ამ შოუდან FTV უახლოეს მომავალში გადასცემს. FTV-მ რით უნდა დაანაგვიანოს თავისი ეთერი, თვითონ ჩემზე უკეთ იცის, მე უფრო სხვა რამ მაფიქრებს: გამომდინარე ლადო ბურდულის მრავალმხრივი აქტიურობით, მგონი მართალი იყო ერთი პოპულარული ფოტოგრაფი, რომელიც ამბობდა - ლადო უფრო მეტს მუშაობს, ვიდრე მთელი კულტურის სამინისტროო.

როკის გარდა, მარათონმა ამ კვირაში ლიტერატურასთან დაკავშირებითაც გაიჟღერა. შარშანდელი პენ-მარათონისგან განსხვავებით, წლევანდელი გემზე გაიმართება, 24 საათი გაგრძელდება და საპრიზო თანხაც გაიზრდება. იმედია, ზღვის ავადმყოფობა და მისგან გამომდინარე პროზაული შედეგები, მარათონის შემოქმედებით დონეზე უარყოფითად არ იმოქმედებს. და აქვე ერთი თხოვნა პოტენციურ მონაწილეებს: პენ-მარათონთან დაკავშირებით ნებისმიერ ინფორმაცის მიიღებთ მარათონის რეკლამაში გამოქვეყნებული ტელეფონების მეშვეობით და არა იმ გაზეთის დახმარებით, სადაც ეს რეკლამა დაიბეჭდა.

გასული კვირის სხვა მოვლენებიდან აღსანიშნავია თბილისში იური შევჩუკის სტუმრობა, რასაც უფრო ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდა. ორი ოფიციალური კონცერტის გარდა, რუსული როკის კიდევ ერთი ლეგენდა არაოფიციალურად გამოვიდა "ბითლზ-კლაბში", ხოლო "ჯაზ-ჰაუზში", თამაზ ყურაშვილთან ერთად ჯემსეიშენი მოაწყო ( მის მიერ ქართული მიწის მადლად ცნობილი სითხის მოხმარების თემა, ბულვარული გაზეთებისთვის დამითმია). რაც შეეხება საერთაშორისო მოვლენებს, აქ კვირის უპირობო ჰიტია კანის კინოფესტივალი. ეს უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა კინოს სამყაროში, ვიდრე ჩემპიონთა ლიგა ფეხბურთში.

ფეხბურთთან დაკავშირებით კი, კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ თუ ლიგაში "მილანის" შესაძლო გამარჯვება, ქართულ მასმედიაში ჩვენი ფეხბურთის უმნიშვნელოვანეს დღედ მოინათლება, მაშინ მირჩევნია თასი ჰოლანდიელი დევიდსის "იუვენტუსმა" აიღოს.

# პროლეტარი ხელოვანი და მოაზროვნე რობოტები

### MxHz.org-ის პრეზენტაცია Appendix-ის ფარგლებში

თამარ სუხიშვილი

გი ვან ბელი წარმოშობით ბელგიელია, მაგრამ ნიდერლანდებში ცხოვრობს; როცა კითხულობენ, სადაურიაო, მისი მეგობრები პასუხობენ: საერთაშორისო პროლეტარიაო. ასე ხუმრობენ კონცეპტუალისტი ხელოვანები.

გუშინ ქარვასლაში Appendix-ის მონაწილემ, გი ვან ბელმა ქართველ ხელოვანებს და თანამედროვე ხელოვნებით დაინტერესებულ პირებს თავისი ორგანიზაცია წარუდგინა, ისაუბრა ხელოვნებაზე, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული და ამ ხელოვნების მომავალზე.



*გი ვან ბელი სემინარს ატარებს; ხელოვანი ადამიანების გვერდით ხელოვანი რობოტებიც შეიძლება გაჩნდნენ*

გი ვან ბელი 1990 წლიდან მუშაობს მულტიმედიის გამოყენებისა და განვითარების საკითხებზე. ამჟამად ამსტერდამში ხელმძღვანელობს ლაბორატორია "ანატომიქსს", სადაც კომპიუტერთა შიგთავსს ადამიანის შინაგანი ორგანოების მსგავსად იკვლევენ; მუშაობს ხელოვნებისა და მედიატექნოლოგიების სპეციალისტად გენტის უნივერსიტეტში და ანტვერპენის სამხატვრო ინსტიტუტის მულტიმედიის ლაბორატორიაში პროექტის ხელმძღვანელად. მრავალი პერსონალური პროექტის ავტორი გი ვან ბელი მიიჩნევს, რომ ერთობლივი პროექტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის, თანამშრომლობის დროს ხომ ბევრი საინტერესო აზრი ჩნდება (სად ერთი კაცი რომ მოიფიქრებს და სად – ორი). 1999 წელს გი ვან ბელმა მულტიდისციპლინარული ჯგუფი mxHz.org დააარსა, აბრევიატურა ასეთნაირად იშიფრება: Machine cent'red humanz – ანუ, მანქანებზე ორიენტირებული ადამიანები.

გი ვან ბელს შეუძლია დაუზარლად ისაუბროს თანამედროვე ხელოვნების პრობლემებზე, ხელოვნებით "დაინტერესებულ" იმ მანქანა-რობოტებზე, რომლებიც მის ორგანიზაციაში შეიქმნა. რამდენიმე რობოტს ქარვასლაში ვირტუალურად – ინტერნეტის საშუალებით გავეცანით კიდეც. ერთ მათგანს თქვენც გაგაცნობთ. ეს რობოტი საკმაოდ ჭკვიანი ტიპია, რეაგირებს ხმაზე, გამოსახულებაზე, სამი წუთის განმავლობაში აგროვებს აუდიო და ვიზუალურ მასალას, და ამ მასალის ორიგინალურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. იგი ერთი კაცის ფანტაზიის ნაყოფი არაა, მისი დამზადების პროცესში მთელი ჯგუფი მონაწილეობდა. როგორც გი ვან ბელმა გვითხრა, ბევრად უკეთესია, როდესაც რობოტის შექმნაში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობს, ეს ნიშნავს, რომ დამზადებულ მექანიზმში რამდენიმე სპეციალისტის ცოდნა, გამოცდილება, იდეები სინთეზურად აისახება. ერთი კაცის მიერ გამოგონილი რობოტი შეიძლება სულელიც კი გამოდგეს. ჯგუფური შრომის დროს ეს ალბათობა ნაკლებია. Machine cent'red humanz-ის მიერ დამზადებული მანქანები საინტერესო შემოქმედებითი ექსპერიმენტების შედეგია. ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტის მონაწილენი გუშინ, გი ვან ბელის ლექცია-სემინარის დროს, თავადაც აღმოვჩნდით.

ეს იყო მცირე იმპროვიზაცია დარბაზის მაგალითზე. დარბაზის წინ, მაგიდაზე განთავსებულმა პატარა ხელსაწყომ სემინარის მსვლელობისას ოსტატურად დააფიქსირა ნებისმიერი ხმა, რხევა თუ გამოსახულება, შემდეგ, წარმოებული ანალიზის შედეგად, მოხდა ხმის ტრანსფორმაცია გამოსახულებაში და გამოსახულების ტრანსფორმაცია ხმაში, საბოლოო რეზულტატი კი ჩვენს თვალწინ ეკრანზე აისახა...

"პროლეტარი" ხელოვანი გი ვან ბელი დღედაღამ თავის საქმეშია ჩაფლული და, როგორც თვითონ გვიმტკიცებს, ძილისთვის ვერც კი იცლის; ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: მხოლოდ მაშინ დავიძინებ, როცა კომპიუტერები შეძლებენ საქმის კეთება გააგრძელონო.

მანამდე კი, სანამ რობოტები ჩვენს წამოწყებას გააგრძელებენ, ამ საქმეს ჩვენვე უნდა მივხედოთ... საერთაშორისო პროექტი Appendix-ი გრძელდება.

# "იცოცხლე და ნება მიეცი იცოცხლოს"

ქეთევან ნიჟარაძე

საბედნიეროდ, საქართველო არ განეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც შიდსმა ეპიდემიის სახე მიიღო. მაგრამ ჩვენც, ისევე როგორც მთელი მსოფლიო, აშკარად ვდგავართ ამ კატასტროფის წინაშე. ცნობილია, რომ დღეს საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, შიდსის ვირუსით 66 ადამიანია დაღუპული, ათობით ადამიანი ინფიცირებულია. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს შესაძლებლობა, რომ ამ ვირუსის ეპიდემიად ქცევა თავიდან ავიცილოთ.

18 მაისს შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ვაკის პარკში გაიმართა აქცია-კონცერტი, რომელშიც 11 ჯგუფი და შემსრულებელი მონაწილეობდა. აქციის ორგანიზატორები იყვნენ: "მი-ფა-სი", რომელმაც კონცერტი აპარატურით უზრუნველყო და ის 16 არასამთავრობო ორგანიზაცია, შიდსის პრობლემების გადაჭრაზე რომ მუშაობენ; აქციაში ასევე მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრმა.

ვაკის პარკში შეკრებილ მსმენელებს ბუკლეტები დაურიგდათ, სადაც წარმოდგენილი იყო ინფორმაცია შიდსის გავრცელებისა და თავიდან აცილების გზების შესახებ. აქციის მონაწილეებს ეკეთათ წითელი ლენტები, შიდსით დაღუპულ ადამიანთა ხსოვნის სიმბოლო. წარმოდგენილი იყო ე.წ. "კვილტები" – სამახსოვრო ტილოები, ტილოებზე საქართველოში ამ დაავადებით დაღუპულ ადამიანთა სახელები ეწერა. აქციის დევიზები ასე ჟღერდა: "გვახსოვდეს მიზეზი, განვაახლოთ ძალისხმევა", "იცოცხლე და ნება მიეცი იცოცხლოს".



*ნიაზ დიასამიძე კონცერტამდე; იმედია, შიდსით ინფიცირებულთა რიცხვი აღარ გაიზრდება*

კონცერტზე, რომელიც დუტა სხირტლაძეს მიჰყავდა, მსმენელები, ძირითადად, ახალგაზრდები იყვნენ. დუტამ მათ მოკლედ განუმარტა ამ დღის მნიშვნელობა და კოფი ანანის სიტყვებიც მოიშველია: "შიდსი არის მუქარა მთელი ცივილიზაციისათვის".

კონცერტის რეჟისურა ნიაზ დიასამიძეს ეკუთვნოდა – შემსრულებლები მან შეარჩია, მათი სურვილის გათვალისწინებითა და ორგანიზატორებთან შეთანხმებით. ჩვენ აქციის ზოგიერთ მონაწილესაც ვესაუბრეთ.

**ნიაზ დიასამიძე:** "დღევანდელი კონცერტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ სოლიდარობას ვუცხადებთ შიდსით დაავადებულებს. დღეს ისეთი ცნობილი შემსრულებლების გვერდით, როგორებიც არიან "ზუმბა", "33ა", ნინო ქათამაძე და "აუტსაიდერი", ბაკურ ბურდული და სხვები, გამოვლენ დებიუტანტებიც. თუმცა, მათ დებიუტანტებს მხოლოდ პირობითად თუ დავარქმევთ, რადგან ისინი დიდი ხანია მღერიან, მაგრამ ჯერ ფართო საზოგადოებისთვის არ არიან ცნობილნი: როკ-ჯგუფი "ალუბალი", ჯგუფი "ახალი ტალღა", ხათუნა მაკალათია და სხვები. რაც შეეხება კონცერტის განწყობას, ის თემიდან გამომდინარე ყალიბდება, განწყობის მიხედვით კი მუსიკაც იცვლება. თითოეული მუსიკოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ აქციაში მონაწილეობას, ამიტომაც ვთვლი, რომ დღევანდელი კონცერტიც განსაკუთრებული იქნება."

**ზაზა კორინთელი "ზუმბა":** "ეს დღე მთელი დედამიწის გულისტკივილია. ჩვენ გვინდა, რომ დაავადებულებს თანაგრძნობის გამოცხადებით გადარჩენის იმედი და სიცოცხლისათვის ბრძოლის სტიმული მივცეთ."

**სანდრა სააკაშვილი:** "შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰუმანიტარულ ფონდთან ერთად ვთანამშრომლობ. 2002 წლის ოქტომბრის თვეში ფოთში მოვაწყვეთ პოპულარული სემინარი ამ თემის გარშემო. უახლოეს მომავალში კი ვგეგმავთ გრძელვადიან აქციას – Anti-stigma, რაც სხვადასხვა დაავადების მქონე ადამიანების მხარდასაჭერად მოეწყობა. საქართველო აქტიურად უნდა ჩაებას ამგვარ პროექტებში, რადგან დისკრიმინაციას ყოველთვის ინტეგრაცია ჯობია."

შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღე პირველად 1983 წელს ამერიკაში, სან ფრანცისკოში, აღინიშნა, სწორედ იმ ადამიანების ინიციატივით, რომელთაც უშუალოდ შეეხოთ ეს უბედურება. მას შემდეგ ყოველწლიურად, მაისის მესამე კვირას, მთელი მსოფლიო აღნიშნავს ამ დღეს. საქართველოში ამ თარიღთან დაკავშირებული ყველაზე მასშტაბური აქცია-კონცერტი კი წელს გაიმართა.

# "ზარები" - "ქართული ხმების" ახალი განშტოება

ნანა ბასილაშვილი

"როდესაც "ქართულმა ხმებმა" მოღვაწეობა შეწყვიტა, მის გარეშე ძალიან გამიჭირდა. "ქართული ხმების" მონატრებამ და ჩემი მუსიკალური გამოცდილების სხვისთვის გაზიარების სურვილმა საკუთარი ანსამბლის შექმნა გადამაწყვეტინა. ეს ჩემი და გოგი დოლიძის დიდი ხნის ოცნება იყო", - ლეგენდარული ანსამბლის, "ქართული ხმების" ერთ-ერთი სოლისტი გურამ თამაზაშვილი დღეს მაყურებლის წინაშე ახალ ამპლუაში წარდგება.

"ზარები" – ასე ეწოდება ახალ ქართულ ფოლკლორულ ანსამბლს, რომელიც მისმა ხელმძღვანელმა გურამ თამაზაშვილმა "ქართული ხმების" ახალ შტოდ "მონათლა". ანსამბლის წევრები, ძირითადად, "ქართული ხმების" რეპერტუარს შეასრულებენ - ქართულ ფოლკლორს და ქალაქურ სიმღერებს. თუმცა, ასეთი შეფასების მიზეზი მხოლოდ ეს არაა. მისმა ხელმძღვანელმა ანსამბლი ისეთსავე პრინციპებზე ააგო, რამაც მის ყოფილ ანსამბლს უდიდესი წარმატება და პოპულარობა მოუტანა. ასევე იყო თავის დროზე უკვე ყველასათვის კარგად ნაცნობი "უნივერსიტეტის" შემთხვევაშიც, რომელიც, "ზარების" მსგავსად, "ქართული ხმების" განშტოებაა. "უნივერსიტეტში" ჩვენი შვილები მღერიან, თითოეულმა ჩვენგანმა ამ ახალგაზრდებს ყველანაირი გამოცდილება გადასცა და საბოლოოდ შესანიშნავი ანსამბლი ჩამოყალიბდა. "ზარების" დაარსება გარკვეულწილად ამანაც განააპირობა. მითუმეტეს, საქართველოში, საბედნიეროდ, ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა", - აღნიშნა გურამ თამაზაშვილმა.

"ზარები" უკვე თითქმის ერთი წელიწადია არსებობს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ანსამბლი პირველი კონცერტისათვის მთელი შემართებით ემზადებოდა. ეს დღეც დადგა, დღეს მათი დებიუტია. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება კოლეგებმა მიაღებინეს. "ვბედავთ, რადგანაც საშუალო დონეს მივაღწიეთ. თუმცა, თბილისში გამოსვლას ჯერ არ ვაპირებდით, პირველი კონცერტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში უნდა გაგვემართა. თუ მაყურებელი დიდსულოვანი იქნება, თუ მას უყვარს "ქართული ხმები" და მისი წარმომადგენელი გურამ თამაზაშვილი, შევეცდებით, იმის იმედი მაინც ჩავუნერგოთ, რომ ხვალ კიდევ ერთი კარგი ქართული ანსამბლი იარსებებს. დღესდღეობით მაყურებელს იმას მაინც ვაფიქრებინებთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ტყუილად არ გვიშრომია".

დღეს ანსამბლის ისტორიის პირველი ფურცელი გადაიშლება. "ზარები" შეეცდება შესრულების დონითა და რეპერტუარით მაყურებელს "ქართულ ხმები" შეახსენოს. რაც მთავარია, ანსამბლს ახასიათებს სამი მთავარი თვისება - ნიჭი, მონდომება და ქართული სიმღერის უსაზღვრო სიყვარული. პროგნოზის გაკეთება რთული არაა, მაგრამ წარმატებებისა და არსებობისათვის, მოგეხსენებათ, ეს სამი რამ არ კმარა. ასე რომ, "ზარები", ისევე როგორც თავის დროზე "ქართული ხმები", კეთილი მეცენატის გამოჩენას დაელოდებიან. დღეს კი ისინი საღამოს 7 საათზე ყველას პროფკავშირების სასახლეში ეპატიჟებიან.



# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

ფილმში რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

### "რომას" მძიმე დანაკლისი

შარშან ამ დროს ფაბიო კაპელო და მისი გუნდი იტალიის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოდნენ, ჩემპიონთა ლიგის საგზური კი უკვე ჯიბეში ედოთ. წლეულს "რომა" მეტად შორსაა "სკუდეტოსაგანაც" და ლიგისაგანაც. ერთადერთი, რითაც რომაელებს გაბრაზებული ტიფოზების დამშვიდება შეუძლიათ, იტალიის თასის მოგებაა, რომელიც თავის მხრივ, უეფას თასის ტურნირზე გამოსვლის უფლებას ანიჭებს გამარჯვებულ გუნდს. "რომა" ფინალში კი გავიდა, მაგრამ იქ ისეთი მრისხანე მეტოქე ელოდება, რომ ტოტი და კამპანია უკვე წინასწარ კანკალებს შიშით. ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი "მილანი" სულაც არ იტყვის უარს, თუ ამდენი ხნის შიმშილობის შემდეგ ბოლოს და ბოლოს, რაიმე ტიტულს მოიპოვებს, თუნდაც ეს ნაკლებად პრესტიჟული და "მილანისთვის" უკვე არაფრის მომტანი იტალიის თასი იყოს.

სერია ა-ს გასულ ტურში "რომა" ვერონაში ესტუმრა "კიევოს". კაპელოს იქნებ შურისძიებაც უნდოდა პირველ წრეში საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხისთვის, მაგრამ რომაელებმა ვერც ამჯერად მოახერხეს ვერონელთა დამარცხება. მატჩი ფრედ დასრულდა, რის შემდეგაც "კიევომ" საბოლოოდ დაკარგა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის იმედი. ვერონელთა ნაცვლად ლიგაში მომავალ სეზონში "ლაციო" ითამაშებს.

"რომა" კი, ფინალის წინ უდიდესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა- ვერონელებმა ვინჩენცო მონტელას ცხვირის ძვალი გაუტეხეს, ფრანსისკო ლიმამ კი მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო. მონტელას მდგომარეობა უიმედო არაა, საჭიროების შემთხვევაში "აეროპლანინო" დამცავი ნიღბით გამოვა მოედანზე, აი ლიმას კი ამ სეზონში აღარაფერი ეშველება. ბრაზილიელ ნახევარმცველს ერთი თვე დასჭირდება ტრავმის მოსაშუშებლად.

### იმედისმომცემი დებიუტი

"ნიურნბერგის" პრეზიდენტმა მიხაელ როტმა კლაუს აუგენტალერს ლოთობა დააბრალა და გუნდიდან დაითხოვა. ლევერკუზენის "ბაიერის" მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა იტალია-90-ის ერთ-ერთი ტრიუმფატორის გალოთება არ დაიჯერა და თავისი ჩაძირული გუნდის გადასარჩენად მთავარი მწვრთნელის პოსტზე მიიწვია. მეუღლის ავადმყოფობით შეწუხებულმა "აუგემ" ფეხბურთზე კონცენტრირება მაინც მოახერხა და "ბაიერი" საგულდაგულოდ მომზადებული გაიყვანა მოედანზე.

უმოტივაციო "მიუნხენ 1860"-ს აღარც ბუნდესლიგიდან გავარდნა ემუქრება და ვერც ევროასპარეზზე მოხვედრისთვის იბრძოლებს. სწორედ ამიტომ "ლომებისთვის" არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ანგარიშით დასრულდებოდა იმ საღამოს მატჩი "ბაიაერნაზე". გამწარებულმა "ბაიერმა" იოლად დაჯაბნა სტუმრები და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მიუძღვნა ტრიბუნაზე მჯდომ სიცხიან რაინერ კალმუნდს. თუმცა "ბაიერი" ჯერ გადარჩენილი სულაც არ არის. ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა, როცა "ბაიერი" ნიურნბერგში ჩავა და კლაუს აუგენტალერი თავის ყოფილ გუნდს დაუპირისპირდება. ბავარიელები უკვე გავარდნილები არიან, მაგრამ კარის გაჯახუნებას ალბათ მაინც შეეცდებიან. ვნახოთ, თუ მოახერხებს ჭაობში ჩაფლული "ნიურნბერგი" "ბაიერის" ჩათრევასაც...

### ზეიმი მარიენპლატცზე

უკვე დიდი ხანია, ყველამ კარგად იცოდა, რომ გერმანიის ჩემპიონი წლეულს აუცილებლად მიუნხენის "ბაიერნი" გახდებოდა. ამის მიუხედავად, როცა ოლივერ კანმა და კომპანიამ ბოლოს წინა ტურში "შტუტგარტი" დაამრცხეს, მიუნხენში ზეიმი დაიწყო. "ბაიერნის" ფანები მიუნხენის სახელგანთქმულ მოედან მარიენპლატზე შეიკრიბნენ, ფეხბურთელები კი რატუშის აივანზე გავიდნენ და მიუნხენელებს უზარმაზარი თასი წარუდგინეს, რომელიც "ბაიერნს" ბუნდესნაკრების ხელმძღვანელმა რუდი ფიოლერმა გადასცა. ული ჰიონესმა ლუდის ზეიმი გახსნილად გამოაცხადა. ოლივერ კანი ფანებს დაჰპირდა, რომ მალე მიუნხენი "ბაიერნის" კიდევ ერთ წარმატებას იზეიმებდა. გუნდის კაპიტანს გერმანიის თასის მოგებაც აქვს მიზნად დასახული.

შემდეგ "ბაიერნის" მთელი შემადგენლობა რესტორანში წავიდა საქეიფოდ, სადაც მიუნხენელთა ზეიმი გათენებამდე გაგრძელდა.

### "სამპდორია" დაბრუნდა

ამ რამდენიმე წლის წინ გენუის "სამპდორია" ის გუნდი იყო, რომელსაც ყველა დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. გენუელები სერია ა-ში საკმაოდ კარგად თამაშობდნენ, ჩემპიონთა ლიგაშიც გამოდიოდნენ და ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ ოდესმე ისე გაუჭირდებოდათ, რომ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა აუხდენელ ოცნებად გადაექცეოდათ...

უკვე ხუთი წელია "სამპდორია" სერია ბ-ში თამაშობს და უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძვის. ყოველი სეზონის ბოლოს "სამპს" მუდამ რაღაცა უშლიდა ხელს და სერია ა-ს თვრამეტეულში მოხვედრა მომავალი წლისთვის გადაიწეოდა ხოლმე. 17 მაისს კი დიდი ხნის ნანატრი და ნაოცნებარი სერია ა რეალობად იქცა. ვალტერ ნოვილინოს გუნდმა ჯანპიტერო ვენტურას "კალიარის" მოუგო და სერია ბ-ს სულ მცირე, ერთი სეზონით დაემშვიდობა. გენუაში "სამპდორიას" საუკეთესოთა შორის დაბრუნება, რა თქმა უნდა, დიდი ზეიმით აღინიშნა.

### მაკაის "მანჩესტერში" ნებავს

როგორც კი პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია, მიუნხენის "ბაიერნი" "დეპორტივოს" ფორვარდ როი მაკაის ყიდვას აპირებსო, ყველას მხოლოდ ის გაუკვირდა, თუ როგორ უნდა შელეოდა "დეპორი" იმ თავდამსხმელს, რომელმაც პრიმერა დივიზიონში 27 გოლი გაიტანა, 9 კი ჩემპიონთა ლიგაში და "ოქროს ბუცის" მფლობელი გახდა. არავინ დაინტერესებულა, თავად ჰოლანდიელი ფეხბურთელი რა აზრის იყო გერმანიაში წასვლაზე.

თურმე მაკაის საერთოდ არ ხიბლავს "ბაიერნში" გადასვლის პერსპექტივა და გერმანიას ესპანეთი ან ინგლისი ურჩევნია. "თუ არჩევანის წინაშე დავდგები-ან "ბაიერნი" ან "მანჩესტერი", აუცილებლად "მან იუს" ავირჩევ. გერმნიაში მაღალი კლასის ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ მე ესპანური ან ინგლისური ფეხბურთი უფრო მომწონს."-, განუცხადა მაკაიმ გერმანელ ჟურნალისტებს. "დეპორტივოც" არ აპირებს ჰოლანდიელის გაშვებას, იმის მიუხედავად, რომ ბავარიელები მაკაის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს იხდიან. "ბაიერნს" მხოლოდ ამ ტრანსფერის განხორციელება სურს, სხვა ფეხბურთელები მიუნხენელებს უბრალოდ არ ჭირდებათ. "თუ მაკაის არ გაყიდიან, სხვას არავის შევიძენთ. მორიენტესი ნამდვილად არ გვინდა. მისი მსგავსი ფორვარდები ჩვენც საკმარისად გვყავს", - თქვა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

## TV-სპორტი

**ორშაბათი. 19 მაისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 რუსეთის ჩემპიონატი. ალანია – ცსკა
15:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი – ეინდჰოვენი.
16:55 იტალიის ჩემპიონატი
18:35 რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
19:35 თავისუფალი დარტყმა
19:55 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ქალებს შორის. რუსეთი – პოლონეთი
21:40 საფეხბურთო უიკ-ენდი
22:25 გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა
23:25 ესპანეთის ჩემპიონატი
1:10 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი
14:40 საჭადრაკო მიმოხილვა
15:10 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. წყვილები
17:15 ჩოგბურთი. "MASTERS SERIES". ჰამბურგი. ფინალი
19:50 "NHL PLUS" კვირის შედეგები
20:20 სპორტული ცეკვები
22:25 "დიდი რინგი"
0:25 ყინულზე ცოცვა
1:15 ახალი ამბები
1:30 "NHL PLUS" კვირის შედეგები

**EUROSPORT**
11:30 ფეხბურთი. U-17 ევროპის ჩემპიონატი
14:00 არგენტინის რალი. მიმოხილვა
15:00 კრივი
16:30 ფეხბურთი
18:30 ველოსპორტი. ჯირო დ`იტალია. მე-9 ეტაპი. პირდაპირი რეპორტაჟი
20:30 ჟურნალი "ევროგოლი"
22:00 კიკბოქსინგი
23:00 კ-1. მსოფლიო გრან-პრი
1:00 ჟურნალი "ევროგოლი"
2:45 არგენტინის რალი. მიმოხილვა
3:45 ფეხბურთი. U-17 ევროპის ჩემპიონატი

## ფეხბურთი

# "ლოკომოტივი" - "ვიტ ჯორჯია" 1:1... "დინამოს" სასარგებლოდ

მიხეილ აბაიშვილი



გუშინ "ლოკომოტივის" სტადიონზე გამართული მატჩი, ყველაზე საინტერესო თუ არა, სანახაობრივი თვალსაზრისით საქართველოს მე-14 ჩემპიონატში ყველაზე გამორჩეული და მხიარული გამოდგა. ბედის სასწორი ხან ერთი გუნდის მხარეზე გადაიხრებოდა, ხან – მეორის, ხოლო ბოლო წუთებში პინები სულაც ყირამალა დადგა, მაგრამ ამით ვერც "ლოკომოტივმა" იხეირა და ვერც "ვიტ ჯორჯიამ". თამაში ფრედ, 1:1 დასრულდა, რითაც ეს ორი გუნდი, უნებლიეთ, წაეხმარა მესამეს - "დინამოს", რომელმაც დასკვნითი ორი ტურის წინ დაწინაურებულ ოთხეულში ჩემპიონობის ყველაზე კარგი შანსი მიიღო.

**ლოკომოტივი 1:1 ვიტ ჯორჯია**
**ლოკომოტივი:** *ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ლაცაბიძე, რ. ონიანი, სოსელია (რუსია, 46`), სალასარი (ძოძუაშვილი, 69`) ბურნაძე (სამსაშვილი, 82`), ნანა ეშუანი, სირაძე.*
**ვიტ ჯორჯია:** *მერლანი, კობიაშვილი, ინწკირველი, მუჯირი, გოჩაშვილი, ნოზაძე, დოლიძე (კვახაძე, 69`), გველესიანი, მელქაძე, ადამია, მარცვალაძე (ყიფიანი, 86`).*
**გოლები:** *0:1 მელქაძე 16` (პენ.), 1:1 ონიანი 83`*
**გაფრთხილება:** *ლაცაბიძე, ბოლქვაძე*
**მსაჯი:** *ალექსანდრ მეშკოვი*

"ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთი იმ იშვიათ გუნდთაგანია, რომლებიც ქართული საკლუბო ფეხბურთის სახეს ქმნიან. ეს გუნდი წლიდან წლამდე უმატებს და, ჯერჯერობით, შიდა სარბიელზე, მაგრამ სულ უფრო ანგარიშგასაწევი ძალა ხდება. "ვიტ ჯორჯიას" სტუმრად დაუმარცხებია თბილისის "დინამოც", ქუთაისის "ტორპედოც", საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ბევრი სხვა გუნდიც, მაგრამ ამ თვალსაზრისით "ლოკომოტივის" სტადიონი მისთვის მოჯადოებული არენაა. ამ სტადიონზე ვეტერინარებს ერთი თამაშიც არ მოუგიათ და, უკეთეს შემთხვევაში, ქულა თუ მოუპოვებიათ. თუ "ვიტ ჯორჯია" გუშინ ნავსს გატეხდა და მისთვის უხერხულ არენაზე "ლოკომოტივს" დაამარცხებდა, სატურნირო ცხრილში ორხელისუფლებიანობას აღადგენდა და ჩემპიონობის ისეთივე შანსებს შეინარჩუნებდა, როგორსაც "დინამო". თავის მხრივ, "ლოკომოტივსაც" საკმაოდ საფუძვლიანი მოტივაცია ჰქონდა: გამარჯვების შემთხვევაში, რკინიგზელები ლიდერთან 2-ქულიან ჩამორჩენას შეინარჩუნებდნენ და მომდევნო ტურში "დინამოსთან" ზედიზედ სამი მარცხისთვის თუ რევანშის აღებას შეძლებდნენ, ოქროს მედლები ერთი ხელის გაწვდენაზე ექნებოდათ.

ასეთი ინტრიგის მიუხედავად, მასპინძლებმა დუნედ დაიწყეს თამაში და სტუმრებს ინიციატივის დაუფლების საშუალება მისცეს. "ვიტ ჯორჯია" კი აღარ არის ისეთი გუნდი, რომ მსგავსი "საჩუქრები" არ შეირგოს. რამდენიმე მოსამზადებელი შეტევის შემდეგ ლამის დეპოში შეჭრილი გოჩაშვილი მცველებმა აკრძალული ხერხით შეაჩერეს, რის გამოც არბიტრმა, მეშკოვმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის, ლევან მელქაძის და უდავოდ საუკეთესო მეკარის, გიორგი ლომაიას მინიდუელის პირველი ნაწილი გოლკიპერის გამარჯვებით დასრულდა: ნაკრების კარის დარაჯმა ძნელი ბურთი მოიგერია. თუმცა, საკუთარმა მცველებმა ლომაია ველარ დააზღვიეს: ასხლეტილ ბურთთან პირველი ისევ მელქაძე გაჩნდა და ანგარიში გახსნა.

გოლის შემდეგ თამაშის ხასიათი არ შეცვლილა: "ვიტ ჯორჯია" ისევ დიდი მონდომებით თამაშობდა, ხოლო "ლოკომოტივი" უფრო საკუთარი კარისა უსაფრთხოებით იყო დაკავებული და კიდევ ერთხელ დაისაჯა: სტუმრების ფლანგური იერიშის შემდეგ ზედ კარის ხაზთან ხელით ითამაშა ლაცაბიძემ და მეშკოვმა კიდევ ერთხელ მიუთითა პენალტის ნიშნულისკენ, ლაცაბიძე კი გააფრთხილა. მელქაძემ პენალტის შესრულება ველარ გარისკა, თუმცა, ვერც მისმა "დუბლიორმა", გველესიანმა შეძლო, ლომაიასთვის ეჯობნა: ამჯერად "ლოკომოტივის" კარის დარაჯმა ისე მოიგერია ბურთი, რომ დაძაბულობა საბოლოოდ განმუხტა.

შესვენების შემდეგ ცაკარიასმა თავის გუნდში ტაქტიკური გადაადგილება განახორციელა: სირაძე თავდასხმიდან შუა ხაზში გადაწია, რითაც მეტოქეს მოედნის ცენტრი "აართვა". ყველაფერთან ერთად, ტრადიციისამებრ, მეორე ტაიმში "ვიტ ჯორჯიას" აშკარად შეეტყო დაღლა და ინიციატივა მთლიანად მასპინძელთა მხარეზე გადავიდა. თუმცა, საპასუხო გოლის გასატანად "ლოკომოტივს" 83-ე წუთამდე დასჭირდა ლოდინი. "სტატუს კვოს" აღმდგენი გოლი როინ ონიანის ანგარიშზეა, რომელიც ბალაშვილის ჩაწოდების შემდეგ სტუმართა საჯარიმოში შექმნილ ზედახორაში მაღალ ბურთს შეწვდა და თავით კარის ბადეში მიუჩინა ადგილი. დაფიქსირდა შედეგი, რომელიც არც ერთ გუნდს ხელს არ აძლევდა და ამის გამო თამაში "გაიხსნა": დარჩენილ წუთებში როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს, ალბათ, 4-4-ჯერ მაინც შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ხან თავდამსხმელები სცოდავდნენ, ხან მერლანი და ლომაია თამაშობდნენ უნაკლოდ.

"დინამოს" მსგავსად, რომელმაც ერთი დღით ადრე იოლი სამი ქულა მიითვალა, კონკურენტების წაფორხილებით ისარგებლა ქუთაისის "ტორპედომაც", რომელმაც პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში "სიონი" დაამარცხა 5:1 და ქულებით "ვიტ ჯორჯიას" გაუტოლდა.

მომდევნო ტურში "ლოკომოტივი" მასპინძლობს "დინამოს", ხოლო "ვიტ ჯორჯია" – "ტორპედოს".

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | |
|---|---|---|
| დინამო | 8 | 42 |
| ტორპედო | 8 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 40 |
| ლოკომოტივი | 8 | 38 |
| სიონი | 8 | 22 |
| კოლხეთი | 8 | 18 |

## Fox Kids

# თბილისის თასზე "რეალმა" გაიმარჯვა

### "ფოქს კიდსი" კულმინაციას უახლოვდება

აკა ტონია

"ფოქს კიდსის" ტურნირი დასასრულს უახლოვდება. უკვე გაირკვა ყველა იმ გუნდის ვინაობა, რომლებიც "ფოქს კიდს"-საქართველოს ფინალურ ეტაპზე ჰოლანდიის საგზურებისთვის იბრძოლებენ. გუშინ გაიმართა თბილისის და გურიის რეგიონის შესარჩევი მატჩები, რითაც დასრულდა კიდეც მთავარი, ფინალური ეტაპისთვის მზადება.

თბილისის თასი გუშინ დილმის საფეხბურთო სკოლის მოედანზე გათამაშდა. მინდორი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, რაც საშუალებას იძლეოდა, ერთდროულად ორ-ორი მატჩი გამართულიყო - გოგონების და ვაჟების. საქალაქო პირველობაზე თბილისის სხვადასხვა რაიონში გამარჯვებული ვაჟების 12, ხოლო გოგონების 10 გუნდი შეგროვდა. ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ რუსთავის გუნდებიც. ვაჟებს შორის, ფინალის ჩათვლით, 11 მატჩი გაიმართა და, ალბათ, ძნელი იქნება, თითოეულ შეხვედრაზე გავამახვილოთ ყურადღება. იმის თქმა კი შეიძლება, რომ ინტრიგა ყველა მატჩში იყო. თავიდანვე გამოიკვეთნენ ფავორიტები: კრწანისის გამარჯვებული "რეალი" და გლდანის ჩემპიონი "მორკინალი". ვაჟთა შორის ფინალიც სწორედ ამ ორ გუნდს შორის გაიმართა. "მორკინალში" მხოლოდ 6 მოთამაშე იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდს არც ერთი ცვლილების განხორციელება არ შეეძლო. თუმცა, ამ გუნდის უიღბლობა სათადარიგო ფეხბურთელთა დანაკლისით არ ამოიწურებოდა: ნახევარფინალში მათმა მეკარემ ტრავმა მიიღო, თუმცა, ფინალში მაინც გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ "მორკინალი", მართლაც, შესანიშნავი გუნდი იყო, სათადარიგოთა სკამის არქონამ მაინც თავისი ქნა. ფეხბურთელები ძალიან დაიღალნენ და ფინალი წააგეს - 0:5. "რეალმა" სავსებით დამსახურებულად მოიგო თბილისის პირველობა და საქართველოს თასის გამარჯვების ერთ-ერთი ფავორიტიც არის.



გუშინ ამ თასების პატრონები გამოვლინდნენ

გოგიტა ბუსხაძის ფოტო

გოგონათა ფინალშიც "მორკინალი" გავიდა, თუმცა, უკანასკნელ მატჩში ისინი ძალზე ძლიერ "იმედს" დაუპირისპირდნენ და დამარცხდნენ - 0:2. თავიდანვე აშკარა იყო, რომ "იმედი" არავის დაუთმობდა ჩემპიონობას, მათი წარმატება კი მეტწილად ნინო გვენეტაძემ განაპირობა. ნინო "ფოქს კიდსის" ერთ-ერთ ვარსკვლავად იქცა.

თბილისის თასზე გამარჯვებული გუნდების ფეხბურთელებმა, ვაჟებმაც და გოგონებმაც, ისე იზეიმეს თავიანთი წარმატება, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელები ზეიმობენ მსოფლიო ჩემპიონობას. პატარა მოთამაშეებმა, თასით ხელში, საპატიო წრე შემოუარეს საფეხბურთო მოედანს. ყველა მათგანს სიხარულის ცრემლები მოსდიოდა. თვალცრემლიანი იყვნენ დამარცხებული გუნდების წევრებიც, თუმცა, ფინალში მონაწილე თითოეულ გუნდს საქართველოს "ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა ფეხბურთის ფორმები უსახსოვრეს – მცირე, მაგრამ მაინც კარგი ნუგეში.

გამარჯვებულები გამოვლინდნენ გურიის თასზეც. ვაჟებს შორის ფინალში გავიდნენ ჩოხატაურის "გიმნაზია" და ოზურგეთის "სიხარული". მატჩის ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, პენალტებით კი "სიხარულმა" გაიმარჯვა. ფრედ (1:1) დასრულდა გოგონების ფინალიც. ოზურგეთის "ქვედა ბახვს" და ლანჩხუთის "გურიას", ვაჟების მსგავსად, პენალტებით მოუხდათ გამარჯვებულის გარკვევა. ფინალის საგზური "ქვედა ბახვის" გოგონებმა მოიპოვეს.

"ფოქს კიდსს" ერთი დღეღა დარჩა. საქართველოს ფინალურ ტურნირზე, თბილისის გამარჯვებულთან ერთად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მხარეების ჩემპიონები მიიღებენ მონაწილეობას და ჰოლანდიაში, "ფოქს კიდსის" თასის გათამაშებაზე გასამგზავრებლად იბრძოლებენ. ფინალური ტურნირი, სავარაუდოდ, 24 მაისს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.

## ფორმულა 1

# ავსტრიაში ცეცხლწაკიდებული შუმახერი იმარჯვებს

*რბოლა შუმახერმა მოიგო, თუმცა, საერთო ჩათვლაში ის რაიკონენს ვერ დაეწია. ავსტრიის დიდი პრიზი გერმანელი პილოტის რიგით 67-ე გამარჯვებით დასრულდა. იმის გამო, რომ ფინელი კიმი რაიკიონენი გუშინ მეორე ადგილზე გავიდა, შუმახერი 38 ქულით ჩემპიონატის ცხრილის მეორე პოზიციაზეა და ლიდერს 2 ქულითღა ჩამორჩება.*



*მიხაელ შუმახერი რბოლის დასრულების შემდეგ*

ავსტრიის გრან-პრის მესამე პრიზიორი იყო ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო, რომელმაც, მრავალი მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო, რაიკიონენისთვის გაესწრო.

ქალაქ შპილბერგში გამართული რბოლა მხოლოდ სპორტული დუელებით როდი გამოირჩეოდა. არანაკლებ საყურადღებო იყო ის ეპიზოდი, როდესაც 23-ე წრეზე, ბოქსში შესულ მიხაელ შუმახერის Ferrari-ს ბენზინის ჩასხმისას ცეცხლი გაუჩნდა. მადლობა ღმერთს, არავინ დაშავებულა. ხანძარი დროულად ჩააქრეს, შუმახერმა კი მიმდინარე სეზონში ზედიზედ მესამედ მოიგო გრან-პრი. "ჩვენმა პერსონალმა შესანიშნავად იმუშავა და ცეცხლი კონტროლს დაუქვემდებარა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ რბოლის გაგრძელება შევძელი", - განაცხადა შემდეგ შუმახერმა, რომელმაც ამ ინციდენტის გამო 19 წამი დაკარგა.

ის, რაც ვერ მოახერხა შუმახერმა, კარგად გამოუვიდა მის გუნდს: Ferrari ამიერიდან კონსტრუქტორთა დავას ლიდერობს. იტალიურმა საჯინიბომ 64 ქულა დააგროვა და McLaren-Mercedes-ს 1 ქულით გაუსწრო. მესამე ადგილზე კვლავინდებურად Renault-ა.

ახლა ფორმულა 1 გადაინაცვლებს მონაკოში, სადაც 1 ივნისს მონტე-კარლოს გრან-პრი გაიმართება.

**გრან-პრის შედეგები**

1. მიხაელ შუმახერი
   Ferrari 00:01:13.751
2. კიმი რაიკიონენი
   McLaren-Mercedes +3.362
3. რუბენს ბარიკელო
   Ferrari +3.951
4. იენსონ ბატონი
   BAR-Honda +42.243
5. დევის კულჰარდი
   McLaren-Mercedes +59.740
6. რალფ შუმახერი
   BMW-Williams +1 წრე
7. მარკ ვებერი
   Jaguar +1 წრე
8. იარნო ტრული
   Renault +1 წრე
9. ანტონიო პიცონია
   Jaguar Racing +1 წრე
10. კრისტიანო და მატა
    Toyota +1 წრე
11. რალფ ფირმანი
    Jordan-Ford +1 წრე
12. ჟაკ ვილნევი
    BAR-Honda +1 წრე
13. ჯასტინ ვილსონი
    Minardi +2 წრე

**რბოლას გამოეთიშნენ:**
ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი
Sauber-Petronas მე-2 წრეზე
იოს ფერსტაოენი
Minardi მე-3 წრეზე
ოლივიე პანი
Toyota მე-6 წრეზე
ხუან პაბლო მონტოია
BMW-Williams 31-ე წრეზე
ფერნანდო ალონსო
Renault 45-ე წრეზე
ნიკ ჰაიდფელდი
Sauber-Petronas 48-ე წრეზე
ჯანკარლო ფიზიკელა
Jordan-Ford 61-ე წრეზე

ალპინიზმი

# ერთი ცდა, ერთი შანსი

## გუჯაბიძე გადამწყვეტი იერიშისთვის ემზადება

ბიბა ბურასაშვილი

*1923 წელს, როდესაც ამერიკაში სტუმრად მყოფ ცნობილ ბრიტანელ მთამსვლელს ჯორჯ მელორის ჰკითხეს, კი მაგრამ ასე ძალიან რატომ გინდა ევერესტის დაპყრობაო, მან უპასუხა: "იმიტომ, რომ ის იქ არის". მელორის სიტყვებს დღესაც ხშირად დაესესხებიან ხოლმე მთამსვლელები. ამ სამიოდე წლის წინათ, როდესაც თბილისში სტუმრად მყოფ ევერესტის მაშინ ათგზის, დღეს კი უკვე თორმეტგზის დამლაშქრავ აპა შერპას (სრული სახელია ლაკპა თენზინგ შერპა) ანალოგიური კითხვით მივმართეთ, ამდენჯერ ასულხარ ევერესტზე და სხვა მწვერვალებისკენ რატომ არ იხედებიო, მანაც მელორის სიტყვებით გვიპასუხა – იმიტომ, რომ ის იქ არისო. ასე რომ, ამ კითხვის დასმა სხვათათვისაც უადგილოა, ისევე როგორც ევერესტის საიერიშოდ გამზადებული ბიძინა გუჯაბიძისთვის, რომელიც რუსეთის 11-კაციან ექსპედიციასთან ერთად მწვერვალზე ასასვლელად უკეთესი ამინდის მოლოდინში საკუთარ შანსს ელის. ორიოდე დღის წინათ გუჯაბიძემ გამოგვიგზავნა საკუთარი შთაბეჭდილებები, რომელსაც ოდნავ სახეცვლილი ფორმით გთავაზობთ.*



*1999 წელი: ბიძინა გუჯაბიძე ევერესტზე წინა სტუმრობისას*

უკვე თვენახევარია, 11 რუსთან ერთად ექსპედიციაში ვარ. მათგან ორნი – საშა აბრამოვი და ვასია ელაგინი პროფესიონალი მთამსვლელები არიან. დანარჩენებიდან ზოგი ახალი რუსია და მთამსვლელობა უნდა, ზოგიც ცოტათი მთამსვლელობდა და ახალი რუსობა უნდა. ძირითადი საქმის კეთება კი ჩვენ, სამს გვიწევს, რაშიც სამი შერპი - ჯანგბუ, დორჯე და ქულდინიც გვეხმარებიან.

აღდგომისთვის 7 500 მეტრზე მზად გვქონდა მეორე სასიმაღლო ბანაკი. მეორე დღისთვის მესამე ბანაკის დადგმას 7 900 მეტრზეც ვაპირებდით, მაგრამ ამინდი გაფუჭდა. შერპებმაც გვიღალატეს. იძულებული გავხდით, ქვევით, მოწინავე საბაზო ბანაკში (6 400 მ.) დავშვებულიყავით. გზად, 7 000 მეტრზე, პირველი ბანაკი გავამაგრეთ. ამინდი ყველაფერში ხელს გვიშლის და არა მარტო ჩვენ. ხანგრძლივმა უამინდობამ არაერთ ექსპედიციას მიატოვებინა სასიმაღლო ბანაკები. ყველა მათგანმა საბაზო ბანაკს (5 100 მ.) მიაშურა. საერთოდ, სასიმაღლო ალპინიზმი ხანგრძლივი და მომქანცველი პროცესია. დროის უდიდესი ნაწილი აკლიმატიზაციის შემდგომ დასვენებაში გადის...

მუდმივი ბრძოლა სიცხესთან თუ სიცივესთან, განუწყვეტელი ჩაცმა-დახურვა, გაციების პირზე ყოფნა, პრობლემები – კუჭი, ყელი, ყური, ცხვირი... უჰაერობა... სულის მოსათქმელად საბაზოში ჩამოდიხარ და აქაც დამატებით მტვერი, ბუღი, ქვიშის ქარი. აზრი არა აქვს წინააღმდეგობას. პირველ დღეებში აქ, საბაზოში, რომლის სიმაღლეც იალბუზის უნაგირაა, გულისრევისა და თავის ტკივილისგან ლამის დავიხოცეთ.

საშინელებაა ჩინურ ბიუროკრატიზმთან ურთიერთობაც. სასაზღვრო რაიონია, თანაც - ტიბეტი. გვახსენდება სსრკ და ჩვენც მოთმინებით ვიტანთ ყოველივეს...

საშინელებაა აქაური სოფლები. ძალღონის მოსაკრებად ერთ-ერთ სოფელში - ტაში-ძონგში (4 100 მ.) ვიყავით. სოფელში სამი სხივური მიმართულების ქუჩაა. თითო 30-40 მეტრი სიგრძის. კოჭებამდე მტვერი, წვინტლიანი და ტილიანი ბავშვები, ასეთივე უფროსები. გთხოვენ ფულს, საწერკალამს, "ჟუვაჩკას"... ტანსაცმელზე გეკიდებიან. რამდენიმე დღით პატარა სასტუმროს მეორე სართული დავიკავეთ. ოთახში წელში გამართვაც შეუძლებელი იყო. საკუთარი სიმაღლის გამო ზოგიერთები ლამის დაფოფხავდნენ. კედლები ბუდას ცხოვრების ამსახველი სურათებით იყო მოხატული. ერთი სიტყვით, იქ ოთხი დღე დავყავით. დამშეულებმა, ამ ხნის განმავლობაში ხუთი ცხვარი გადავსანსლეთ. 8-12 კაცმა გავანადგურეთ სოფელში არსებული კვერცხის, ხახვისა და თევზის მარაგი.

სასტუმროს ფანჯრიდან ქვიშის ქარიშხლებს გავყურებდით და გული შიშით გვეწურებოდა. წარმოვიდგენდით, თუ რა ხდებოდა სასიმაღლო ბანაკებში. სამწუხაროდ, ჩვენი ეჭვები გამართლდა. უკვე საბაზოში დაბრუნებულებს, უამრავი დამტვრეული თუ დაშლილი კარავი დაგვხვდა, ზემოდან კი... დიმა მოსკალიოვი მაღლიდან საშინელ სურათს გვიხატავდა. თუ პირველად საბაზო ბანაკში ასასვლელად იმავე გზის გავლას 46 იაკთან ერთად ორი დღე მოვანდომეთ, მეორედ ამისთვის 6-8 საათი დაგვჭირდა. მოწინავე ბანაკში ასულებს, საზარელი სურათი დაგვხვდა. ამდენი განადგურებული და ნაგვად ქცეული ძვირფასი კარვის ხილვა ჩვენთვის საშინელებაა. ცხოვრება კი ჩვეული რიტმით მიედინება. ბანაკი ჭრილობებს იშუშებს. მე და ვასია ელაგინი ჩვენი დაფლეთილი კარვის დაწნებებას და საძილე ტომრების დაკერებას ვცდილობდით. ტანსაცმელი კი სველი და გაყინული გვქონდა. საბედნიეროდ, ფოტო-ვიდეო აპარატურა არ დაგვზიანებია. დანარჩენი უამრავი პირადი ნივთი, პროდუქტი თუ სხვა რამ, ან დაიკარგა, ან გამოუსადეგარია. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა 20-მდე ექსპედიციაც. ქარმა წაიღო ერთი თვის ნამუშევარი, მაგრამ უკან დახევა არ შეიძლებოდა. დავიწყეთ რეზერვების გამონახვა – ვყიდულობდით, ვთხოულობდით...

ორმა ჯგუფმა, 7 000 მეტრზე პირველი ბანაკი რომ აღადგინა, ძლიერი ქარის გამო ზევით ასვლა ველარ შეძლო და ქვევით დაეშვა. 12 მაისს ჩემი ჯერიც დადგა. არადა, ოთხი წლის წინ, ამ დროს, უკვე მწვერვალზე ვიდექი, ახლა კი ელაგინთან და კაიმაჩნიკოვთან ერთად მეორე ბანაკის აღსადგენად გასვლა მიწევდა. გვაცვია ყველაფერი, რაც თან გვაქვს...

ჩრდილო უნაგირზე 3,5-4 საათში ავედით. მოვაწესრიგეთ კარავი. დილით ჩემმა ძველმა მეგობარმა შერპმა ლაკპამ გამაღვიძა: "Bidzina, good weather!" - კარგი ამინდიაო.

მეორე ბანაკისკენ გავემართეთ. გზა თოვლიან-ყინულიანი ქედია. ბანაკამდე პერილები (გაჭიმული თოკი, რომელიც მოაჯირის როლს ასრულებს. - *რედ.*) ჰკიდია.

აუტანელი ქარია. ყინვა ძვალსა და რბილში ატანს. შიმშილისგან ძალა გამომელია. ხველებაც მახრჩობს. 7 500 მეტრზე აქაურობა ნაგავსაყრელს ჰგავს. ვიღაც ახალზელანდიელი, რომელიც აქ კარვის დამაგრებას ცდილობდა, შემდეგ თხოვნით მომმართა - ჩემს კარავში გაათენეთ ღამე, იქნებ შევინარჩუნოო. ამის პირობა ვერ მივეცი, მაგრამ ცოტა ხნით მის ვიწრო კარავში კი შევიყუჟეთ. გამოვაცარიელეთ თერმოსები და სულიც მოვითქვით. შემდეგ ისევ გარეთ გამოვედით და კარვის დასადგმელად მოედნის გაფართოება დავიწყეთ. თუ გზას 4 საათი დასჭირდა, კარვის დადგმას 3 საათი მოვანდომეთ, ამასთან, დიდი ძალისხმევით.

ქარი წამითაც არ შეწყვეტილა. ისეთი ქარი იყო, ოთხი კაცი ლამის კარვიანად წაგვიღო. მთელი ღამე გველვიძა და კარავს შიგნიდან ვამაგრებდით. დილით, 14 მაისს, რამდენიმე საათი დაგვჭირდა წყლის გასადნობად, საჭმელად, ჩასაცმელად. თავი რომ დაგვეზღვია, კარავი ხელმეორედ გავამაგრეთ. ჩავარჭეთ დამატებითი პალოები, გავამზადეთ თოკები. თოკებზე კვანძებს თითების მოყინვამდე ვაკეთებდით. შემდეგ ქვევითაც დავეშვით. პირქარმა და ჰაერის უკმარისობამ გვაწვალა. ასე წვალებ-წვალებით ჩავიარეთ 100-მეტრიანი პერილაც და ჩრდილო უნაგირს მივაღწიეთ. აქ ჩვენს კარავს ბერგშრუნდი (ფერდობზე გაჩენილი ნაპრალი. - *რედ.*) ფარავს. სულის მოთქმის შემდეგ მოწინავე საბაზო ბანაკში ჩავედით. მერე საბაზო ბანაკშიც და ასე ზევით-ქვევით. პროგნოზის მიხედვით, მწვერვალზე ასვლისთვის ხელსაყრელი დღე 21 და 26 მაისია. არა გვაქვს კარვების საკმარისი რაოდენობა და ამიტომაც თითოეულ ბანაკში, დიდი-დიდი, ოთხი კაცი უნდა იყოს. გვექნება ერთგვარი რიგი. მხოლოდ ერთი ცდა, ერთი შანსი...

ვფიქრობ, ჩემი ასვლისთვის განკუთვნილი დღე 26-27 მაისი უნდა იყოს. ღმერთმა ხელი მოგვიმართოს!

**დედამიწის უმაღლესი წერტილი, თითქმის ცხრაათასმეტრიანი (8 848 მ.) ევერესტი, რომელსაც სიმაღლის გამო ყოველი მხრიდან ქარი უბერავს, ჩვეულებისამებრ, მაისამდე მიუდგომელია. მისი დალაშქვრა მხოლოდ მაისის შუა რიცხვებშია შესაძლებელი. ამ დროს შედარებით თბილა, ქარიც ისე აღარ მძვინვარებს. ამ მოკლე პერიოდში ექსპედიციები საკუთარი შანსის გამოყენებას ცდილობენ. დადგება ივნისი და იწყება მუსონები, რასაც თან ახლავს ჭექა-ქუხილი, ზვავი და, შესაბამისად, მომავალ წლამდე ლოდინი. - რედ.**

[illegible]



უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი

გადით ქუჩაში და სცადეთ, ნებისმიერი გამვლელისგან გაიგოთ, ვინ არის საქართველოს ჩემპიონი, ვთქვათ, კრივში. პასუხს ნამდვილად ვერ მიიღებთ. ახლა ასეთივე ექსპერიმენტი ჩაატარეთ ჭიდაობაში, ჭადრაკში, ჩოგბურთში... დამერწმუნეთ, ვერც ამ შემთხვევაში მიიღებთ პასუხს. მიაქციეთ ყურადღება, შეკითხვები საქართველოში ასე თუ ისე პოპულარული სახეობების ჩემპიონებს გულისხმობს.

როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს ეს? ვითომ სპორტისადმი გულგრილობას, ამ სფეროში ინფორმაციის არარსებობას? მაგრამ ლამის ყოველმა მეორემ ხომ ზეპირად იცის იტალიის, ესპანეთის, ინგლისის ჩემპიონატების ცხრილები, სულ ცოტა, ათი კლუბის სრული შემადგენლობა მაინც თავის პრეზიდენტებიან-მწვრთნელებიანად. იციან, მიუხედავად იმისა, რომ ეს მწვრთნელებიცა და ფეხბურთელებიც წელიწადში ორჯერ აჯაფსანდალივით ირევიან ერთიმეორეში. აბა, ჩოგბურთის საუკეთესო ათეულები უხსენეთ, სულ ზეპირად ჩამოგიკაკლავენ. თუ არ დაიზარებთ და ცოტაც ჩააცივდებით, იმასაც გეტყვიან, ვინ ვისი საყვარელია, ვინ ლესბოსელია და ვინ რამდენს შოულობს წელიწადში.

საქართველოს ჩემპიონი? პასუხი ყოველთვის ერთნაირი იქნება - მხრების აჩეჩვა.

გასაგებია, რომ სხვაგან სხვა დონეა და ჩვენში - სხვა; არც სხვისი წარმატებებით დაინტერესებაშია რაიმე სათაკილო, მაგრამ რა ყრია სხვისი ცხოვრების ჭვრეტაში, როცა საკუთარზე მხოლოდ წარსულითა და იქიდან გამოხმობილი მითებითა და ლეგენდებით ფიქრობ. ისტორია ხომ დიდაქტიკურ იგავთა, თანაც, შაქარმოყრილ იგავთა კრებულია და მეტი არაფერი.

მაინც რატომ ხდება ასე და რას უნდა ნიშნავდეს, შემთხვევითია ეს ყველაფერი თუ კანონზომიერი? თვითონ მივედით აქამდე თუ მიგვიყვანეს, და საერთოდ, აქვს კი რაიმე მნიშვნელობა ყველაფერ ამას?

რა თქმა უნდა, არ ვიცი, მაგრამ ხშირად კი ვფიქრობ ხოლმე ეგეთებზე. ერთხელ იქამდე ვიფიქრე, ჩვენი პრეზიდენტის ერთი გულდამთუთქავი ფრაზა გამახსენდა. თუმცა, მანამდე უფრო დიდი ბელადის გენიალურ გამონათქვამს მოგაგონებთ:

"Будет урожай - будет хлеб, не будет урожая - не будет хлеба".

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ვერ შევესწარი იმ დროს, როცა ყველას მამამ ეს სიტყვები წარმოთქვა, მაგრამ, ეტყობა, ისე დაფესვიანდა ხალხის გონებაგულებში, რომ დღესაც კი უშეცდომოდ, სიტყვასიტყვით შემიძლია გავიმეორო.

საოცრად არის ადამიანი მოწყობილი. მარტივზე მარტივი რაღაცები ავიწყდება, მეფეების, გენსეკების, პრეზიდენტების გამონათქვამებს კი სულ იოლად იხსომებს. დახსომებით კი იხსომებს, მაგრამ აქვე იმის თქმაც არის აუცილებელი, რომ ეს პროცესი, დახსომების პროცესს ვგულისხმობ, მკაცრად ინდივიდუალურია. მაგალითად, ჩლუნგებისთვის ეს რამდენიმე სიტყვისგან შემდგარი ფრაზა ცხოვრების მეგზურად იქცევა ხოლმე, შედარებით სალი გონების პატრონებს კი მხოლოდ კარგ გუნება-განწყობაზე აყენებს. მკითხველს, რა თქმა უნდა, ახსოვს ჩვენი №1 ქალბატონის გამონათქვამი საოჯახო ბიუჯეტთან დაკავშირებით. გახსოვთ, როგორ გამხიარულდა ხალხი?!

მგონი, პოლიტიკაში ვვარდები, მაგრამ არა უშავს რა...

როცა ინგლისში ნაცხოვრები ჩემი ერთი მეგობრისგან გავიგე, რომ, თურმე, საკუთარი ჩემპიონატისა და სხვადასხვაგვარი თასების მატჩებს ინგლისელები საერთაშორისო თამაშებზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, არ დავიჯერე. მაგრამ როცა ორმა სხვადასხვა ადამიანმა იგივე გამიმეორა, ვირზე ჯდომა ნამეტან ჯიუტობად ჩავთვალე და, ჰო-მეთქი, კი ვთქვი, თუმცა, ახლა არა მარტო ჩემპიონთა თასისა და მისი პატრონების, მთელი დანარჩენი ევროპის შეურაცხყოფა დავინახე ამ ფაქტში. ღმერთო, რა კარჩაკეტილი და უშნო ამპარტავნები ყოფილან ეს ბრიტები! მერე კიდევ ვიფიქრე, ვიფიქრე და ერთ მშვენიერ დღეს შემშურდა კიდეც ინგლისელების. მგონი, რაღაცასაც მივხვდი. სწორედ მაშინ იყო, ჩემი პრეზიდენტის გულისმომკვლელი ფრაზა რომ გამახსენდა.

ახლა ის დრო აღარ არის, როცა "პირველთა" სიტყვების ტირაჟირება გაზეთებისა და ტელევიზიისთვის კანონი იყო, მაგრამ, შევეცდები, რაც შეიძლება, ზუსტად გადმოგცეთ "დღევანდელი პირველის" მოგზაურობასა და მათხოვრობასთან დაკავშირებული გამონათქვამი: მე თქვენი გულისთვის ლამის მათხოვრად ვიქცე, ხელგაშვერილი დავდივარ ქვეყანა-ქვეყანაო.

მერე ცოტაც დავფიქრდი და ძველებიც მომაგონდა, თანაც, არა ერთხელ და ორჯერ თქმული - საქართველო პატარა ქვეყანააო.

ესეც ასე. პრეზიდენტი თავისი ქვეყნისთვის მათხოვრობს და ეს ქვეყანა პატარაა. ვითომ შემთხვევით გვიკაკუნებენ თავში ამ ორ უწყინარ ფრაზას? ამის შემდეგ რაღა დარჩენია ორასწლიანი უსაქმურობით გაზარმაცებულ თავს? ბევრი არაფერი - მცირე ტრანსფორმაცია ამ ვითომ სხვათა შორის ნათქვამი ფრაზისა, რომელსაც მერე ცხოვრების მეგზურად გაიხდის: საქართველო მათხოვარი და სუსტი ქვეყანაა!

მგონი, მართლა გადავვარდი პოლიტიკაში...

ესე იგი, დავიხსომეთ, რომ საქართველო სუსტი და მათხოვარი ქვეყანაა. და რადგან ასეა, პრეტენზიებიც არ არის საჭირო: დამჯერი და გამგონე უნდა იყო - ასე არ გვზრდიდნენ? იმას უნდა დაყაბულდე, რასაც გაძლევენ, სიმდიდრე ხომ რყვნის ადამიანს (ცოტა უნდა იმყოფინო) - ასე არ გვასწავლიდნენ? პირდაპირ საოცარია, პირველი ლედის სიტყვებიც როგორ კონსონანსშია მეუღლის შეგონებებთან?!

უპრეტენზიო კაცის დედაო, ტარიელ ჭანტურიას უთქვამს ერთხელ. უპრეტენზიო ქვეყენა რა, უკეთეს სიტყვებს იმსახურებს?

სხვათა შორის, მარად პირველს, მის მიმყოლებსაც და მომყოლებსაც ვურჩევდი, სანამ გეოგრაფიაზე დაიწყებენ საუბარს, თავიანთ ევროპელ მეგობრებს რომ ხშირად ახსენებენ, იქნებ რომელიმე, თუნდაც სულ მცირე ზომის ევროპულ ატლასს მაინც ჩახედონ, ძირითადად, ტერიტორიებსა და მოსახლეობას. მაგალითად, დანიას, ჰოლანდიას, ნორვეგიას... ისე, მაგათი ბოგინი თუ კიდევ გაგრძელდა, მთელი ამ ჩემი კრიტიკის საფუძველიცა და პათოსიც ხელიდან გამომეცლება, რადგან ნამდვილად ლიხტენშტაინისა და ლუქსემბურგის დონეზე დაგვიყვანენ როგორც მოსახლეობის, ისე ტერიტორიული თვალსაზრისითაც.

ჰო, რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკაა. სპორტთან რა კავშირი აქვს? დანამდვილებით ვერ გეტყვით. ისე კი, როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, სპორტი კი არა, ერბოკვერცხის შეწვაც პოლიტიკააო.

გითხრათ, როგორ მოიქცევა ნებისმიერი გამვლელი თქვენს არცთუ კორექტულ შეკითხვაზე?

საქართველოს ჩემპიონი? რა სისულელეა, ეტყობა, ხუმრობის გუნებაზე ხართ, თვითონ ქვეყანა რა არის და იმის ჩემპიონი რა უნდა იყოსო. შეიძლება სულაც არაფერი თქვას, გაკვირვებულმა შემოგხედოთ და მხრები აიჩეჩოს.

ძიუდო

# მორიგი ივონი დიუსელდორფიდან

*ისღა დაგვრჩენია, დიუსელდორფში გუშინ დასრულებულ ევროპის ჩემპიონატის პირველი დღის შედეგებს დავჯერდეთ. ისე მოხდა, რომ ნესტორ ხერგიანის, დავით მარგოშვილისა და რამაზ ჩოჩიშვილის მიერ კონტინენტის უმთავრეს ასპარეზობაზე მოპოვებული სამივე ხარისხის მედალი ვერც ჩემპიონატის მეორე დღეს გავაზევრეთ და ვერც დასკვნით დღეს.*

ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო - ასეთია ქართველ ძიუდოისტთა მონაგარი. ალბათ, უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა, მაგრამ, ფაქტია: რამდენიმე გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ქართველი ძიუდოისტები ხელმოცარულნი დარჩნენ. თავს მხოლოდ იმით თუ ვინუგეშებთ, რომ ჩვენზე გაცილებით ტიტულოვანი სპორტსმენებიც საპრიზოებს მიღმა დარჩნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩემპიონატის მეორე დღეა აღსანიშნავი. თუმცა, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა დიუსელდორფში ასპარეზობის საშუალება ორ ახალბედას - მინდია ბოდაველსა და ზვიად ხანჯალიაშვილს მისცა. ერთმაც და მეორემაც პირველად მოსინჯეს ძალები ასეთი რანგის შეჯიბრებაზე.

მძიმე წონაში მოასპარეზე ხანჯალიაშვილმა პირველი წრის ბარიერი საკმაოდ იოლად გადალახა. ბრიტანელ რობერტ სტილუელთან მოსაგებად ქართველ გოლიათს წუთი და 44 წამი დასჭირდა.

სხვათა შორის, ბრიტანელმა ჩემპიონატის პირველ დღეს აბსოლუტურშიც სცადა ძალა, მაგრამ მანაც, ისევე როგორც მძიმე წონაში მოასპარეზე ხანჯალიაშვილმა, პირველივე ორთაბრძოლა წააგო.

მომთაბარე ბრიტანელთან ურთიერთობის გარკვევის შემდეგ ხანჯალიაშვილი ძალზე სერიოზულ მეტოქეს, რუს ტამერლან ტმენოვს გადაეყარა. ტმენოვი ქართველზე ბევრად გამოცდილია და ტიტულებიც მრავლად მოუხვეჭავს. ევროპის ოთხგზის ჩემპიონი და ვერცხლის მედალოსანი მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორიც გახლავთ. ასე რომ, რა გასაკვირია, მას ხანჯალიაშვილთან ორთაბრძოლა არ გასჭირვებოდა. ტმენოვმა ხანჯალიაშვილი სუფთა გდებით წუთსა და 44 წამში დაამარცხა და შემდეგ ჩემპიონობისკენაც წარმატებით გააგრძელა გზა. შესაბამისად, ქართველ ძიუდოისტს მესამე ადგილის შანსი გაუჩნდა. რეპეშაჟში ხანჯალიაშვილი ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატის პრიზიორს, რუმინელ გაბრიელ მუნტიანუსთან საბრძოლველად გავიდა. კარგადაც დაიწყო და კოკა და იუკოც აართვა რუმინელს, მაგრამ ორი იუკოთი გამარჯვებულად საბოლოოდ მეტოქე გამოცხადდა.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ივერი ჯიქურაულიც ახლოს იყო მესამე ადგილთან. ჯიქურაულს, ფაქტობრივად, შემდგომ მეორე-მესამე ადგილებზე გასულ მეტოქეებთან მოუხდა ორთაბრძოლები. თავდაპირველად ჩეხი ტომაშ კობზა ჩამოიცილა გზიდან. ასეთივე ბედი ეწია მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს, ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონსა და ბრინჯაოს მედლის მფლობელს, ფრანგ ჟისლენ ლემაისაც. ჩეხსა და ფრანგს გემანელი ევროპის ჩემპიონი და ვერცხლის მედალოსანი დანიელ გურშნერიც მიაყოლა და ნახევარფინალშიც გავიდა. აქ მას მომავალ ფინალისტთან, ევროპის ჩემპიონთან და ბრინჯაოს პრიზიორ ჰოლანდიელთან, ელკო ვან დერ გესტთან მოუხდა შებმა. ჰოლანდიელმა 20 წამში იპონით დაამარცხა ჯიქურაული. მარცხის შემდეგ ქართველმა მესამე ადგილისთვის ბრძოლა უნგრელ ანტალ კოვაჩთან გააგრძელა. კოვაჩის სიძლიერეზე მისი ტიტულებიც მეტყველებს. უნგრელი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლების მფლობელია. გარდა ამისა, ყულაბაში მსოფლიო ჩემპიონატის ერთი და ევროპის სამი ბრინჯაოს მედალიც აქვს. ერთი სიტყვით, ჯიქურაული დამარცხდა და ასპარეზობა ჩასათვლელი მეხუთე ადგილით დაასრულა. რაც შეეხება ამავე წონის გამარჯვებულს, აქ ჩემპიონობა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ტრიუმფატორმა, ებრაელმა არიელ ზეევმა მოიპოვა.

Giro d'Italia

# დაბრუნდება კი პანტანი?

ირაკლი ბერიაშვილი



*სტეფანო გარძელი ფინიშის ხაზთან*

REUTERS

ავეცანოდან ტერმინილომდე ას ორმოცდაშვიდი კილომეტრია. გზადაგზა ორი თუ სამი მესამე კატეგორიის მთაც არის, მაგრამ მთავარი ასოცდამეათე კილომეტრიდან, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ტერმინილოს მისადგომებთან იწყება. ჩვიდმეტკილომეტრიანი აღმართის ძირსა და წვერს შორის სხვაობა ათას ასი მეტრია, დახრილობა - შვიდ პროცენტზე მეტი. ესე იგი, გზა ყოველ ას მეტრში შვიდი მეტრით იწევს მაღლა. ეს ტურისტული მარშრუტი არ არის. ეს აღმართი პედლეების სამსაათიანი ტრიალის შემდეგ ჯიროს მონაწილეებს ელოდება.

ამ მთას ბევრი პატივმოყვარე სპორტსმენის იმედები დაუმსხვრევია, ბევრს უწყევლია თავბედი ამ აღმართზე და, ალბათ, ასეც გაგრძელდება - კიდევ ბევრს დათრგუნავს ტერმინილო.

მთის პირველ ეტაპამდე მაინცდამაინც ბევრი არაფერი იყო გასარკვევი. სპრინტერებმა თავიანთი პრობლემები ნაწილობრივ მაინც მოაგვარეს და ჯიროს გაგრძელებისა და ლიდერის მაისურის ტარების პატივიც სხვებს გადაულოცეს. ეს სხვები კი ჯიროს ჩემპიონები და პოტენციური ჩემპიონები არიან: სტეფანო გარძელი, ჯილბერტო სიმონი, დარიო ფრიგო, აიტორ გონზალესი, პაველ ტონკოვი, ფრანჩესკო კასაგრანდე, რაიმონდას რუმსასი და მარკო პანტანი. დააკვირდით მათ ნომრებს. ოთხი მათგანი "ერთიანით" მთავრდება. ეს თითქმის ავტომატურად გულისხმობს იმას, რომ ველომრბოლი გუნდის ლიდერია და ამ ტურნირში გამარჯვებისთვის იბრძოლებს. გონზალესის, ფრიგოსა და გარძელის ნომრები ერთიანი არ არის. ამიტომ იმთავითვე იყო საფიქრებელი, რომ ამ სპორტსმენებისთვის ჯირო მხოლოდ მზადების ეტაპია ტურ დე ფრანსისთვის. ცხადია, მრავალდღიანებმა გამონაკლისიც იცის, მაგრამ ეს მხოლოდ წესს უსვამს ხაზს.

მეშვიდე ეტაპმა ეს ყველაფერი დაადასტურა, თუმცა, ერთი, ალბათ, ყველაზე საინტერესო მომენტი მაინც გაურკვეველი დარჩა. კაცი ვერ იტყვის, რას აპირებს, როგორ დაასრულებს ჯიროს ან მერე რა გეგმები აქვს სამწლიანი უსამართლო დევნით გაწამებულ "ილ პირატას", როგორც სიყვარულით ეძახიან ფანები მარკო პანტანის. სიყვარულით იმიტომ, რომ ველოსპორტის გარინჩას სწორედ მთაში და, თანაც, არა ერთხელ და ორჯერ ჰყავს დამარცხებული იან ულრიხი, ლანს არმსტრონგი და თვით დიდი მიგელ ინდურაინიც კი...

**ნინო პრიმა**

1922 წელს ჯიროში 69 მონაწილემ აიღო სტარტი, ფინიშამდე კი მხოლოდ 27-მა მიაღწია. პირველი ოთხი ეტაპი კონსტანტე ჯირარდენგომ მოიგო და გამარჯვების უმთავრეს კანდიდატადაც ითვლებოდა, მაგრამ მეხუთე ეტაპზე ველოსიპედიდან გადმოვარდა. ჯირარდენგომ რევანშის აღება მომდევნო, 1923 წელს მოახერხა. წინა წელიწადს გამარჯვებული ბრუნერო ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

მოხდა ისე, რომ 1924 წელს ტურნირის სტარტზე არც ერთი სახელოვანი სპორტსმენი არ გამოსულა. ჯიროს ბოიკოტი ემუქრებოდა. მაგრამ "გაძეტა დელო სპორტმა" და დედოფალმა ალფონსია სტრადამ ჯირო ჩაშლას გადაარჩინეს. გაზეთმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებას აპირებდა... დედოფალი. ალფონსია სტრადამ ტურნირი 72-ე ნომრით დაიწყო. ბევრჯერ გადმოვარდა ველოსიპედიდან და დაშავდა კიდეც, მაგრამ დედოფალმა ყველაფერს გაუძლო და მილანში მამაკაც ველომრბოლებთან ერთად შევიდა, სადაც ზღვა ხალხი და ოვაცია ელოდა. გამარჯვებით კი ჯუზეპე ენრიჩიმ გაიმარჯვა.

**ფლავიო კარბონე**

მუზარადში, ალბათ, ვერ მიცნობთ, მაგრამ თუ მაინცდამაინც მოგინდებათ ჩემი ნახვა, გეტყვით - ჩვენი მოტოციკლი ყვითელი ფერისაა.

როგორც ვვარაუდობდი, სამუშაო მოგვემატა. ასეთია მთის ეტაპები - წავლენ, გაჩერდებიან, ისევ წავლენ, დაიღლებიან, ჩამორჩებიან, ახლა სხვები დაწინაურდებიან და ასე გაუთავებლად.

გამონაკლისი არც ტერმინილო გამოდგა. ჯერ კიდევ 60 კილომეტრი იყო დარჩენილი ფინიშამდე, რომ პელოტონს ხუთი კაცი გაექცა. ორმა - ელიო აჯანომ და კრისტიანო ფრატინიმ აღმართზეც შეასწრეს ძირითად ჯგუფს. თუმცა, ეს იყო და ეს. "მთიელების" დაახლოებით ათკაციანმა ჯგუფმა სწრაფად ჩამოიტოვა პელოტონი და უღელტეხილის გზას დაადგა.

**ნინო პრიმა**

ლაციოს მხარის პატარა ქალაქ რიეტამდე მიღწევა ადვილი არ არის. ეს ქალაქი აპენინის ნახევარკუნძულის შუაში მდებარეობს და ამის გამო იტალიის ჭიპს უწოდებენ. აქედან აღმართი სულ უფრო ძნელსავალი ხდება, სანამ პელოტონი ეგრეთ წოდებულ "რომაულ მწვერვალს" არ მიაღწევს. ტერმინილო, სადაც მეშვიდე ეტაპის ფინიშია, იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ აქ ხშირად გადის ჯიროს ტრასა. 1937 წელს ტერმინილო ბარტელიმ დაიპყრო, 1938-39 წლებში - ვალეტიმ, 1987-ში ფრანგმა ბაგომ იმარჯვა, 1992 წელს - კოლუმბიელმა ლუის ერერამ. 1997 წელს კი პაველ ტონკოვი იყო პირველი.

**ირაკლი**

თითქმის სამწლიანი იძულებითი დასვენების შემდეგ არავის ჰქონდა ილუზია, რომ მარკო პანტანი პირველივე მთაზე ძველებურად დაფერთხავდა მეტოქეებს. მაგრამ მაინც სევდიანი საყურებელი იყო, ჩვეულ გარემოში მოხვედრილი, როგორ ჩამორჩა ტერმინილოსთვის მებრძოლებს და ნებისყოფისა და ძალების როგორი დაძაბვით ცდილობდა, ბოლომდე გაეძლო. ბევრი რამ იყო ამ ჩვიდმეტკილომეტრიან აღმასვლაში - მონდომებაც, ჟინიც, ძველი ბოღმაც, მაგრამ არ იყო ის მარკო, რომელსაც ხალხმა მეკობრე შეარქვა.

დაბრუნდება კი პანტანი?

**ტექნიკური შედეგები**

**VII ეტაპი. ავეცანო-ტერმინილო. 147 კმ.**

1. სტეფანო გარძელი ("ვინი კალდიროლა", იტალია) - 3 სთ. 55 წთ. 19 წმ.
2. ჯილბერტო სიმონი ("საეკო", იტალია) - იგივე დრო.
3. ანდრეა ნოე ("ალესიო", იტალია) - იგივე დრო.

**საერთო ჩათვლა**

1. სტეფანო გარძელი ("ვინი კალდიროლა", იტალია) - 31 სთ. 39 წთ. 24 წმ.
2. ჯილბერტო სიმონი ("საეკო", იტალია) - + 31 წმ.
3. ანდრეა ნოე ("ალესიო", იტალია) - + 44 წმ.

„ხალხის პირისპირ" - ეს არის გადაცემა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჯდის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაავსოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:

1

2

3

4

5

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.

"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბაღით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

იყიდება 28 000-ად ან იცვლება 4-ოთახიანი, საერთო ფართი 100 კვ.მ.-ის კუთხის ბინა ბათუმიდან (პიონერთა პარკი) თბილისში. 98 81 32

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება 110 კვ.მ. 2-ოთახიანი მიშენებით, ავტოფარეხით და სარდაფით ბახტრიონზე. ფასი შეთანხმებით. 96 91 93

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

## მიწის ნაკვეთი

ასურეთში აგარაკი 1100კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, კაპიტალური ორსართულიანი გარემონტებული სახლი, ელექტროგაყვანილობით, წყლით. ტ. 93-27-82, 893-20-32-92.

## ბინები

### ქირა, ბირაო

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

## მანქანები

იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866

**იყიდება !**
ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$ ტელ: 899 16 28 68

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

## სხვადასხვა

სილამაზის სალონი „ბარბი" აცხადებს 30%-იან ფასდაკლებას ყველანაირი მომსახურებით. ჩაწერა წინასწარ. ტაბიძის 15, მერიასთან. 93 37 17

სილამაზის სალონი „ბარბი" აცხადებს მოსწავლეების მიღებას მოსამზადებელ კურსებზე. ტაბიძის 15, მერიასთან. 93 37 17

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.
ტელ: 899 216566

შევიძენ "ლაი-ლაის" სიმ ბარათს.
ტელ: 893 319288

**კომპიუტერული ცენტრი „TOPOS" გთავაზობთ**

უახლესი კომპიუტერული პროგრამების შესწავლას, საწყისი პროგრამების ფასი 10 ლარი. მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი ლიტერატურით. გაიცემა სერთიფიკატი.

**მის.: „კოლმეურნეობის მოედანი", პირიმზის შენობა, VI სართული. ტელ: 93-52-24, 899 186686.**










## აფიშა

### თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ზაქარია ფალიაშვილი "აბესალომ და ეთერი", ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი რევაზ ტაკიძე
დას: 12:00 სთ

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ჩემი გალაკტიონი", რეჟ. ელდინო საღარაძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
ედმუნდ კალანდაძის პერსონალური გამოფენა

**„არტ-ორიენტი"**
"აბრეშუმის გზა"

**გალერეა New Art**
New Art-ისა და "კოდაკის" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულთა გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
80-იანელთა ნამუშევრების გამოფენა

**„ქარვასლა"**

**საერთაშორისო გამოფენა Appendix**
ნატ მიულერი, ფოამ-ის პრეზენტაცია
ჯგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოლოშვილი, მარიკა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მაწაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა

**აბრეშუმის ფაბრიკა**
Schweizer Int.

**დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი**
გურამ წიბახაშვილის, მარიკა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები

**„კლუბი 22"**
იოჰან გრიმონპრე

**9 აპრილის სახელობის პარკი:**
ატელიე ვან ლისჰაუტის "ციხე"

**გალერეა „არტ-სინთეზი„**
სტივენ ბლუმი

**საზოგადოებრივ ადგილებში**
წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"საათები"
დას: 14:00; 18:00 ფასი 5-8 ლარი
"გემი მოჩვენება"
დას: 16:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო"**
"ახალდაქორწინებულები"
დას: 15:00, 19:00 ფასი 5 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 17:00, 21:00 ფასი 7 ლარი

**„რუსთაველი"**
"ცისფერი კრუიზი"
დას: 15:00, 19:00, ფასი 5 ლარი
"ახალდაქორწინებულები"
დას: 17:00, 21:30 ფასი 7 ლარი

მიმდინარე 2003 წლის 30 ივნისს ჩატარდება სააქციო საზოგადოება "ერისიმედი"-ის მორიგი აქციონერთა საერთო კრება. მისამართი ქალაქი თბილისი, სამტრედიის ქ. 2ა.
დღის წესრიგი:

1. წლიური ბალანსის განხილვა-ანგარიში
2. სამეთვალყურო საბჭოს არჩევნები
3. აუდიტორის არჩევნები

სააღრიცხვო დღედ დანიშნულია 6 ივნისი
აქციონერებს ვთხოვთ დასწრებას.

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადების კუპონი

19.05.03 N-135

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

## TV პროგრამა 19 მაისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
18.50 სერიალი „მაშველები"
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „შულერები" მთ. რ-ში: მეთ დეიმონი
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა"
10.15 მხ. ფილმი „არლეტი".
11.50 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.00 „ოქროს მართვე"
14.30 „ქართული მთავსლელობის ისტორია"
15.15 მხ. ფილმი „მზის ბნელი მხარე"
17.00 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.15 „რამაა"
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 მრავალჟამიერ
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
22.00 „პრეზიდენტი გისმენთ"
23.00 „რა ხდება?"
23.55 ტელესერიალი „ძილის წინ"
00.15 მხ. ფილმი „აკვანი დაირწევა"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით რუსული მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „თაგვის ნადირობა" მთ. რ-ში ნათან ლეინი
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხოური მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 ფილმი ბრავო „თვალთახედვის მიღმა" მთ.რ-ში ჯორჯ კლუნი
01.40 ფილმი ღამურა „მეწამული ასული" მთ.რ-ში ასია არჯენტო
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ლატარია ყველასათვის
21.00 ჯანმრთელობა
21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
22.10 მხ. ფილმი „უკანასკნელი მოჰიკანი".

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი „გასწირე შენი თავი"
15.00 მხ. ფილმი „დაქირავებული მკვლელი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „ოცნების ზღვარი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „შერკინება"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „40 დღე და 40 ღამე"
10.20 მხ.ფ. „სასიკვდილო ცდუნება"
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 ბურთი და მოედანი
20.30 მხ.ფ. „ჩემი ბიჭი"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ერინ ბროკოვიჩი"
01.30 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

09.35 მულტფილმი „წითელქუდა"
10.25, 13.30, 14.20, 15.15, 23.50, 01.55 მუსიკა
10.40 მხ. ფილმი „ინდიანა ჯონსი"
12.40 მხ.სერიალი „რაც გინდა აკეთე" მე-4ს.
13.45 „ოსტატები"-მეარღნე
14.00 „გელისიმო"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 „მსოფლიო ფეხბურთი"
15.35 მულტფილმი „შოგის ელფები"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
17.45 ლეო და გეო
18.00 მხ. სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 181-ე ს.
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.00 მხ. სერიალი „სირინოზები" 1-ლი ს.
21.45 „ჩემი ქვეყანა".
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „ფენიქსი"
00.20 მხ. ფილმი „იცეკვე ჩემთან ერთად".

### იმედი

08.55, 11.55, 13.55, 15.55, 17.55 ახალი ამბების დაიჯესტი
09.00, 13.15, 17.20, 23.35 იმედის მელოდიები
09.30 სერიალი „იუდას ქალი" 36-ე ს.
10.30 ლარი მახე
11.00 სერიალი „შტოკინგერი"
12.00 სერიალი „იუდას ქალი" 37-ე ს.
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
14.00 სერიალი „გაიხსენე ყველაფერი" მე-12 ს.
15.15 ფანების კინოკლუბი „ჟანდარმი და უცხოპლანეტელები"
17.30 ჩ-კლუზივი
18.05 სერიალი „იუდას ქალი" 38-ე ს.
19.30 სერიალი „სახიფათო მოსახვევები" 1-ლი ს.
20.30 სპორტ. პროგრამა „გოლი"
20.55, 02.10 ახალი ამბების დაიჯესტი
21.00 სერიალი „ეარ ამერიკა" 1-ლი ს.
22.45 სერიალი „გაიხსენე ყველაფერი" მე-13 ს.
00.05 კინო-ნოსტალგია „კარტუში

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 კონცერტი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „ოთხფეხა პატარა"
10.35, 14.15, 17.10, 22.40 მუსიკა
10.50 კომედია „ქალბატონები იწვევენ მამაკაცებს"
12.10 მხატვრული ფილმი „ოლიგარქი"
14.30 ისტორიული ფილმი „ატილა"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი"
17.30 ფილმი-კატასტროფა „დაშვება შეუძლებელია"
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.15 მხატვრული ფილმი „როჯერ დოჯერი"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
23.00 „ალტერნატივა"
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 მხატვრული ფილმი „ცოფიანი ძოფაკი და გლორი"
03.40 ისტორიული ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი"

### VII არხი

09.25 „აჩიკუდა"
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 სპორტი
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია
11.00 მელოდია -
11.20 „ობიექტივი"-სტუმარი (განმეორებით)
12.10 კომპიუტერული ტექნიკა
12.50 დისნეი და მისი მეგობრები
13.10 კომპიუტერული თამაშები
13.30 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.35 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.10 „ლა-ლა-ლა"
22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.30 „კინოკლუბი „ - „ჩვენნაირი ჰაშუშები
00.10 მობილურები
00.55 „ბიორითმი"

### ОРТ

13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
13.15 „Что? Где? Когда?"
14.40 „Смак"
15.00 Док. детектив „Зеленоградский Чикатило".
15.30 „Путешествия натуралиста"
16.15 Док.сериал „Живая природа"
17.30, 00.55 „Фабрика звезд 2"
18.00 „Большая стирка"
19.25 „Шутка за шуткой"
20.00 „Жди меня"
21.00 „Кто хочет стать миллионером?"
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Под Полярной звездой", 1 с.
23.45 Кремль-9. „Светлана Сталина. Побег из семьи", 2 с.
01.10 „Теория невероятности". „Живая вода". Фильм 2
01.40 „Сканер"
02.10 „Апология"
03.10 Сериал „Пришелец"

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!"
09.45 Худ.фильм „Топ ган"
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 В „Городке"
13.25 Вести недели
14.30 Вести - Москва. Неделя в городе
15.20 Ток-шоу „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех 2"
17.15 „Честный детектив"
17.45 „Экспертиза"
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 04.25 „Дорожный патруль"
19.05, 00.30 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 „Спокойной ночи, малыши!"
21.55 Сериал „Идиот"
22.55 Сериал „Люди и тени 2"
00.00 Ток-шоу „Вести +"
00.40 Боевик „Вызов"
02.15 „Футбол России"
02.45 Комедия „Голубые Гавайи"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.45 Сериал „Клан Сопрано"
11.00 „Сегодня" утром
11.25 „Намедни"
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30 „Сегодня"
13.35 Комедия „Рассеянный"
15.20 „Профессия - репортер". „Музейные олигархи"
15.40 „Криминал"
16.35 Ток-шоу „Принцип домино". „Куда пойти учиться?"
18.30 „Женский взгляд". И.Понаровская
19.10 „Внимание! Розыск!" „Доводы защиты"
20.40 Сериал „Ребята из нашего города"
21.45 Детектив „На углу, у Патриарших 3", 5 с.
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
00.25 Проект Л.Парфенова „Российская империя: Николай-I"
01.55 „Гордон"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

# ჩვენებური ატლანტაში

გოგი პონსენი

"სოტბის" აუქციონზე შარშან გამოტანილი იყო ვერცხლის უნიკალური ნაკეთობა – ლარნაკი. თუმცა, ნაკლი მასაც ჰქონდა – ჭურჭელს აკლდა სარქველი. და მაინც, ანტიკვარული ნაკეთობა გაიყიდა და თანაც, საკმაოდ ძვირად.

ლარნაკის ახალმა მფლობელმა, რომელმაც სარქველის დამზადება ევროპელ რესტრავრატორებს შეუკვეთა, მასში ხარვეზები აღმოაჩინა. მაშინ სამუშაო შეასრულა ქართველი წარმოშობის ამერიკელმა – გია გოგიშვილმა, რომელიც ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში ცხოვრობს, რის შემდეგაც მან კიდევ ერთხელ დაიმსახურა გაზეთების აღფრთოვანებული გამოხმაურება...

თუ დავუშვებთ, რომ ნივთები ადამიანებივით ექვემდებარებიან ბედისწერას და, როგორც ჩანს, ეს ასეც არის, მაშინ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1920 წელს, გოლფში ამერიკის ღია ჩემპიონატზე გათამაშებული თასის ბედი 80-იან წლებში არცთუ სახარბიელო აღმოჩნდა. ამ პერიოდში მის მფლობელს სწორედ რომ არ გაუმართლა. ჯერ იყო და თასი გაიტაცეს. პროფესიონალები, მოყვარულები, გულშემატკივრები გოლფის თასს, კალათბურთისა და ბეისბოლის თასების მსგავსად, აშშ-ს სპორტულ სიმბოლოდ თვლიდნენ და მისმა დაკარგვამ ყველა საგონებელში ჩააგდო. მათი წუხილი თითქმის ათ წელიწადს გაგრძელდა, სანამ თასს იპოვნიდნენ. ამის შემდეგ ყველაფერი თითქოს მიწყნარდა. ამერიკელ გულშემატკივარს და თასის მფლობელს მისი "ჰოროსკოპის" გაცნობა რომ შეძლებოდათ, თვალის ჩინივით მოუვლიდნენ და თავიდან აიცილებდნენ იმ "კატასტროფას", მოგვიანებით, რომ დაატყდათ. ერთი "შტაბ-ბინიდან" მეორეში გადატანისას, თასი როგორღაც დაუვარდათ და ის მანქანის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა. მსოფლიოში თასების "ინვალიდთა სახლი" რომ არსებულიყო, ამერიკული სპორტის ეს სიმბოლო საყოველთაო თანაგრძნობას მიიღებდა, რადგანაც უკვე შეუძლებელი იყო ვერცხლის ნამცეცებში ატლანტელთა სასურველი ნაალაფევის ამოცნობა. დაიწყო ხელმარჯვე ოსტატთა ძებნა თასის "რეანიმაციისთვის". ასეთი ოსტატი ვერ იპოვეს ინგლისში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ვერსად, სადაც არ მიმართა კლუბის ადმინისტრაციამ. მაშინღა გაახსენდათ ატლანტაში უკვე საუკუნოვანი რეპუტაციის მქონე "ესტეს სიმონსი", რომლის ერთ-ერთი წამყვანი ოსტატისათვის თავისი ამერიკული კარიერის შექმნის გზაზე მეორე ეტაპი დგებოდა: ეს ოსტატი ჩვენი თანამემამულე გია გოგიშვილი გახლავთ.


დასახიჩრებული თასი რომელიც გოგიშვილმა აღადგინა

კარიერის პირველ ეტაპზე, როცა "ესტესთან" თანამშრომლობა დაიწყო, უნიკალური შეკვეთა მიიღო – ატლანტის მსოფლიო ოლიმპიადის ფეხბურთის სუპერთასის ასლი უნდა გაეკეთებინა. ორიგინალის შემქმნელი ინგლისელი ოსტატი გარდაიცვალა, წესისამებრ კი, ყოველი ოლიმპიადისათვის, ახალი ასლი მზადდება. როდესაც გიამ "სუპერთასზე" მუშაობა დაასრულა და ის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა და რეპორტიორებმაც იხილეს, ფირმის რეიტინგი ამაღლდა. ამ წარმატებას შეეძლო შემოქმედისათვის თავბრუ დაეხვია, - აცხადებს გიას მამა ჯემალ გოგიშვილი, მაგრამ არა იმდენად, რომ ერთი რამ გაეთვალისწინებინა: შტატებში წარმატება შემთხვევიდან შემთხვევამდე არ მოდის – გამუდმებით, ჩავარდნების გარეშე უნდა გდევდეს თან, წინააღმდეგ შემთხვევაში "უდღეური ვარსკვლავის" სახელი გარანტირებული გაქვს.

გიას წარმატების მეორე ეტაპი გოლფის თასის ატლანტაში "დაბრუნებით დაიწყო". ამ დროს ოსტატს ფირმის ძირითადი დაკვეთებიც ჰქონდა და ამიტომ დღედაღამ მუშაობდა. ისევ წარმატება – თასი ისე ბრწყინავდა, თითქოს სიცოცხლის ხელმეორედ დაბრუნებას ზეიმობდა.

გია გოგიშვილის ამერიკაში წასვლა იქნება ღმერთმა ინება. ლითონთა მხატვრული დამუშავების სპეციალისტი – ვერცხლზე, ოქროზე, მელქიორზე, ფილიგრანული ჩუქურთმების ოსტატი, გრავიორი და მთეგავი (ჭედურობის ოსტატი), როგორც ხშირად ხდება ჩვენთან, სამშობლოში სამუშაოს ვერ პოულობს. შეიძლება, დროთა განმავლობაში საქართველოშიც მოინახოს ამ იშვიათი პროფესიის ადამიანებისათვის საქმე, მაგრამ დღეს...

გია გოგიშვილმა "პროფესიული ქულების დაგროვება", როგორც მამამისმა განაცხადა, თბილისის მოსე თოიძის სამხატვრო სასწავლებლისა და მოსკოვის სამხატვრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაიწყო. პირველად ვარშავის ხელშეკრულების წევრი ქვეყნების სამხედრო ძალების საარქტო დარბაზი გააფორმა. "მოგეხსენებათ, სამხედროები, მით უფრო, გენერლები, შარიანი ხალხია. მით უმეტეს, თუ კალენდარიც 1984 წელს აფიქსირებს", - აგრძელებს ჯემალ გოგიშვილი. დარბაზის მხატვრული გაფორმება მოიწონეს. შემდეგ – პერსონალური გამოფენა თბილისში. ამის შემდეგ "კორდონს" გასცდა – პოლონეთსა და ბრაზილიაში წავიდა. "მოგზაურობამ ოკეანის გადაღმა" ამერიკელ დიზაინერებთან დაახლოვა, მათ კი ატლანტაში დაპატიჟეს. ერთ-ერთი კომპანიის რეკომენდაციით, ჯორჯ სტეიტის ინსტიტუტში მიიწვიეს ლექციების წასაკითხად. ამჟამად მისი მოწაფეები შტატებს გარეთაც მუშაობენ. შემდეგ ამერიკაში ყველაზე ცნობილი სარესტავრაციო ფირმის "ეტესის" პრეზიდენტი მარკ ანტების თავაზობს სამსახურს.



აქ მას "ზედამხედველობას" უწევს დარგის სახელმოხვეჭილი სპეციალისტი დაუსონი. ეს უკანასკნელი წლობით "სწავლობდა" თითოეულ "მოწაფეს", ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რომ მას უკვე თავად შეეძლო მუშაობა და კეთილსინდისიერი პიროვნებაც იყო... გიამ "გამოცდები ექსტერნად დაიჭირა" და დაუსონის სკოლის ღრმა პროფესიული საიდუმლოებებიც შეითვისა.

ისიც ვახსენოთ, რომ ლითონთა მხატვრული დამუშავება ერთდროულად სამი გოგიშვილის საყვარელი საქმეა – მამის, გიასი და უმცროსი ჯემალის. გიას მამა ჯემალ გოგიშვილი საქართველოს მხატვართა კავშირის (ყოფილი კავშირის) წევრია, მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებში. სხვადასხვა დროს წელიწადნახევრის განმავლობაში ატლანტაში ცხოვრობდა გიასთან. მუშაობდა ფირმის სახელოსნოში, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, თავისი შენიშვნებით ვაჟიშვილს ხშირად "წონასწორობიდან გამოჰყავდა", უწუნებდა ნამუშევარს მანამდე, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, "ესტესის" სტილი არ შეათვისებინა. ორი ვაზა, ვერცხლის ფოთლებით მოვარაყებული, განსაკუთრებით ნატიფი ნამუშევრებია, ვარდი ფურცლებით "ტიფანის" სტილით ამ უძველესი ფირმის პრესტიჟს ზრდის. კითხვაზე, თუ რატომ არ დარჩა ბატონი ჯემალი საცხოვრებლად ატლანტაში მცირე დროით მაინც, მან უპასუხა: ჯორჯია საქართველო არ არისო. რაც შეეხება გიას, იგი ნამდვილი ამერიკელია და როგორც მისი რეპუტაციის ადამიანს შეეფერება, ნორ-კროსის საგრაფოში ატლანტის გარეუბანში საკუთარი სახლი აქვს. მეუღლე თინაც თბილისში დაიბადა, ფილოლოგია, ფლობს ინგლისურსა და ივრითს.

სექტემბერში მათი უფროსი ქალიშვილი სოფიკო სკოლაში წავა. სწავლა მას არ გაუძნელდება, რადგან გოგონა სრულყოფილად ფლობს კომპიუტერსა და ინგლისურ ენას. თუმცა, დედას და მამას მშობლიურ ენაზე – ქართულად ელაპარაკება. სოფიკოს უმცროსი და – მარიამი იქაურ საბავშვო ბაღში შევა. ერთი სიტყვით, ამ ოჯახში, ობლომსკებისაგან განსხვავებით, ყველაფერი რიგზეა.

# მუსიკა ოც რაუნდად

## თბილისში სამთვიანი ფესტივალი იხსნება

ვერა ნეფარიძე

"მეოცე საუკუნის მუსიკის ფესტივალი", - ძალიან მეეჭვება, მსგავსი პრეტენზიული სახელწოდებით მსოფლიოს რომელიმე კუთხეში ისეთი მუსიკალური დღეები გამართულიყო, როგორსაც ამ ფესტივალის ორგანიზატორები გეგმავენ თბილისში. კლუბ "16 რაუნდში" ოთხი ივნისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით, გვპირდებიან, რომ ჩატევენ მეოცე საუკუნის თანამედროვე მუსიკალურ მონაპოვარს. სწორედ ეს მიზანი გააერთიანებს ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს გამართულ party-ებს. ოც ღონისძიებაში ქართველმა მუსიკოსებმა უნდა შემოგვთავაზონ: სვინგი, ბლუზი, როკ-ენროლი, დიქსილენდი, დრამ-ენდ-ბეისი, ჰარდ-როკი, დისკო, ფოკ-როკი, ჰაუსი და თვითონ, ორგანიზატორებმაც რომ არ იციან ჯერ, ის მუსიკა.

საზაფხულო საკლუბო ღონისძიების ავტორები კლუბ "16 რაუნდის" ხელმძღვანელებთან ერთად, ცნობილი დამოუკიდებელი პრომოუტერი ვანიკო თარხნიშვილი და სარეკლამო სააგენტო "სარკეს" (რომელიც კლუბში მენეჯმენტს განაგებს) წარმომადგენლები არიან. როგორც ისინი აცხადებენ, ამ ფესტივალის ძირითადი მიზანი ცოცხალი მუსიკის პოპულარიზაცია იქნება. ამიტომაც, მასში მიიღებენ მონაწილეობას მხოლოდ ის პროფესიონალი მუსიკოსები, რომლებიც სცენაზე ცოცხლად მუშაობენ. პირადად, ფესტივალის ორგანიზატორთა ასეთ გამონათქვამს ვერ დავეთანხმები, რამდენადაც მგონია, რომ ცნება პროფესიონალი მუსიკოსი, ჩემი აზრით, სცენაზე ცოცხლად მუშაობას გულისხმობს, პირველ რიგში.

სიტყვა ფესტივალმა შეცდომაში რომ არ შეგიყვანოთ, თავიდანვე ვიტყვი, რომ ის უცხოელი შემსრულებლების ჩამოყვანას არ ითვალისწინებს. როგორც გავიგეთ, ამ მიმართულებით, "16 რაუნდის" მენეჯმენტთა ჯგუფი საზაფხულოდ გეგმავს გარკვეულ ღონისძიებებს, თუ რამდენად საინტერესო და მასშტაბური იქნება მოწვეულ მუსიკოსთა დონით ეს პროექტი, ამის შესახებ იმედია, კლუბიდან დროულად გვაცნობებენ. ამჟამად კი ისინი მხოლოდ ფესტივალ "საუკუნე ოც დღეში"-ს სამზადისში არიან და სწორიცაა - დღეისათვის ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი დეტალია დასაზუსტებელი.

ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი მონაცემები, თუ რომელ ღონისძიებას რომელ მუსიკოსს ჩააბარებენ. თუმცა, ცნობილია რამდენიმე ვარიანტი.


ნიკა წერეთელი, ვანიკო თარხნიშვილი და სხვები, მომავალი ფესტივალის ფორმატზე მსჯელობენ

როგორც ვანიკო თარხნიშვილმა გვითხრა, ფოლკ-როკ party-ს Soft Eject გაუძღვება – ჩემი აზრით, შესანიშნავი არჩევანია, რა თქმა უნდა, თუ "სოფთები" მიიღებენ ამ წინადადებას; ჰარდ-როკის საღამოს მუსიკოსი ნოდარ ექვთიმიშვილი მოამზადებს; თბილისელების საყვარელ ლათინო-ამერიკულ მუსიკალურ საღამოს, საგანგებოდ მისთვის დაგეგმილ ერთ-ერთ party-ზე "სანო", (მერაბ სანოძე) დაგეგმავს. როგორც "სანომ" გვითხრა, ეს საღამო არც ისე იოლი მოსამზადებელი იქნება, რადგანაც ამ მუსიკას პროფესიონალი მუსიკოსების გარდა, შესაფერისი გარემოს შესაქმნელად სხვა ბევრი დეტალიც დასჭირდება. პროექტში ნიკა წერეთელიც მონაწილეობს და რამდენადაც მივხვდით, მის კისერზე გადაივლის ელექტრონული მუსიკის საღამოები. ამას გარდა, ორგანიზატორებმა მუსიკოსი "ნამუსზე ააგდეს" და მის გაუფრთხილებლად, ჟურნალისტების თანდასწრებით, ნიკას კლასიკური მუსიკის მიქსი "შეუკვეთეს". როგორც ნიკა წერეთელმა გვითხრა, მსგავსი ჩანაფიქრი არასდროს ჰქონია და ჯერჯერობით, ამასთან დაკავშირებით არანაირი იდეა არ აქვს. ასე რომ, ფესტივალზე მოულოდნელობებიც უნდა იყოს. ეტყობა, ამას გულისხმობს ორგანიზატორთა დაპირება, რომ ფესტივალზე მსმენელი ბევრ ცნობილ შემსრულებელს უჩვეულო ამპლუაში იხილავს. ერთადერთი შეზღუდვა, რაც ამ ფესტივალზე იქნება მუსიკოსებისთვის, მათ რეპერტუარს შეეხება. ორგანიზატორების თქმით, ყველა მონაწილემ ფესტივალზე მხოლოდ ახალი, მსმენელისთვის სრულიად უცნობი ნამუშევრები უნდა შეასრულოს. ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს სხვადასხვა მუსიკოსთან. სავარაუდოდ, ფესტივალზე ნიაზ დიასამიძესა და "ზუმბასაც" უნდა ველოდოთ. ოთხ ივნისამდე არც ისე ცოტა დროა, იმედია მანამდე, ბევრი დეტალი დაზუსტდება, თორემ ასე მომზადებულებს, ფესტივალის გადატანა გაგვიჭირდება.




## კალეიდოსკოპი

### მკვდარია?

"ნიუ იორკ ტაიმსის" ცნობით, მარკ ტვენის მიერ 100 წელიწადზე დიდი ხნის წინათ დაწერილი და არასოდეს დადგმული პიესა "მკვდარია?" ბროდვეიზე დიდი წარმატებით თამაშდება. სპექტაკლის პროდიუსერი ბობ ბაიეტი გახლავთ, რომელსაც გასულ წლებში ნიუ იორკში უკვე რამდენიმე წარმატებული შოუ აქვს წარმოდგენილი.

თავად პიესა 1898 წელს დაიწერა, შემდეგ კი ათწლეულების განმავლობაში კალიფორნიაში, ბერკლის უნივერსიტეტში იმტვერებოდა. ორი წლის წინათ ხელნაწერი პროფესორმა შელი ფიშერ ფიშკინმა აღმოაჩინა – პიესა, რომელიც ტვენისთვის დამახასიათებელი შავი იუმორით მოგვითხრობს პარიზში მცხოვრები, ღარიბი და დაბეჩავებული მხატვრების ჯგუფის ამბავს.

### ცისფერსისხლიანი მოდელი

ბრიტანელი ჰერცოგის, სარა ფერგიუსონის დისწულმა, აიეშამ, ავსტრალიის მოდის კვირეულში მიიღო მონაწილეობა. 17 წლის ლამაზმანი, რომელმაც ცხოვრება, ძირითადად, ავსტრალიაში, კვინსლენდში გაატარა, Fashion Assassin-ის ჩვენებაზე გამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სულ ახალგაზრდაა, გოგონამ უკვე მოასწრო მოდის ისეთ დიდოსტატებთან თანამშრომლობა, როგორებიც ნაომი კემპბელი და ელ მაკფერსონი არიან. ხოლო გასული წლის მარტში მოდის ჩვენებას, რომელშიც აიეშაც მონაწილეობდა, თავად იორკის ჰერცოგის ქალიც დაესწრო – ის ძალიან ამაყობს აიეშას წარმატებებით.

### ვიქტორია და ჰიპ-ჰოპი

ბრიტანელი მომღერალი, ფეხბურთელ დევიდ ბექჰემის მეუღლე, ვიქტორია, ამერიკის დაპყრობას შეუდგა. ცოტა ხნის წინათ მან ნიუ იორკის კოსტუმის ინსტიტუტში გახსნილ გამოფენაზე, "ქალღმერთზე" "გამოანათა", ახლა კი ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველ სარეკლამო კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ვიქტორია მუსიკოს დეიმონ დესის ჰიპ-ჰოპ ლეიბლის, Rocawear-ის საშემოდგომო სარეკლამო კამპანიის გადაღებებში იღებს მონაწილეობას. გადაღებები ნიუ იორკში ტარდება. ჭორად ამბობენ, ამ საქმეში მომღერალს 200 ათას დოლარს უხდიანო.

ამ კამპანიაში ნაომი კემპბელიც მონაწილეობს, ფოტოგრაფი კი პოლ როულენდი გახლავთ.

### მოსეს პროექტი

იტალიის პრემიერ-მინისტრმა, სილვიო ბერლუსკონიმ, პირველი ქვა ჩადგა იმ შენობის საძირკველში, რომლის დანიშნულებაც ვენეციის დატბორვისგან გადარჩენა უნდა იყოს. მშენებლობის დასრულებას 2011 წლისთვის გეგმავენ, ის თითქმის შვიდი მილიარდი ამერკული დოლარი დაჯდება.

კონსტრუქცია მოძრავი ბარიერების რიგს წარმოადგენს. წყალდიდობის შემთხვევაში ფარები ვერტიკალურად დადგება და წყალს გზას გადაუღობავს. ძირითადად კი, ეს ლითონის ბარიერები ფსკერზე იქნება დასვენებული. დამცველი ნაგებობის სიგრძე 1,5 კილომეტრს აღემატება.

ვენეციის გადარჩენის გეგმის თაობაზე, რომელსაც "მოსეს პროექტი" ეწოდა, 1966 წლიდან ბჭობენ. იმ წელს მოქცევის სარეკორდოდ მაღალმა დონემ ქალაქის კულტურულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. რამდენიმე ასეთი მოქცევის შემდეგ, 1973 წელს, იტალიის მთავრობამ ვენეცია ეროვნული ინტერესების ზონად გამოაცხადა. კიდევ 30 წელი სხვადასხვა პროექტების განხილვას მოხმარდა. ახლა კი გადაწყვეტილება მიღებულია და მშენებლობა დაიწყო.

მართალია, ეკოლოგებს სადარდელი გაუჩნდათ. ისინი შიშობენ, რომ პროექტი ვენეციის სრუტის ეკოსისტემას დააზიანებს. მშენებლობის დაწყების ცერემონიაზე ისინი ზღვაში ნავებით გავიდნენ და საპროტესტო აქცია გამართეს.

# რა ღირს სუპერმოდელი?



ლინდა ევანგელისტა

ცნობილმა მოდელმა, ლინდა ევანგელისტამ განაცხადა, რომ სუპერმოდელები ერთობ სპეციფიკური საქონელია, და მათ "გასაქაჩად" ფულის დანანება ნამდვილად არ ღირს.

უნდა ითქვას, რომ ამ საქმისთვის, მართლაც, დიდძალი ფულია საჭირო. იმისათვის, რომ მოდელს წარმატებული კარიერა ჰქონდეს, მასში, სულ მცირე, ერთი მილიონი დოლარი უნდა იყოს "დაბანდებული". მაგრამ, ლინდა ევანგელისტას თქმით, ეს თანხა არ დაიკარგება – ყოველ სუპერმოდელს ბევრად მეტი შემოსავალი მოაქვს.

ამ საკითხში ლინდა ევანგელისტა საუკეთესოდ ერკვევა – ტყუილად კი არ უწოდა კარლ ლაგერფელდმა ყველა დროისა და ხალხის ულამაზესი მოდელი. არადა, ბავშვობა სილატაკეში აქვს გატარებული. თვითონ მოჰყვა, რომ დედა ფეხსაცმლის ძირებს უწებებდა ხოლმე, იმიტომ, რომ ახლის შესაძენად ფული არ ჰქონდათ – ან რა უნდა ჰქონოდათ, მამამისი უბრალო მუშა იყო. ოჯახის მთელი შემოსავალი ლინდას კარიერას ხმარდებოდა. როგორც ჩანს, ამანაც გამოიწვია ის, რომ მოდის სამყაროში ცნობილია -ლინდა ერთობ ხარბი ქალია: "ვერ ვივიწყებ, როგორ უჭირდა დედაჩემს".

ლინდა მამაკაცებსაც შესაბამისი პრინციპით ირჩევს. "ფაბიენის გვერდით თავს მშვიდად და დაცულად ვგრძნობ," განაცხადა მან, როცა საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მეკარის, ფაბიენ ბარტეზისა და თავისი ურთიერთობის ამბავს ჰყვებოდა. რატომაც არა - ფაბიენმა საათი აჩუქა, რომელიც 80 ბრილიანტით და 60 ზურმუხტითაა მოოჭვილი. მართალია, არ დაქორწინებულან, მაგრამ ეს ლინდას ნაკლებად ადარდებს.

მოდის სასტიკ სამყაროში ამ მზეთუანახავსაც კი კონკურენციასთან უწევს შეხება. ძირითადად, თურმე ნაომი კემპბელი ანერვიულებს – თავხედი ყოფილა, მშვენიერი ლინდა კი თავხედობას ვერ იტანს. საერთოდ, მისი 15 წლიანი შრომითი საქმიანობა ყოველთვის წარმატებული არ იყო. აი, ერთ-ერთი ეპიზოდი: "თმის მოსავლელი საშუალების რეკლამა უნდა გამეკეთებინა. კონტრაქტი უკვე მზად იყო, მაგრამ ღამით კონკურენტებმა ჩემი გრძელი, გადასარევი ნაწნავი მომაჭრეს. კინაღამ გავგიჟდი!"

და მაინც, 90-იანები "ლინდას წლები" იყო – ის ყველაზე პოპულარულ ტოპ-მოდელად რჩებოდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ თვრამეტი წლის ლინდა ევანგელისტა მშობლიური ტორონტოდან დედასთან ერთად ნიუ იორკში გაემგზავრა და სილამაზის კონკურსში, „მის თინეიჯერი ნიაგარაში" გაიმარჯვა. ლინდა შეამჩნიეს, ჯერ ნიუ იორკში მიიწვიეს სამუშაოდ, შემდეგ კი – პარიზში.

მოგეხსენებათ, მოდის სამყაროში წამყვანი როლი მაინც ფოტოგრაფს მიუძღვის. ერთხელ, როცა პარიკმახერმა ჟულიენ დ`ისმა ლინდას ისე, სახალისოდ, მოკლე პარიკი დაახურა, ფოტოგრაფმა პიტერ ლინდბერგმა უმალვე შესთავაზა წაბლისფერი კულულების შეჭრა. გამოუცდელი და მიამიტი ლინდა რჩევისთვის დედასთან და სხვა ცნობილ ფოტოგრაფთან, სტივენ მაიზელთან გაიქცა. იმათ ლინდბერგს ურჩხული, მის იდეას კი ბარბაროსული უწოდეს – 1988 წელს გრძელი თმა იყო მოდაში... მაგრამ, საბედნიეროდ, ლინდა მაინც ლინდბერგს დაჰყვა: ევანგელისტას სტანდარტული კულულები მოაშორეს და ერთი კოხტა გოგონა, როგორიც ამქვეყნად მრავლად დაიარება, ულამაზეს არსებად იქცა. ლინდას "ლინდბერგისეული" ვარიანტი შემდგომ თვით სტივენ მაიზელმაც გამოიყენა: მოკლეთმიან მოდელს იდაყვებამდე შავი, ბადისებრი ხელთათმანები ჩააცვა, ტუჩები შავად შეუღება და პირში სიგარეტი გაურჭო... ის, რაც გამოვიდა, ჯერ "ვოგში" დაიბეჭდა, შემდეგ კი "სერიოზული" კანადური ჟურნალის, "ფოტოს" გარეკანზე.

ამიტომაცაა, რომ ლინდა თავის "ნათლიმამებს", ფოტოგრაფებს, უდიდესი პატივისცემით იხსენიებს. საუკეთესო ფოტოგრაფად მას ფრანგი ბრასაი მიაჩნია, მისი ორიგინალური ფოტოსურათები ლინდას სახლის კედლებს ამშვენებს. მას ნიუ იორკში ბაღიანი სახლი აქვს, ოღონდ ბაღის ნაცვლად ბოსტანი გააშენა. რატომ? ძნელი სათქმელია. ისევე, როგორც გაუგებარია, რა ტანჯავს მშვენიერ ევანგელისტას, რატომ ვერ მორჩა თმის შეღებვას...

"როცა ცუდ გუნებაზე ვარ ხოლმე, თმას ვიღებავ," ჰყვება ლინდა. როგორც ჩანს, ცუდ გუნებაზე ყოფნა საკმაოდ ხშირად უწევს – სხვა მოდელებსაც რომ გადავხედოთ, დავასკვნით, რომ სილამაზე და დეპრესიულობა განუყრელნი არიან. ერთი კია, რომ თმის გადაღებვით ლინდა ორ მიზანს ერთად აღწევს: კარგ გუნებაზეც დგება და სარფიან საქმეს, თმის საღებავების რეკლამასაც აკეთებს – ამ უკანასკნელისთვის საპატიო წოდებაც მიანიჭეს, "ლედი CLAIROL".

სპეციალისტები გულაჩუყებულნი არიან – ლინდას ყველა ვარცხნილობა, ყველანაირი თმის ფერი უხდება! ასე რომ, მასში ნამდვილად ღირდა დაახლოებით მილიონი დოლარის ჩადება.

## სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგ პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მომდევნო კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 7 აგვისტო.

**MBA** მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

**MSc** საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი
**$5950**
ხანგრძლივობა 15.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულება £ 10 950

**ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად**

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებით 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებსაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან აგენტობრივ წარმომადგენელს: ნინო მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

## კროსვორდი



გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ,წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

მომართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- მედიაცია ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა,
- უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით;
თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის 1 შესახვევი, №8, ტელ: 877 458 651; 899 982 809, 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ოზურგეთი 899 966 488; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 812.




## ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

Mercy Corps და Care აცხადებენ ტენდერს წინადადებებზე (Bids) გამოცდილი და კვალიფიციური ორგანიზაციებისა და პიროვნებებისაგან ფილმის შესაქმნელად. "საქართველოს სათემო მობილიზაციის ინიციატივის" (სმმი) ხელშეწყობისათვის.

მისართვის პირობები და ფილმის სცენარი (რომელიც შემოთავაზებული წინადადების საფუძველს წარმოადგენს) მოცემულია წინადადებათა პაკეტში, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

ხელმოწერილი ინფორმაცია წინადადების პაკეტის შესახებ მიღებული მომწოდებლებისაგან რეგისტრირებული და შენახული იქნება მიმღები ორგანიზაციის მიერ.

მომწოდებლებისათვის მოეწყობა კონფერენცია ოთხშაბათს, 21 მაისს, 21სთ-ზე, Mercy Corps-ის თბილისის ოფისში (გოგებაშვილის 9).

წინადადებების ჩაბარების ბოლო ვადაა 2003 წლის 2 ივნისი, ორშაბათი, ადგილობრივი დროით 13:00 სთ. რომელიც ზემოაღნიშნულ მისამართზე. დაგვიანებული წინადადებები არ განიხილება.

(სმმი) არის აშშ. განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული ფართომასშტაბიანი პროგრამა საქართველოში.

Mercy Corps, გოგებაშვილის 9,თბილისი 380008 25-24-71/72/73
Care,გოგებაშვილის 27,ქუთაისი 384000 (231)-4-20-09

## წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.